# ნობათი

ყრმათა საკითხავი

საყოველთაო სურათებიანი

ჟურნალი

პედაგოგიურის დამატებით

(მშობელთა და აღმზრდელთათვის)

„დღისით და ღამით მოყმენი
ნობათსა არ დაჰხცდებიან!“
რუსთველი.

№ № V—VI მაისი და ივნისი.

თბილისი
1884.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Іюня.*

სტამბა ი. გ. მელიქიშვილისა.

## მელა და ყურძენი.



ამშეული კუდა-მელა
ვენახში მიიპარება...
მიცუნცულობს ნელა-ნელა,
ღობე-ყურეს ეფარება.
ბოლოს შეძვრა... ნახა კარი,
მაგრამ ჭაზრი კი წაუხდა:
ბაღში იყო სულ მაღლარი
და დაბლარი არ დაუხვდა.

ყურძენი რომ მაღლა ნახა
მიმწიფებულ-მინაბდული,
დაუღო მას წუწკმა ხახა,
აუმგერდა მსუნაგს გული.
მაღლა-მაღლა იყურება,
იგრიხება, იწურება...
აქეთ-იქით დატრიალებს,
თვალებს სისხლით აბრიალებს.

ხან დაწვება, ხან ადგება,
ნდომის ნერწყვი პირს ადგება;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კბილები მთლად აექავა,
მაგრამ მაღლა ხომ ვერ ავა?..
სწორედ ჭირის დღე დაადგა:
დაიქანცა, დაიღალა,
მაგრამ აღარ გამოადგა
აღარც ხერხი და არც ძალა.
დარჩა ამომუებული...
მაგრამ აღარ გაიტეხა
კუდიანმა ვითომ გული
და ურცხვად ეს დაიკვეხა:
,,—რომ არ ვსჭამე, კარგად ვქენი,
გეფიცებით შვილებსაო:
მკუხე იყო ის ყურძენი
და მომკვეთდა კბილებსაო!..‘‘

ა კ ა კ ი.

## რად დაგვივიწყეს?..

ბზობის შაბათი საღამო იყო. ჩვენი პანსიონი მთლად დაცარიელდა: ყველა შეგირდებს, ქალაქში თუ სოფელში მცხოვრებთ, პატრონები მოუვიდნენ და წაიყვანეს სადღესასწაულოთ. მთელ დღეს ჩვენ ჟღივილ-ხივილს, სირბილს და მომავალ თავისუფლობით აღტაცებას ბოლო არ ჰქონდა. მე თითო-თითოდ გავაცილე ჩემი ამხანაგები, გზა დავულოცე და, ბედნიერმა, გულიანად გადავკოცნე, იმ იმედით, რომ მეც აღარ დავიგვიანებ გამგზავრებას.

ჩვენი სოფელი ქალაქზედ ნახევარ დღის სავალზეა და, თუმცა ბინდმაც მოატანა, მაგრამ მე გული კიდევ არ გამიტეხია. წამ-და-უწამ ჩემ ყურში ,,ტარანტასის'' ზარის წკრიალი გაისმოდა და გულის კანკალით გარედ გავრბოდი. მაგრამ, ვაი შენს მტერს! ბინდი შავ ღამეზედ შეიცვალა, დიდი და პატარა დასამინებლად მოემზადა და ჩვენი წითელი იორღა ცხენები არსაითა სჩნდნენ.

გულდამწვარი, სევდიანის სახით შეველ ჩვენ საწოლ ოთახში და შუა ალაგას გავჩერდი. მე კიდევ

ეჭვში ვიყავ, ჯერ გამეხადა ტანთ თუ არა. ოჰ, რა საშინელი მყუდროება იყო ამ დიდ, ვეებართელა საწოლ ოთახში! თეთრებ-გადაფარებული, რიგზედ ჩამწკრივებული ,,კრავატები“ თავის უძრაობით და სიჩუმით სასაფლაოს ქვებს მაგონებდენ; ძლივს მბჟუტავი ლამპა რაღაც ცრუ მორწმუნოებას სძრავდა ჩემში.

მე წარმომიდგა, ვითომ ცოცხლად დამარხული ვარ ამ საფლავებ შორის, დავიწყებული მშობლებისაგან და გულიდგან საშინელი ქვითქვითი ამომსკდა. აქეთ იქიდგან საჩქაროდ ზედამხედველი ქალები შემოცვივდნენ და გაოცებით მკითხავდენ ტირილის მიზეზს.

დავმშვიდდი... ჩუმად გადავშალე ჩემი ლოგინი და ჩავწექ. ქალები ისევ მიიმალნენ. მე თავზე საბან წახურული შევუდექ იმ ფიქრებს, თუ რა მიზეზით არ მომიკითხეს ჩემმა მშობლებმა. რა აღტაცებით ჩავიდე ჯიბეში ის პაწაწკინა ქაღალდი, რომელზედაც დაწერილი იყო ჩემი კარგად სწავლის ნიშნები! ყოველ ციფრს იმ ქაღალდზედ მე ისე ვუყურებდი, როგორც გულის ვარდს დედი ჩემისათვის და ის კი არა, დედამ, არამც თუ იმ ციფრების ნახვა არ მოინდომა, თვით იმათი შემძენი შვილიც კი დაივიწყა.

მე ვებარე ერთ კარგად გაწყობილ ქალების პანსიონში. ყოველივე კეთილი ტრიალებდა ამ სასწავლებელში: სისუფთავე, სიუხვე, სრული მამობრივი მოქცევა შეგირდებთან და მეტადრე მე, როგორც წარჩინებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფე, სასიყვარულო და საკვეხური ვიყავი თვითონ დირექტრისასი, რომელიც როგორც ნამდვილ შვილს ისე მინახავდა; მაგრამ ყოველივე ეს სიფაქიზე იყო უცხო ჩემთვის, უცხო მეტადრე დღეს, როდესაც მინდოდა ჩემი დედის მუმუებში ვყოფილიყავ მიკრული.

მე ჩემ გუნებაში კიდეც ვადარებდი ჩვენ სოფელში უშნოდ აწოწილს სახლს ამ მდიდრულად მორთულს ოთახებს; ჩვენ ქალამნებიან ბიჭებს იმათ დაწრთვნილ ლაქიებს. ამათ სასმელ საჭმლის და სხვა ოჯახეულ განწყობილებისათვის, შედარებით ჩვენისა, არ შემეძლო უპირატესობა არ მიმეცა, მაგრამ მაინც გულს მუხრუჭი ედო და თვალებიდგან ცრემლები მდიოდა, რომ იმ უარესობაში არ ვლაღობდი და აქ ფუფუნებაში მომწყვდეული ვიყავ. მთელი დღე გონება დაბნეულივით დავდიოდი ცარიელ სასწავლებელ ოთახებში, ვიცქეროდი ფანჯრებში, ვსვამდი, ვსჭამდი, მაგრამ ყველა ამ ჩემ მოქმედებაში სული სულ სხვაგან იყო.

ასე ამ რიგად მიდიოდა დღე დღეზედ მთელი უკანასკნელი კვირა დიდ-მარხვისა. დირექტრისა მატყობდა მწუხარებას, მიალერსებდა, მაძლევდა მრავალ მხატვრობებს, საბავშო წიგნებს; ბევრჯელ კამფეტებითაც მივსებდა კალთებს, მაგრამ ჩემ პირზედ ღიმილი არ მოვიდა. სხვათა შორის მე ის აზრიც მრიელ მაწუხებდა, რომ არ ვიცოდი ჩემი უნცროსი ძმა, რომელიც ვაჟების პანსიონში ებარა, წაიყვანეს თუ არა.

აღდგომის შაბათს დირექტრისამ მოსამსახურე გაგზავნა ჩემ ძმასთან და პატარა ხნის უკან მე და ის ტირილით გადავეხვიეთ ერთმანერთს. ჯერ ბევრი ვიტირეთ კუნჭულში და მერე ხელი-ხელ გადახვეული ერთად შევუდექით იმის გამორკვევას, თუ რა მიზეზით არ მოგვიკითხეს მშობლებმა.

— უთუოდ ცხენები მგლებმა შეჭამეს, მითხრა ასიკომ და, აბა, „ტარანტასში“ რაღას შეაბამდენ.

— როგორ თუ რაღას შეაბამდენ? დავიყვირე მე: ძია ივანეს ვერა სთხოვდენ ან ვეღარ იყიდიდენ? ცხენების გულისათვის როგორ დაგვყარეს აქა? ან თუ „ტარანტასით“ არა, ურმით კი ვერ წავიდოდით?

— ან იცი რა, ნატო? დაუმატა ასიკომ: მამა უთუოდ იმერეთში წავიდა და, აბა, ვინ-ღა წამოვიდოდა ჩვენ წასაყვანად.

— რაღა ახლა წავიდა, რაღა ახლა მოუნდა წასვლა! ვანჩხლობდი მე. განა ჩვენ რომ შინ აგვიყვანდა, მერე კი ვეღარ მოასწრებდა წასვლას! მაგრამ არა, ჩემო ასიკო! ეგ კი არა, ჩვენ დედ-მამას არ ვუყვარვართ და ამისათვის არ წაგვიყვანეს.

აქ მე კიდევ მდუღარება გადმოვღვარე და ასიკომაც ბანი მომცა.

კარგა დიდი ხნის ტირილის შემდეგ ასიკომ ამოოხვრით სთქვა:

— ეხლა დედა უთუოდ კვერცხებს ღებავს... ვარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დისახარი რამდენს მოაგროვებდა დიდმარხვაში!!. გახსოვს, ნატო, შარშან რა კირკიტი კვერცხები ამომირჩია? ჩვენებიანთ ნიკოს და ტატოს ორი ჯიბე კვერცხი დაუმტვრიე.—ხვალ ჰავლია მეცხვარე რამდენ ბატკნებს ჩამორეკავს ფარეხიდგან!—გააგრძელა ასიკომ მოგონება: სულ ჭრელებს არ აარჩევს ხოლმე ის კუდიანი! შარშან სადა ბატკანი მარტო შენ გერგო, მერე შუბლი რომ წითლად შეუღებე!..

მე ვუსმენდი ასიკოს და თვალწინ ცხოვლად მედგა ის სურათი, თუ რა სამზადისშია ეხლა ჩვენი ოჯახი: შუა ღამე ახლოვდება. გასასხნილებლად სასმელ-საჭმელი სულ მომზადებულია და სასტუმრო ოთახში გაშლილ სტოლზე აწყვია. დედა ტანისამოსს გვიმზადებს. ჩვენ მოუთმენლად ველით ახალი ტანისამოსის ჩაცმას და აღელვებულნი თავს დავტრიალებთ. ჩემი თეთრი კაბა, განიერის ლურჯის ლენტით წელზედ, გულს მიფანცქალებს; ახალი „შლიაპა“, „ბაშმაკები“ და სხვა-და-სხვა სააღდგომო მორთულობის სამკაული ათასჯერა მაქვს გასინჯული და კიდევ ათასჯერ მოუთმენლად ვსინჯავ.

ვნახოთ, ზარი ჩამოჰკრეს. „—ჩქარა ჩაიცვით ჩქარა!“ გვაჩქარებს დედა.

ჩვენ საჩქაროდ, ფაცი-ფუცით ვიცვამთ, ერთმანერთს ვეხლებით, სარკესთან დგომაზე ვჩხუბობთ და ვგვიანდებით.

როდის-როდის მოვემზადენით და დიდის კელეპტრებით ხელში შევუდექით კარგა მოდიდო აღმართს, რომლის თავზედაც ჩვენი ეკლესია მდებიარებს. ეკლესია მთლად გაჩაღებულია. მშვენიერი მყუდრო ღამეა და აღდგომის კელეპტრები ბრწყინვალედ გამოსჭვივიან სიბნელეში.

,,— ჩქარა, ლიტანია არ დაგვასწრონ, ჩქარა!'' გვიტატანებს მამა.

და ჩვენც გულის კანკალით, რომ არ დაგვასწრონ, გავრბივართ, თუმცა ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ვასილ მღვდელი უჩვენოდ ლიტანიას არ შემოუვლის.

აი, მივედით. ეკლესიის გალავანი გამოჭედილია გლეხ-კაცებით. ქალი, კაცი, ბავშვები ყველანი მხიარულობენ, სუყველას პირის სახეზედ რაღაც ბედნიერება აწერია.

,,ქრისტე აღზდგა!'' მოისმა ბოხი ხმა მამა ვასილისა და მაშინვე ზარივით ერთ ხმივი პასუხი ხალხისა:

,,—ჭეშმარიტად!''

მე ისე გამიტაცა ოცნებამ, რომ ჩემი თავი ნამდვილად ეკლესიაში წარმოვიდგინე და სხვასთან ერთად დავიყვირე: ,,ჭეშმარიტად!'' ჩემ ღრიალზე ასიკო, რომელსაც ჩემ მუხლზე ჩასძინებოდა, შეხტა და ტირილი დაიწყო. მე შემრცხვა და ნუგეშის ცემა დავუწყე. ამასობაში ორთავეს, გადახვეულებს, შეუნიშნავად ჩაგვეძინა.

ჩვენ ვისხედით სრულიად მარტოდ სადილის საჭმელ ოთახში. მთელი სახლობა ლიტანიაზედ წასულიყო და თავის ბედნიერებაში სულ დავიწყებოდათ ორი საცოდავი ბავშვი, რომელნიც ობლებსავით უპა-

ტრონოდ ძილს მისცემოდნენ. განთიადისას ძილში ზარის წკრიალი შემომესმა. დაფეთებულივით ფეხზე წამოვხტი და ოთახის კარებში მამა ჩემს შევეფეთე.

— მამავ, მამავ, რად დაგვივიწყეთ! ტირილით ვუსაყვედურე მამას და მხურვალედ გულში ჩავეკარ.

— შვილებო, სთქვა მამამ ნაღვლიანად: საყვედურს კი ნუ მეუბნებით, ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ დედა გამოგიბრუნდათ და თქვენ უდროოთ ობლებად არ დამირჩით. წუხელის, ორი კვირის შემდეგ, პირველად მოვიდა გონზედ და პირველი სიტყვა თქვენი მოგონება იყო.

მე ამ სიტყვებზე მთლად გავშეშდი, სირცხვილის ოფლმა დამასხა. დახე რა ყოფილა დავიწყების მიზეზი და მე უმადური კი რეებს არ ვაბრალებდი ჩემ საყვარელ დედას.

— აი, მეც გამოვეჩქარე. აბა, წავიდეთ! დღეს სოფელი ძღვნებით მოვა ჩვენთან და, სადილათ რომ შინ არ დავუხვდეთ, სირცხვილია.

ერთი საათის შემდეგ, ჩვენი იორღა ცხენები სოფლისაკენ მიაქროლებდნენ „ტარანტასს.“ მინდვრები მშვენივრად იყო ამწვანებული. ახალ გაფურჩქნულ ხეებზე მრავალი ფრინველები ჭიკჭიკობდენ. გარშემო სუყველაფერს თითქო ქრისტეს აღდგომის სიხარული ეწერა სახეზედ. მარდი ცხენების სირბილი ყოველ წამს გვიახლოვებდა სოფელს და „ტარანტასის“ პატარა ზარის წკრიალი სიტკბოებით ავსებდა ერთი კვირის მწუხარებით გატეხილს გულსა...

მგ. გაბაშვილისა.

## მოგზაურობა

### ოთახში, ეზოში და ბაღში.



უთუოდ შენც ცხოვრობ სახლში ჩემო პატარავ. იქნება პატარა ეზოცა აქვს თქვენს სახლს, ბაღიც. იქნება შინაური პირუტყვი გყავთ, დ̇ თუ არა, გენახვება მაინც; მაგალითად: ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი, ცხენი, ძაღლი, კატა დ̇ სხვ.; ქათამი, ინდოური, ბატი, იხვი და სხვ. ფრინველები. თუ ბაღჩა გაქვსთ, რასაკვირველია, შიგ სხვა-და-სხვა ხეხილებიც იდგება, მაგალითად: ბალი, ალუბალი, კომში, ატამი, ჭერამი, შვინდი, მსხალი, ვაშლი დ̇ სხვა მრავალი ხეხილი; ვაზიც, რასაკვირველია, იდგება; იქნება ყვავილებიც, მწვანილიც. სხვა-და-სხვა ბალახი ხომ აუცილებელი სამკაუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია ბაღებისა. პეპელები, ლამაზი, ჭრელი პეპელები? სხვა-და-სხვა რიგის ბუზები, ჭიები?...

რამდენჯერ გამოსდგომიხართ ბავშვები პეპლებს, გნდომებიათ დაჭერა; ხშირად დაგიჭერიათ და იმდენი გიწვალებიათ, რომ მომკვდარა. რამდენი ჭიები გისრესიათ ფეხქვეშ და ამ ქვეყნიდამ მოგიშორებიათ. აი, დაიჭირეთ პეპელა, ჭია და მოჰკალით. მოჰკალით და გიხარიათ:

— გიგო, გიგო! მე ხომ—აი, იმ დღეს რომ ვნახეთ—იმისთანა ჭია მოვკალი!..

და თქვენ სიამოვნებას არა აქვს საზღვარი. თქვენ ხარობთ სიკვდილზე, პეპლის ან უმავნო ჭიის სიკვდილზე... ხომ გწყინთ მახლობლის სიკვდილი, ტირით?.. ჭია რაღაა? იმათაც ჰყავთ დედა, მამა, შვილები, ძმები, დები...

როცა პატარა ვიყავ, კარგა მახსოვს, შევიყრებოდით რამდენიმე ტოლი ყმაწვილები, წავიდოდით ხოლმე ბაღში და ჩიტებზე ვნადირობდით. დიდი და გამოცდილი ბეღურა ხომ ახლოს არ მიგვიკარებდა... ჩვენ გამარჯვებულნი ვიყავით პატარა ბარტყებზე. ვიპოვნიდით რომელიმე ხეზე ან ვაზის თავში ბუდეს, დავუნგრევდით და, რადგან ბარტყებს ფრენა არ შეეძლოთ, ამოვიყვანდით იქიდგან.

ხშირად, როცა კი დედ-მამა დაგვინახავდა, გვიჯავრდებოდა ბუდის დაქცევისათვის და ბარტყების წვა-

ლებისათვის. პირველში ვუცონებდით, შემდეგ კი არაფრად მიგვაჩნდა იმათი ჯავრობა.—„მითომ რათ გვიჯავრდებით“—ვამბობდით ჩვენ: „თქვენ ხომ არა ხართ ბარტყები, თქვენ რა? თქვენ რას გიშავებთ“ და სხვა ამ გვარები.

ეხლა კი, როცა გავიგე რად მიჯავრდებოდენ, მე თვითონ უშლი სხვებს.

ესე, ჩემო ცელქებო, რასაკვირველია, თქვენც დაგიხოცნიათ რამდენიმე არაფერში დამნაშავე ჩიტები და ამით სიამოვნების წყურვილიც მოგიკლავთ...

საზოგადოთ, თქვენ ცნობის მოყვარენი ხართ. აი, მაგალითად, თუნდა ზემოდ მოყვანილი შემთხვევა ავიღოთ.—„დედა, რა უშავს, რომ ჩიტს ბუდე დავუნგრიე და ორი-სამი ბარტყი დავუხოცე?..“ ჰკითხავთ ხოლმე. ან—„მამავ, ეხლა რომ ჭია გავსრისე?..“ „—განა ამ ხეს რამე დააკლდება, რომ დანით ჩავჩორკნე?...“ სურვილი გაქვსთ ყველა ესენი შეიტყოთ და ხშირად ამ გვარი სასიამოვნო სურვილის ამასრულებელი კი არა გყავთ ხოლმე. დედა, მამა, ძმები, დები, ხშირად თავიანთ საქმეებით არიან გართულნი, ან არა და, ეს უკანასკნელნიც პატარები არიან და თავიანთ უფროსებს იმავე კითხვებს აძლევენ, რასაც თქვენ.

აი, თქვენს ამისთანა კითხვებს მე მინდა მივცე პასუხი, გემუსაიფოთ. თუ ყურს რიგიანად დამიგდებთ, ბევრს კარგს გაიგებთ და თქვენც სხვას უამბობთ ან წაუკითხავთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყოთ. შინ თუ გარეთ, ერთის სიტყვით ყველგან, გარს გვარტყია ჰ ა ე რ ი. ხომ გაგიგონიათ სიტყვა ჰაერი?... წაკითხულიც გექნებათ „ნობათი"-ს პირველ წიგნებში. თუ რიგიანად არ გახსოვთ, კიდევ წაიკითხეთ. ეხლა კი მე ჩემ ოთახზე და საზოგადოთ სახლებზე გესაუბრებით.

## ჩემი ოთახი.

საკუთრად მე მაქვს ერთი ოთახი, რამდენიმე წლის წინად აშენებული; კედლები აქვს აგურისა, გარედამ და შიგნიდამ გალესილია. გარედამ—კირით, შიგნიდამ—გაჯით. კედლებში დატანებულია ფანჯრები და კარი. ამ ოთახს დიდი სარგებლობა მოაქვს. ზაფხულობით, როცა მუშაობას ვათავებ, მოვისვენებ ხოლმე ამ ოთახში, სადაც გარეთზე უფრო გრილა. წვიმისა ‍დ ავდრის დროს ოთახში ვარ, (რასაკვირველია, თუ წვიმამ ან ავდარმა მინდორში, მოშორებით ჩემ ოთახზე, არ მომასწრო).

ზამთარში გარეთ ცივა, ჩემ ოთახში კი თბილა. ბუხარში დავანთებ ხოლმე გრიალა ცეცხლს და ვთბები. კარგი არ არის ოთახი? ვინ არა ცხოვრობს ოთახში, ქოხში, ბუდეში, სოროში? ყველა სულდგმული თავის თავს ვალადა ხდის თავშესაფარი ადგილი გაიკეთოს.

მართლადაც, შენი მტერი სახლი რომ არა გვქონდეს: წვიმა, თოვლი, ქარი, სიცხე, პაპანაქება მზე, ესენი ყველა ბოლოს მოგვიღებდენ, ან არა და, ამის ასაცილებლად თავშესაფართან ახლოს უნდა გვეცხოვრა.

უწინ, სულ უწინ, რამდენიმე ათასი წლის წინად, სახლები სრულიად არ იყო, ხალხი კი ცხოვრობდა. მაგრამ ვაი იმ ცხოვრებას!.. ეხლაც მოიპოვება დედამიწის ზურგზედ ისეთი ადგილები, სადაც ცხოვრობენ უწინდულად ტყედ, ე. ი. ისე, როგორც პირუტყვი. ხომ გაგიგონიათ, თუ არ გინახავთ, დათვის, მგელის, მელიას და სხვ. სოროები? სწორედ იმისთანა, მხოლოდ უფრო დიდს სოროებში უცხოვრიათ ჩვენ წინაპართ.

სადაც კლდეები იყო, იქ კლდის გამოქვაბულებში შეეფარებოდენ; ვინც ტყესთან ახლო იყო, ტყეში შეეფარებოდა; ზოგნი პატარა ორმოებს ამოთხრიდენ და შიგ იმინებდენ და სხვ.



სურ. 1-ლი.

შემდეგ ტყეში მცხოვრებლებმა ქოხების კეთებაც დაიწყეს, ჯერ უკედლებო, მერე კედლებიანიც. სახლები

ძვირად არ ღირდა, რადგან ამათი ასაგები მასალა იქვე იყო. რამდენიმე ხეს ერთიერთმანერთზე მიაყუდებდენ, ზედ ტოტებს დააყრიდენ და ტოტებზედ ფოთლებს. (სურ. 1)

რასაკვირველია, ამ გვარი შენობები მალე კეთდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ მალეც ფუჭდებოდა. გაფუჭებას სრულიად არა სწუხდენ, რადგან სადიდხანოდ არ უნდოდათ. რამდენიმე საათი, ღამე—და სამუდამოდ სტოვებდენ ხოლმე თავიანთ ქოხს. ერთს ადგილს დიდხანს ცხოვრება არ შეეძლოთ, რადგან კუჭის გასაძღომად აქა იქ ხეტება და ნადირობა იყო საჭირო; ამისათვის სად დაუღამდებოდათ და გაუთენდებოდათ, თვითონაც არ იცოდენ.

ზოგნი, ვინც კი მდინარეებთან და ზღვებთან ახლო სცხოვრობდენ, ისინი თევზაობდენ და ამითი ირჩენდენ თავსა; ქოხიც იქვე წყლის პირას ჰქონდათ და უფრო დიდხანს ცხოვრებდენ.



სურ. 2-რე.

ზოგიერთ ადგილებში, სადაც თოვლი და ყინვა უფრო დიდხანს არის, იქ თოვლის ქოხებს აკეთებ-

დენ, მასთანვე ჩქარად და გასაოცარის ხელოვნებით. თოვლის ქოხი ჰგავს საყდრის გუმბათს. ფანჯრების მაგივრად სუფთა და თხელი ყინული არის ჩასმული და კარებად კი დიდი ხვრელია დატოვებული (სურ. 2).

აი, ამ გვარად უცხოვრიათ. ამგვარი ცხოვრება მათ აწუხებდა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ გაეადვილებინათ დ გაუუკეთესებინათ თავიანთი მდგომარეობა. მოინდომეს ადგილობრივი საქმე და ამიტომ საჭიროდ დაინახეს უფრო მკვიდრი სახლების გაკეთება. არც გარეგანი სილამაზე დაივიწყეს. სხვა-და-სხვა ხალხი ერთმანერთს ეცილებოდენ სახლების გარეგნობის სილამაზეში.

აი, გაიარა რამდენიმე წელმა და დაიწყეს ნადირის ტყავისაგან კარვების კეთება. სამს მაღალ ხეებს ერთმანერთზე მიაწყობდენ (სურ. 3), ძირებს გაუდგამდენ და ზემოდამ და შიგნიდამ ჰირუტყვის ტყავს გააკრავდენ.


სურ. 3-მე.

ვინ იყო ბედნიერი ამ კარვის მომგონი, სწორე გითხრა არ ვიცი; ეს კი ვიცი, რომ ზოგიერთად· გილებში ეხლაც ამისთანა კარვებში ცხოვრობენ.

გაიარა კიდევ რამდენიმე ხანმა, ხის სახლების კეთებაც დაიწყეს. ხშირად ეხლაც შეხვდებით ხის სახ-

ლებს. სადმე სოფელში აუცილებლად ნახავდით ჩალით ან თივით დახურულს ფიცრის სახლს. იქვე ნახავდით ერთ გვარ სახლს—ორმოს. ოთხ-კუთხი ორმოა ამოთხრილი; ზემოდამ ხეები არის გადებული, ხეებზე ტოტები, ტოტებზე ნაფოტები და ფოთლები და ზევიდამ მიწა ყრია და დატკეპნილია. აი, ღარიბის ოთახი... მუდამ ამისთანა სადგომში დგომას პირუტყვიც მლივს აიტანს!..

ასე, ჩემო პატარავ, ხალხი თან-და-თან ჭკვიანდებოდა და ერთმანერთის ჯიბრზე სულ საუკეთესო და ლამაზ სახლებს აკეთებდენ და აკეთებენ. ქვითკირის სახლები დიდი ხანია რაც შემოიღეს. საუკეთესო ქვითკირის შენობები იყო საბერძნეთში, იტალიაში, იაპონიაში, ჩინეთში, ეგვიპტეში და სხვ.

ამ ხანად ესეც კმარა, დანარჩენს შემდეგში გიამბობ. დაუძახე შენ ტოლებს და ეზოში ითამაშეთ, თან უამბე, რაც წაიკითხე...

შენი მეგობარი ანი.

# ა რ ა ფ ე რ ი.

(არაკი).

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი ხომ არა იქნებოდა რა, იყო ერთი გიჟი-კაცი. ნათესავებმა ცოლი შერთეს, ეგება დაჭკვიანდესო; მაგრამ გიჟს რა დააჭკვიანებდა.

ერთხელ ამ გიჟმა ქალაქს წასვლა დააპირა და თავის ცოლს ჰკითხა: დედაკაცო, რა გიყიდოვო? ცოლმა უთხრა ქმარს—ა რ ა ფ ე რ ი ო. გიჟს ეგონა, რომ „ა რ ა ფ ე რ ი“ სავაჭრო რამ არისო. ქალაქში ჩასვლამდის რომ არ დავიწყებოდა, მუდამ იმეორებდა მაღალის ხმით: არაფერი, არაფერი, არაფერიო!

ამ ყოფით წყლის პირას ჩაიარა. აქ მეთევზე ბადეს ისროდა და მთელი ღამე ისე გეეთენებინა, რომ ერთი თევზიც ვერ დაეჭირა. გიჟის ყვირილი არ ეჭაშნიკა უიმისოდაც გაბრაზებულ მეთევზეს და თავის გულის ჯავრი ამ გიჟზედ ამოიყარა: მოიგდო ფეხქვეშ და გათელა. გიჟმა ჰკითხა: მაშ რა ვთქვაო? მეთევზემ ასწავლა: ე გ  ე რ თ ი  დ ა  ს ხ ვ ა  ა თ ა ს ი.

გამობრუნდა ეს ჩვენი გიჟი და ახლა ამის ყვირილი დაიწყო: ეგ ერთი და სხვა ათასი, ეგ ერთი და სხვა ათასი!.. მისდა საუბედუროდ, წინ ხალხი შემოეყარა, მკვდარს მოასვენებდენ. ჭირისუფლებს ძალიან ეწყინათ გიჟის სიტყვები, სტაცეს მას ხელი, ჩაიდვეს ქვეშ და გაწიხლეს; ისე გახადეს, რომ სიგრძის სიპრტყე მისცეს. გიჟი ძლივს წამოდგა და ჰკითხა: მაშ რა უნდა მეთქვა? რა უნდა გეთქვა და —ღ მ ე რ თ მ ა  ა ც ხ ო ნ ო ს,  ღ მ ე რ თ მ ა  გ ა ნ უ ს ვ ე ნ ო ს!

ბოლოს, როგორც იქნა, გიჟმა ქალაქს მიაღწია და მაშინვე აბანოში წავიდა. აბანოში, ტახტზე მძინარე კაცი დაინახა; მას ორი ბიჭი ახლდა. დაინახა თუ არა გაშოტილი კაცი, იფიქრა მკვდარიაო და მიაძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა განუსვენოს!

მძინარემ გამოიღვიძა და ისეთი შებღვირა, რომ გიჟმა თრთოლა დაიწყო; მერმე მოსამსახურეებს კარგად გაატყეპინა.

რისთვისა მცემთ, მაშ რა უნდა მეთქვა, შენი ჭირიმე? ჰკითხა გიჟმა თავადსა.

ბიჭებმა უთხრეს: *თავადო, აბანო გაამოს!* აი, ეს უნდა გეთქვა.

ნაცემ-ნატყეპი, გიჟი აბანოდამ წამოვიდა. ერთ ადგილას ხალხის ჩოჩქოლი იყო. გიჟიც მიახლოვდა; ნახა—კაცები ჩხუბობდენ და ერთი მათგანი ცხვირ-პირ ჩამტვრეული მიწაზე გორავდა. გიჟმა დაჰყვირა: *თავადო, აბანო გაამოს!* ნაცემმა თავადმა თავის მტრის ჯავრი გიჟზედ ამოიყარა. აჰა ღმერთო! რისთვის მცემენ, მაშ რა უნდა მეთქვა? ერთმა მაყურებელთაგანმა ასწავლა, ასე თქვიო: *ერთი თავადი არ არის, რომ ესენი გააზავოს!*

გამობრუნდა გიჟი ამ სიტყვების ძახილით. ვნახოთ, ქუჩაზედ ორი ძაღლი წაკიდებულა. გიჟმა დაინახა და ყვირილი მორთო: *ერთი თავადი არ არის, რომ ესენი გააშველოს!* იქვე თავადი იდგა და ძლიერ იწყინა: ძაღლის მაზავებელი როგორ დამიძახაო, და ჩვენი გიჟი რიგიანად მიბერტყა.

სწორედ ილაჯი გამიწყვიტეს!... მა, რაღა უნდა ვთქვა?

— ასე სთქვი: *ათათა!... ჰაგაგა!..* ასწავლა თავადმა.

ამ სიტყვების ძახილით გიჟმა ხარაზების ქუჩა ჩამოიარა. ხარაზები კბილით ტყავს სჭიმავდენ, რომ გაეგანიერებიათ. ხარაზებმა იფიქრეს: ალბად ეს კაცი ჩვენა გვკიცხავს, ძაღლებად გვაგდებსო. წამოცვივდნენ, სტაცეს ხელი გიჟსა და დაუწყეს ცემა, მინამ მე და შენ არ მივეშველეთ.

ილაჯ გაწყვეტილი დაბრუნდა ის სახლში და გულის ჯავრი თავის ცოლზე ამოიყარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დაკარგული შვილი.

(ჰაზრი რუსულიდამ).

მაღალ კორდზედ გაფენილი მისცემია ძილს სოფელი
და დარაჯად შემორტყმია მას მინდორი, ტყე და ველი;
ნიავი ჰქრის, დასჩურჩულებს, ველს და ბალახს ამღელ-
ვარებს,
მთებს უმღერის ძილის პირსა, ცურავს და სვამს ღამის ცვარებს.

—

მთვარე არ სჩანს... ვარსკვლავები მიმოდიან ცაზედ ნელა,
მაგრამ ყველგან წყვდიადია და სოფელში მაინც ბნელა...
მდაბალ ქოხში შორს სინათლე მხოლოდ ერთგან მკრთალად
ბჟუტავს
და ისიც, ვით სულ-მობრძავი, სუსტდება და თვალსა სჭუტავს.

—

მხარ-თეძოზედ მიწოლილი ცრემლებსა ღვრის მის წინ დედა,
საწყალს გული დაჰკარგვია და დასკვნია წყლულზედ სევდა:
სარეცელზედ უწევს შვილი, მისი პირმშო, მისი გვრიტი
და სენს უნდა რომ მოსტაცოს ეს ძვირფასი მარგალიტი.

—

დიდხანს ძილი არ უნახავს დამწარებულს მშობლის თვალსა,
პირმშოს თავზედ დაჰქვითინებს და ავედრებს მას უფალსა;
მაგრამ ეხლა ძალ-მიხდილი იქვე კედელს მიებჯინა,
ფიქრში თავი ძირს ჩაჰკიდა და მკვდარივით მიეძინა...

—

მილეული სანთლის შუქი მის სახეზედ ჰკრთის, ბარბაცობს,
მაგრამ დედა დაქანცული ვერ-რას ჰხედავს და ვერ-რას ჰგრძნობს;
მხოლოდ ძილში მას ხანდისხან მოადგება თვალზე ცრემლი
და მაშინ კი მის გულიდამ მოისმება ოხვრა მწველი.

—

სძინავს მშობელს... და ამ წამში, სენისაგან განამწარი,
სდგება შვილი; ქოხის კარებს მიადგება მშვიდი, წყნარი;

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ცახელის ლექსიდამ ,,დაკარგული შვილი''

სურათი ნ. კარაზინისა, ცინკოგრაფიით ამოჭრილი ვენაში.

„ნობათი“ №№ V და VI 1884 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩუმად გადის თმა ხუჭუჭა, თრთოლავს, ირგვლივ იყურება;
ფეხ-შიშველი, როგორც მშველის პაწაწინა ნუკრი, კრთება...

—

არე-მარე სიხარულით მომავალს წინ ეგებება:
ხის ტოტები თავს უკრავენ და ნიავი გარს ევლება;
ზამბახი თრთის, მარგალიტის ნამს უსხურებს მას ბუჩქები
და ამ წამში გაშლილ ვარდმაც დაუკოცნა ყრმას ტუჩები.

—

დაეკონა იასამანს, რა ვარდს თავი დაანება,
ყნოსვა უწყო და ყვავილმაც სუნი უხვად მიაგება.
შემდეგ უთხრა: „ქვეყნად უკვე დამტკბარი ხარ, პატარაო,
„შენ ცაშიდაც ადგილი გაქვს, აქ ცხოვრება აწ კმარაო!..."

—

უცბად შეჰკრთა და კისერი მან საამოდ გადიღერა,
ყვავილს ხელი მოაშორა, ცისკენ წყნარად იწყო მზერა:
ლაჟვარდ ცაზედ სანატრელად ოქროს გზები გადიოდენ
და იმათზედ ვარსკვლავები ცურვით მიდი-მოდიოდენ.

—

წვრილ ბუჩქნარში მოსეირნე იმათ წამზედ შეამჩნიეს,
ზეცით ტკბილად გაუღიმეს, ცელქად თვისკენ მიიწვიეს.
ჩამოსძახეს: „ქვეყნად უკვე დამტკბარიხარ, პატარაო,
ჩვენსკენ ჩქარა გამოჰფრინდი, მანდ ცხოვრება აწ კმარა!.."

—

მოეწონა ყრმას ეს ხმები, ვარსკვლავთ ბინაც დაინახა,
და ცხოვრება მათს გუნდებში დააპირა, განიზრახა...
ამ დროს ციდამ შუქ-მფინარე მოევლინა მას ვიღაცა,
გულს მიიკრა ავათ-მყოფი და ცისაკენ გაიტაცა...

—

ფრინველთ ტკბილმა ჟღრიამულმა დაურღვია მშობელს ძილი...
შეშლილივით იქ მიიჭრა, სადაც იწვა მისი შვილი,
მაგრამ პირმშო საიმედო აღარ დახვდა იქ დაღალულს
და მას შემდეგ თურმე იგი დადის, ეძებს შვილს დაკარგულს...

ცასქელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი.

(თხზ. ჰერდერისა, ნემეცურიდგან).

სამასი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც სპარსეთში ხელმწიფობდა ერთი დიდი შაჰი. ეს შაჰი იყო მძლავრი, შემძლე და ბევრი სხვა-და-სხვა ქვეყნების მპყრობელი.

ერთხელ შაჰი თავის მხლებლებით სანადიროთ წავიდა. ნადირობის დროს თავის ამალას დაშორდა და ერთ მთას მიუახლოვდა; აქ გაფანტული იყო ცხვრის ფარა. შაჰს სალამურის ხმა და მასთან მშვენიერი სიმღერა მოესმა. ბაეშურა, საიდგანაც ისმოდა წმინდა, ნაზი ხმა; აქ, ხის ძირას, ბავშვი იჯდა, ხელში სალამური ეჭირა. როგორც კი დაინახა უცხო ვინმე ცნობის მოყვარე, ბავშვმა შესწყვიტა თავისი სიმღერა. შაჰი მივიდა ბავშვთან და გამოჰკითხა: ვინ ხარ შენ და ვინ გასწავლა ეგრეთი სიმღერაო? ბავშვი ისე მარჯვეთ უგებდა პასუხს ყოველ კითხვაზედ, რომ შაჰი აღტაცებაში მოვიდა... როდესაც შაჰი ელაპარაკებოდა პატარა მწყემს, მოუახლოვდა მას ერთი მხლებელთაგანი.

— აქ მო, ვეზირო, დაუძახა შაჰმა: როგორ მოგწონს შენ ეს ბავშვი?

— ეტყობა, რომ კარგი უნდა იყოს, რა-კი თქვენი ყურადღება მიიზიდა, თქვენო დიდებულებავ, უპასუხა ვეზირმა.

— მართალია, მე მაგან ძალიან გამაკვირა! ნეტავი რა გამოვიდოდა მაგისგან, რომ სწავლა მიეღო? მე ძლიერ მაკვირვებს მაგის ლაპარაკი! დაუმატა შაჰმა.

— თქვენთვის რა არის შეუძლებელი, დიდებულო შაჰო! მაგის გამოზრდა რა საძნელო უნდა იყოს! მიუგო ვეზირმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მაგას ჩემ სასახლეში წავიყვან! ეგ უნდა გამოიზარდოს ისე, როგორც ჩვენი შვილები. შენთვის მომინდვია ეგ სა ქმე, ვეზირო! ხვალ უსათუოდ სასახლეში იყოს ეს პატარა-მწყემსი.

მართლაც და, მეორე დღეს მწყემსი სასახლეში მიიყვანეს; ჩააცვეს, დაჰხურეს და სასწავლებელში მისცეს. იმან მშვენიერად შეასრულა თავისი სწავლა და ბოლოს იმისთანა გამოჩენილი კაცი შეიქმნა თავისი ცოდნით და ჭკუით, რომ შაჰმა მას სახლთუხუცესობა მისცა; უწოდა მას სახელი ა ლ ი და ღირსება ბ ე გ ი ს ა. —ამგვარად ჩვენი პატარა მწყემსი ალი-ბეგი შეიქმნა. შაჰს ალი-ბეგი თავის შვილივით უყვარდა.

ალი-ბეგი იყო ყველასათვის საყვარელი კაცი, გარდა მეფის მხლებლებისა, რომელნიც შურით უყურებდენ მის ამაღლებას და შაჰის მისდამი განუსაზღვრელ სიყვარულს, ნდობას და პატივს. ალი-ბეგი არ იყო ამპარტავანი; მაღალ ღირსებამ და დიდმა ადგილმა ის სრულიად არ გამოსცვალა: იგი იყო თავმდაბალი, ყველასი მოსიყვარულე; ერთნაირად მოისმენდა, როგორც დიდ-კაცის თხოვნას, აგრეთვე საწყლისას; უწყობდა ხელს ღარიბებს, ობლებს, ქვრივებს. მან ააშენა სატახტო ქალაქში სახლები ღარიბ-ღატაკ ხალხისათვის.

ძლიერ შურდათ ვეზირებს ალი-ბეგის დაწინაურება, მაგრამ ვიდრე შაჰი ცოცხალი იყო, ვერავინ ვერ ბედავდა ყველასაგან საყვარელ კაცთან აშკარად ბრძოლას. შაჰი მოკვდა. ტახტზედ ავიდა მისი მემკვიდრე, რომელმაც თავის უზნეობით და უხასიათობით თავის ქვეშევრდომთ სიცოცხლე გაუმწარა.

ერთხელ ამ შაჰმა მოითხოვა მოეტანათ მისთვის ოსმალეთის ხვანთქრისაგან მამა მისისათვის საჩუქრად გამოგზავნილი ხმალი. ეს ხმალი იყო ოქროსი ბრილიანტებით, ზურმუხტებით და სხვა-და-სხვა ძვირფასი ქვებით შემკული. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერაგზით ვერ იპოვეს. ვეზირებმა ამ ხმლის მოპარვა ალი-ბეგს დასწამეს, რომ ჯავრი ამოეყარათ.

შაჰმა ალი-ბეგი დაიბარა და უთხრა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ალი-ბეგ! შენ თავი უნდა დაანებო აქაურობას და წახვიდე, საითაც გინდა: შენ იმისთანა საქმე ჩაიდინე, რომ სიკვდილით უნდა დამესაჯე, მაგრამ მამი ჩემის პატივის ცემით მიპატიებია... დღეის შემდეგ აღარ გნახო!

— დიდებულო შაჰო! შენს ხელთ არის ყველაფერი!.. რა დანაშაული მაქვს, მიბრძანეთ, დიდებულო შაჰო! ჰკითხა ალიმ

— შენ ყველანი გწამებენ ხვანთქრისაგან ნაჩუქარი ხმლის წაღებას!

— ნუ თუ, დიდებულო და სამართლიანო მეფევ, გჯერა, რომ მე ხმალი მომიპარავს?... მაგრამ, ჩემო მბრძანებელო! გთხოვ გასჩხრიკო ჩემი სახლი, ჩემი ქონება და, თუ ხმალი აღმომიჩნდეს, არა თუ გამდევნე—ჯალათს სახალხოთ თავი მოაკვეთინე ჩემთვის! ამასთანავე გევედრები, დიდებულო ხელმწიფევ, ნება მიბოძე შენს წინაშე გადავათვალიერო დიდებული მამი შენის სია, რომელშიაც ყველა ძვირფასი ნივთები მოხსენებულია.

შაჰი თავის ამალით იმავე დღესვე ალი-ბეგის სახლში მივიდა.

— დაჰსძებნეთ აქაურობა! უბრძანა მან მხლებლებს.

დიდხანს და ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერა იპოვეს რა. ბოლოს მიადგნენ ერთ ოთახს, რომლის კარები დაკეტილი იყო.

— გაალეთ კარები! დაიძახა შაჰმა.

— გთხოვ, დიდებულო და მოწყალე მეფევ, ეს კარები არ გაალოთ! გეფიცები მაღალ მაჰმადს, იქ არა არის-რა... მოითხოვე სიები, ხელმწიფევ! ეხვეწებოდა ალი.

— მე გიბრძანებ, კარები ამ წუთშივე გააღო! დაიყვირა შაჰმა.

— „აი, გამოსაჩენია ახლა გამოჩნდება, თუ არის სადმე“ იფიქრეს ვეზირებმა და არ ეშვებოდნენ კარებს. არც შაჰმა შეიწყნარა სახლთ-უხუცესის ხვეწნა... კარები გააღეს, შევიდნენ ოთახში, მაგრამ რა ნახეს? კედელზედ ეკიდა ძველი დაფლეთილი ტანისამოსი, ქუდი და კიდევ რაღაც ძონძები; აქვე ჩამოკიდებულს მშვენიერ ჩელტზედ (ლასტი) იდვა რაღაც ჯოხის მსგავსი;—ეს იყო სალამური. ვეზირებმა ამ ბავშვის სათამაშოზედ დაიწყეს სიცილი და ოხუნჯობა.

— დიდებულო და ბრწყინვალე შაჰო! წარმოსთქვა დაჩოქილმა ალი-ბეგმა: მე გთხოვ, ნუ გახდი სასაცილოდ ამ ძონ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძებს... მართალია, ესენი სხვისთვის არაფრად ღირს, მაგრამ ჩემთვის უძვირფასესია: ერთს დროს ეს ძონძები და ეს სალამური ჩემი ამხანაგები იყვნენ; ეს მაშინ იყო, როდესაც მე თავისუფალი და უდარდელი მწყემსი ვიყავი. ესენი მაგონებენ ჩემს სიყმაწვილეს და იმ დროს, როდესაც დიდებული მამა შენი ჩემთვის მამობრივად ზრუნავდა. ამ სალამურმა გამაბედნიერა მე და ამ ძონძებში მომიყვანეს მამი შენის სახლში... ნუ აძლევ ნებას შეურაცხჰყონ, მეფევ, ეს ჩემი საყვარელი ნივთები! ესაა ჩემი სათხოვარი, დაუმატა ალი-ბეგმა.

ვერც აქ იპოვეს დაკარგული ხმალი.

— ბატონო, უბრძანე მოიტანონ სია, რომელსაც მოგახსენებდი... იქიდამ შეიტყობ, სად უნდა იყოს ნაჩუქარი იარაღი, უთხრა ალი-ბეგმა შაჰსა...

მოატანინეს სია, რომელშიაც მამა მისი ჩვეულებრივ თავის ხელით სწერდა ხოლმე ყოველ ახლად შეძენილ ნივთსა. მოიტანეს თუ არა ეს სია, გაშალეს, დაიწყეს კითხვა და ძებნა. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ამოიკითხეს ის ადგილი, სადაც მოხსენებული იყო შემდეგი: ამა და ამ წელს, ეს ხმალი მე დავაშლევინე და მისი სამკაულები მოვიხმარე ამა და ამ საქმისათვისაო.

ალი-ბეგი იდგა თავ-ჩაღუნული. შაჰი მიუახლოვდა მას.

— მომიტევე, ჩემო ერთგულო მოსამსახურეებ! მოვსტყუვდი, დავერწმუნე ამ საძაგლების სიტყვას!... ამას იქით მე მეცოდინება, ვინ არის საიმედო და მართალი კაცი ჩემს სახელმწიფოში!... მომიტანეთ ჩემი მწვანე კაბა! დაიძახა შაჰმა. მოართვეს კაბა და შაჰმა თავის ხელით ჩააცვა იგი ალი-ბეგს. ეს უდიდესი წყალობის ნიშანი იყო.

შერცხვენილი ვეზირები გაშტერებული დარჩნენ. ალი-ბეგმა ერთი სიტყვაც არ წარმოსთქვა შაჰთან თავის მაბეზღართ წინააღმდეგ...

~~~~

ალი ღრმა მოხუცებაში მიიცვალა და ბევრი კარგი და კეთილი საქმე დასტოვა. ამიტომაც ხალხი იმას დიდხანს პატივის ცემით იგონებდა.

დ. სამსონიძე.
~~~~

## საწყალი გიგა *)

I

ერთს ტყის პირასა,
გორის ძირასა,
სოფელი არის გაშენებული;
წინ უძევს ველი,
დასათესელი
და ვენახებით დამშვენებული.
ანკარა წყალი,
ჩქარ მორბენალი,
ვენახებს შორის მიმოჩქრიალებს;
ცქვიტი მერცხალი,
ფრენაში მალი,
მის ტალღებს ფრთას სცემს დ̃ დასტრიალებს.
მტრედთა ღუღუნი,
გვრიტთა კრუტუნი,
ისმის მაღალის ხეებიდამა;
მწყრისა ძახილი,
გულ-ამოსკვნილი,
მიდის აქა-იქ ყანებიდამა.
ვიშ მალაღური!
დაუგდეთ ყური,
დაბურულს ტყეში როგორა გალობს,
და ჯაიფარაცა,
ქურდი-ბაცაცა,
ხან კატებრ კნავის და ხან ჭრიალობს!..

*) ორი წლის წინეთ ეს ლექსი დაბეჭდილი იყო „ივერია“-ში

ამ სოფელში
მკათათვეში
მოხდა ამბავი დიდ სამწუხარო,
და ეს ამბავი,
გულ-მოსაკლავი,
მინდა გიამბო, შვილო თამარო.

## II

სოფლის ბოლოზედ,
ტრიალს მინდორზედ,
შრომისა შვილნი მკიდნენ ყანასა,
გულით ხარობდენ,
არ მოსწრობოდენ,
კვლავ მოსავალსა ამისთანასა,
„ჰოპმის“ გრიალი,
ნამგლის ტრიალი
ყანას არხევდა, აშრიალებდა,
მშიშარა მწყერსა,
პურისა მტერსა,
გულს უხეთქავდა, აწიოკებდა.
მაგრამ ტოროლა,
მუშტისა ტოლა,
მომკლებს თავზედა დასტრიალებდა,
ხან მთა და ბარში,
ხან მაღლა ცაში,
შტვენდა, გალობდა, დაცქრიალებდა...
მკიან და მკიან,
წინ-წინ გარბიან,
მეძნეული ძნას შეკვრას ვერ ასწრობს.
ყანის პატრონი,
სოფლის ბატონი,
თავს ადგას მუშებს, ღვინოს თავაზობს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვე გაიტანეს
და დაისვენეს,
მომკალთ ნამგლები დაატრიალეს;
მუხის ძირშია,
იმის ჩრდილშია,
ტკბილად სიმღერა ჩაიკრიალეს:

* *
*

„გავლესოთ ძმებო ნამგალი,“
დღეს ვნახავთ, ვინც მამაცია;
ხედავთ უხვი მოსავალი
ჩვენთვის ღმერთსა მოუცია.
თანა ვმკოთ და თან ვიმღეროთ,
ქვეყნის ბურჯად ჩვენა გვთვლიან;
წელს რომ ხალხი შევიკეროთ
მადლობას შემოგვითვლიან.

* *
*

დღე და ღამე ოფლში ვცურავთ,
საქმეს ვსჩადით ღვთის საამოს;
სჩანს ბედმა წილად გვარგუნა
ჩვენ ვიშრომოთ და სხვამ სჭამოს...
აბა, ძმანო, ერთიც დავკრათ,
მეძნეულო მოგვეც მხარი:
გავათავოთ და შევკრათ
ბატონს კარგი პურის ჯვარი.

III

დიდ მუხის ძირში,
მდგარს ყანის პირში,
ამ სოფლის ბავშვნიც მოგროვილიყვნენ,

ხანა მღეროდენ,
ხან თამაშობდენ,
ხან ჩიტებს სდევდნენ, ბუდეს უშლიდნენ.
მერე მღერითა,
გზა-გზა შტვენითა,
საბანაოთა გაიქცნენ წყალზედ;
არ წაიყვანეს,
მარტო დასტოვეს,
პატარა გიგა ტრიალს მინდორზედ.
დიდ ხანს ტიროდა,
ტოლთ მიჰყვიროდა,
მაგრამ მის ხვეწნა არვინ ისმინა...
რა დარჩა მარტო,
მოსტეხა ხის რტო,
ჩიტს გამოუდგა და მოიღხინა.
მას დიდ ხანს სდია,
ვერ მოეწია,
დაიღალა და ჩაჯდა ყანაში.
იქიდამ სჭვრეტდა,
როგორცა ჭვრენდა
ცქვიტი მერცხალი ლაჟვარდსა ცაში.
მის ცქერაშია
და ალერსშია
ყანაში ტკბილად მას ჩაეძინა...
ყანამ შრიალით,
ჩიტმა ცქრიალით,
ჩვენს მონადირეს უთხრეს „ნანინა“.

IV

მზემ გადიწვერა,
სიომ დაჭბერა,
დაბინდდა, მისწყდა „ჭოპმის“ გრიალი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდვრის ჩიტებმა,
დაღალულებმა,
შესწყვიტეს ფრენა, შტვენა, ცრქიალი.
მიწყნარდა არე,
იქმნა მდუმარე,
მთა და ბარში არვინ ხმაურობს,
მხოლოდ ყანა
ნიავისგანა
ზღვის ტალღებივით ღელავს, შრიალობს.
ამ დროსა ბავშვსა,
ბედითა შავსა,
გამოეღვიძა ღრმა ძილისაგან,
იწყო ტირილი,
გულ-ამოსკვნილი,
შეშინებულმა სიბნელისაგან.
თან დადიოდა
და თან ჰყვიროდა:
„მიშველე, ვკვდები, ვამე დედაო!
არ წამიყვანეს,
მარტო დამაგდეს,
ამხანაგებმა მინდორზედაო!..“
იმედ მიხდილი,
მუხლ მოკვეთილი,
დაეცა,—ყანა ზედ გადეფინა;
ტირილით დაღლილს,
მალა გამოცლილს,
პატარა გიგას მსწრაფლ ჩაეძინა.

V

მთვარე დიადი,
ვითა ხმიადი,
მთების იქიდამ ამოეყუდა;

იწყო კაშკაში,
მთასა და ბარში,
განათდა ველი და ლადა ლუდა.
გიგოს კი სძინავს,
მძიმედა ფშვინავს,
ბადრი მთვარე მას არ ახარებდა,
ხანდისხან მწვავად,
გულ-მოსაკლავად,
„ვაიმე დედაო!“ დაიკვნესებდა.
სულ დათვი, მგელი,
მშხამელი გველი,
მას სიზმარშია ელანდებოდა,
და მათის შიშით,
ტირილით, ვიშით,
საწყალი გიგა ძილში სტებოდა.
მაგრამ მშველელი,
ნუგეშ-მცემელი,
არავინ იყო ეხლა ბავშვისა,
და მხოლოდ მთვარე
სხივ-მომფინარე,
იყო მოწამე იმის ტანჯვისა.
ყანაც აყრილი,
თავ-თავ დახრილი,
მძინარე გიგას გადაჰფენოდა;
ბეგონებოდა
ეცოდებოდა,
რომ იმას ღამე არ შესცივნოდა.

## VI

მთვარე კაშკაშებს,
წყალი ლაპლაპებს,
დუმილი სუფევს მთლად მინდორზედა;

მხოლოდ ისმოდა,
ვითა ტიროდა,
საწყალი გიგას ბედ-კრული დედა.
დედა საწყალი,
დედა გამშრალი,
თან შვილს ეძებდა და თან ტიროდა.
ასე მოსთქვამდა,
მსმენელს გულს სწვავდა,
იმის ცოდვითა ქვაც კი იწვოდა:
„ვაიმე შვილო,
პაწიავ, ტკბილო,
ვაი შენს დედას, შენს დამკარგავსა!
ვინ იცის გცივა,
ცრემლები გცვივა,
ვინ შეგიბრალებს ბედ-კრულს, ბედ-შავსა!..“
მამაც ამ დროსა,
სოფლის ბოლოსა,
გიგას ეძებდა ქუდ-მოგლეჯილი;
მოვლო ყანები,
ტყე, და ჭალები
მაგრამ მაინც ვერ იპოვნა შვილი
ძებნით დაღლილი
იმედ-მიხდილი,
საწყალი მამა დაბრუნდა შინა;
ამის მნახავმა,
დედამ ბედ-შავმა,
ორივე ხელი თავს წაიშინა...

VII

გათენდა დილა...
ქვალად იხილა
თვალმა ბუნება გაღვიძებული;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმქრალდა მთვარე,
წყნარად მოარე,
დილის სინათლით შეშინებული.
ნაცვლად ცისკარმა,
პირ-მოცინარმა,
აღმოსავლეთით იწყო ლაჟღაჟი;
ნეტა ვის გულსა,
სევდით მოცულსა,
არა გაჰკურნავს ეს გარიჟრაჟი!...
შეხეთ ბუჩქზედა,
დანამულზედა,
რა ტკბილის ხმითა გალობს ბულბული;
იმის მღერასა,
გულის მგერასა,
ყურს უგდებს მწყემსი სულ-განაბული.
აგერ სერზედა,
მწვანე ველზედა,
გამოიშალა ბღავილით ცხვარი;
მათ ფეხის ხმაზედ,
ფოთლის შრიალზედ,
დაფეთხა კურდღელი გულ-მოშიშარი!..
ამ დროს ყანაში,
ხან ტყე-ჭალაში,
გიგოს დედ-მამა მიმოვიდოდენ,
შვილს დაეძებდენ,
ვერ პოულობდენ
და ამით ჯავრით იხოცებოდენ...

## VIII

დღისა მნათობმა,
ქვეყნისა მთბობმა,
დაჰფერა ოქროს ფერად ყანები;

იმის სხივებზედ,
ვით ნამი ველზედ,
დალაპლაპობდენ ბასრი ნამგლები.
მუშაკთ სიმღერა,
ნამგლების ჟღერა,
გვალად გაისმა მთასა და ველში;
მეურმეს ძნითა,
ტკბილ სიმღერითა,
მიაქვს ურემი თავის სოფელში...
მუშებმა მკის დროს,
ზედ შუა-დღის დროს,
იპოვეს ბავშვი მიცვალებული.
ეს იყო გიგა.
ვაი რა რიგა
ჰქონდა მას სახე დასივებული!
თვითონ გლეხებმა,
მის მეზობლებმა,
საწყალი გიგა ძლივს-ღა იცნეს.
ბავშვი მომკვდარი,
უდროდ დამჭკნარი,
სოფელში იმავ წამს წაასვენეს.
დედ-მამის გვემა,
თავ-პირში ცემა,
არ ინახოდა,—იყო საზარო;
მათი წუხილი,
გულის დუღილი,
არც ენით ითქმის, შვილო თამარო!..
გიგა დამარხეს,
ზედ ქვა დაადეს,
და იმ ქვაზედა ასე სწერია:
„განშორდა მშობლებს,
აწ აქ მდებარებს
გველისგან მკვდარი გიგოს მტვერია.“

ი. ბაქრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომული.

(კარმენ სილვას ზღაპრებიდამ).

ემანუილმა ხელი მეორედ გასწია ბარისაკენ, გადაიარა მინდვრები, უცებ მიაწყდა თავის მეფე-მამის მსახურს. იგი ფიჩხის ქოხს გლესავდა, ცოლი მისი კი იქვე თავის ორ ბავშვს დასტრიალებდა. მსახურს ჭაღარა ძალზედ მორევოდა, თითქოს დედოფლის სიკვდილის შემდეგ ათს წელიწადს გაევლო. ემანუილმა მაინც იცნო და კინაღამ დაიყვირა „ილია!“ მაგრამ მალე თავი შეიკავა.

— რას აკეთებ? ჰკითხა ჭაბუკმა.

— რასა და ბინას ვიკეთებ, უპასუხა ილიამ,—აქამდის ასე ღარიბი არ ვიყავ. დიდხანს ვემსახურებოდი მეფეს, შვილსაც ვუზრდიდი, მაგრამ მე ბედ-შავი ცუდ ვარსკვლავზედ დავბადებულვარ: ცოლ-შვილით გამომაგდეს ქუჩაში.

— მერე რა იყო მიზეზი?

— ისა, რომ მეფეს შვილი გაექცა სადღაც და, რადგან ვერ ვიპოვეთ, ყველანი გამოგვაპანღურეს. სანამ მეფეს შვილი გვერდით ჰყვანდა, სულაც არ ზრუნავდა იმაზედ, ეხლა კი ჰგონია, რომ ქვეყანა ქვეყნად არ დარჩება, თუ იმას არ იპოვის. შეჰვეღია, არც აგრე დიდხანს შეიწუხებს თავს, მალე დაივიწყებს თავის ნაღველსა და, მგონია, ეხლაც ფიქრობს მეორე ცოლის შერთვას. რა წამს ახალ დედოფალს შვილი მიეცემა, თვალში აღარც კი მოუვა ჩვენი ბატონი-შვილი. მე კი იმის გულისათვის გავღატაკდი და გავუბედურდი.

— იქნება შევიძლო რითიმე გიშველო?

— შენ უნდა მიშველო?! ილიამ თავიდამ ფეხამდის ზიზღით თვალი ჩაავლო.—მერე რითი გინდა მიშველო? შენ თვითონ ვინა ხარ? რა გქვიან?

— მანოილი მქვია, მინდა როგორმე დაგეხმარო. ბოსტნის მოვლა ვიცი კარგად.

— მანოილი!.. ბატონი-შვილს კი ემანუილს ვეძახდით. ჩვენი გალატაკებისთვის ღმერთმა დასწყევლოს! შენ ხომ უბინაო მოტანტალე ვინმე იქნები და, ვინ იცის, უფრო დაეიდარაბა და შეწუხება მომაყენო.

— შენ თვითონ ნახავ. შენი ნება არ არის? თუ ცუდი მუშა ვიყო, გამაგდე.

— შენ მხოლოდ მუქთა მჭამელი იქნები!

— გამომცადე და მერე ისე სთქვი.

ამაზედ ილიამ მხრების აწევით უთხრა:

— თუ ღმერთი გრწამს, საიდამ მოთრეულხარ! თავიდამ მომშორდი! ბეტყობა, შენ საკეთილოდ არ მოსულხარ. მეც ისე უწყალოდ მოგეპყრობი, როგორც მე მომექცნენ.

თუმცა ჯერ ბინდიც არ იყო, მაგრამ ჭაბუკმა კი მოასწრო ბოსტნისთვის ვეება ადგილის დაბარვა. გარდა ამისა, დაჰკრიფა სხვა-და-სხვა ბალახები და იმით ილიას სახლობას მშვენიერი საჭმელი მოუხარშა. იმის ხელში საქმე სწორედ დუღდა. იმ დღესვე მოასწრო ქალაქს წასვლა, დააგირავა იქ თავისი ფარაჯა და იმ ფულით იყიდა ცოტა სიმინდი და პატარა თხა; ყველა ეს ილიას სახლობას გადასცა. რა სიხარული დაიწყეს ბავშვებმა და რა რიგად ეალერსებოდენ ემანუილს ამ სიკეთისთვის! მაგრამ ილია კი სულ ძალლივით ილრინებოდა, სულ ჯავრობდა; იმისგან კაცი ერთხელ ტკბილ სიტყვას არ გაიგონებდა და საბრალო ემანუილს მშიერს ჰკლავდა.

ილია მხოლოდ მაშინ მოდიოდა ქეიფზე, როდესაც სასახლის ამბებს ჰკითხავდა ემანუილი. მოხუცი დაწვრილებით მოუყვებოდა მშვენიერი სადილების აღწერას და უამბობდა, თუ იმის შვილებსაც კი რა ულუფა ერგებოდათ ხოლმე, მეტადრე იმ საშოვრიდამ, რომელსაც აძლევდენ სხვა-და-სხვა კაცები, ოლონდ კი მეფის ნახვა ლირსებოდათ. ბევრჯელ ემანუილი თავს იმაგრებდა, რომ სიცილი არ მორეოდა, რადგან ილია მას მატანტალა და გლახა ეგონა.

— არც ბატონი-შვილი იყო კარგი კაკა, ილაჯი გაწყვეტი-

ლი გქონდა იმის ცელქობით და ეშმაკობით, ამბობდა მოხუ-ცი.—როგორც კი დავემუქრებოდით დაბეზღებას, იმავ წამს გა-ქრებოდა, დედასთან დაიბადებოდა. იმასაც შვილი გაანებივრებუ-ლი ჰყავნდა, როგორც ყველა დედებს; ამითი, რასაკვირველია, აფუჭებენ ხოლმე თავიანთ შვილებს. (ამ სიტყვებით ნაღვლია-ნად გადახედა თავის ცოლს). მეფემ ვეღარ მოითმინა, რომ დე-დოფალი ყველას, ვინც კი მოხვდებოდა, პირს უჩვენებდა და სა-სახლიდამ გააგდო.

ემანუილმა, გაიგო თუ არა ეს სიტყვები, გველის ნაკბენი-ვით წამოხტა და შესძახა:

— მიჰქარავ! ის წმინდანი იყო!

ილიამ გაკვირვებით შეხედა და ჰკითხა:

— მერე შენ რა იცი?

— მე? მე... მე თვითონ ვნახე, როგორ ჰკურნავდა ავადმყო-ფებს.

— ჩემთვის კი სიკეთე არა უქნია-რა. იმის შვილმა ერთხელ ისე მიმბეჟა, რომ აქამდის ვერ დამვიწყებია. ცემით კი ვერ მო-ვასწარ მეცემა და დაბეზღება არ მინდოდა, შემეცოდა, გადა-ახდევინებდნენ. ეხლა კი ვნანობ, ურიგო არ იქნებოდა ერთი კარგა მიერტყმიათ. განა იმის ბრალი არ არის ჩემი უბედურება?

ბაზარში ემანუილმა ყველას თავი შეაყვარა: იქ ჰყიდდა ბოსტნეულობას და ფულს ილიას უზიდავდა ოჯახში. იმ ცო-ტა ხნის განმავალობაში ემანუილმა ჯერ სახედარი უყიდა, მე-რე ძროხაც მიჰგვარა.

დედაკაცები და ახალგაზდა ქალები, დაინახავდენ თუ არა იმას, ყველანი უთავაზებდენ ყვავილებს; ყმაწვილები კი შო-რიდამვე უყვიროდენ:

„— მანოილ, მანოილ, ერთი მოდი, გვიშველე—ცხენი გა-მოგვეშვა!..“

„— დედა ჩემმა ბევრი ნართი მოიტანა; შენ მეტს მოგცემენ, გაგვიყიდე!“

„— ჩემმა დამ ფეხი იტკინა, და ყვირის: „მანოილი მოვიდესო,—სანდა იმან მოარჩინაო!“

ყველა იმას სთხოვდა დახმარებას და ისიც ასწრობდა ყველას შველას. ამაზედ ილიას ძალიან მოსდიოდა გული, მარტო თვითონ უნდოდა ესარგებლა; თანაც შიშობდა, რომ მუშამ სხვას არ დაურიგოს ამისი სარჩო, ან არა და, სხვაგან არ შეამუშაოს თავისთვის მიწა და საკუთარი ბინა არ გაიჩინოს.

ზოგიერთები ღარიბი ემანუილის სარჩენი შეიქნენ. ერთს პატარა ოთახში, სადაც ძლივ-ძლიობით ეტეოდა ვიწრო და მოკლე ტახტი, იწვა ბნედიანი უსინათლო პატარა ქალი. რამდენჯერმე ამ პატარა ქალს წაქცევის დროს ხელები ეღრძო და ამიტომაც სხეული საშინლად დამახინჯებული ჰქონდა. ბოლოს უბედურმა ფეხიც მოიტეხა, ლოგინად ჩავარდა და მხოლოდ თავის სარჩენად წინდის ქსოვა-ღა შეეძლო. მისი და, ისიც ამისავით პატარა, მთელი დღე გარეთ მუშაობდა, ბინდისას, შინ დაბრუნების დროს, ნახავდა თუ არა, რომ ბრმას წინდა ცოტა მოუქსოვია, დაუწყებდა ცემა-ტყეპას. საბრალოს ყვირილი საიდამ სად გაისმოდა! ერთხელ ემანუილმა გაიგონა და მაშინვე მოირბინა ამათთან. დაჰტუქსა ბოროტი და მისცა ორივეს საჭმელი; ფეხი არ მოიცვალა, სანამ ბრმა კარგა არ გამოძლა.

გარდა ამისა, ემანუილს უნდა ხელი გაემართა ერთი დედაკაცისთვის, რომლის ქმარი დატუსაღებული იყო რაღაც უბრალო საქმისთვის. დედაკაცი თურმე საშინელ გაჭირვებაში იყო და ახლოს კი არავის იკარებდა. ჭაბუკი მივიდა იმასთან, მაგრამ დიდხანს ამაოდ ურაკუნა კარი. დედა-კაცმა მხოლოდ მაშინ შეუშვა სახლში ემანუილი, როდესაც ეს უკანასკნელი დაჰპირდა ქმარს ვაცნობებ შენ ამბავსო. უბედური ისე ავადმყოფი იყო, რომ კარების გასაღებად ძლივ-ძლიობით მიცოცდა. ოთახში, იქვე თივაზედ, იჯდა ბავშვი, რომელიც კოვზზედ აფურთხებდა და თავის ფურთხს თითონვე ლოკავდა. პაწაწა ქალი კუთხეში ღრიალებდა. დედას გვერდით უწვა ძუძუ მწოვარი ბავშვი, რომელიც თვალებს აბრიალებდა და ლოყები სიცხისაგან ასტკრეცოდა.

ემანუილს თავ-ბედისა აღარა ესმოდა-რა, რაკი დაინახა ამის-
თანა გაჭირვება, მაგრამ თუ არ საკეთილოდ—ის ფეხს არსად არ
შესდგამდა. ყველა სახლში სიხარული და მშვიდობიანობა შეჰ-
ქონდა; სიბინძეს და სიღატაკეს შესცვლიდა, გაჭირვებიდამ გა-
მოიხსნიდა და მერე ამის მეცადინეობით კეთილ-მდგომარეობა-
შიაც ჩავარდებოდნენ.

ყოველ ცისმარე დღეს ემანუილს შეჰქონდა დედაკაცთან
სხვა-და-სხვა წამლის ბალახები და დღიური სამუშაო, რადგან
დედაკაცი სირცხვილით თავს ვერ ჰყოფდა გარეთ. ბოლოს მი-
სი ქმარი, დიდი ხნის ტუსაღობის შემდეგ, ძლივს გაანთავისუ-
ფლეს, მაგრამ თავდაპირველად საქმის შოვნა უძნელდებოდა—
ახლოს არ იკარებდნენ. ემანუილს ბევრი ცდა და მხურვალე გა-
მოსარჩლება დასჭირდა, ვიდრე საბრალო კაცი ადრინდელივით
ნდობას იპოვიდა.

ძნელად ჩამოითვლება ჭაბუკის ყველა კეთილი საქმეები.
ილიას შვილებს ქვეყანაზედ ისე არავინ უყვარდათ, როგორც
ემანუილი; მათი დედა ხომ ოჯახის საქმეებზე რჩევას ყოველ-
თვის მანოილს ჰკითხავდა და იშველიდა, ისე, რომ ილიას სიშური
ჩაუვარდა გულში.

ილია თან-და-თან ცუდად ეკიდებოდა ყმაწვილ კაცს, თავ-
ზედ ახვევდა რაც ძნელი და მძიმე საქმეები იყო, მაგრამ იგი
არასდროს არ ჩიოდა ამაზედ. ფიქრათაც არ მოსდიოდა, რომ
ილია სიშურით ჩასდიოდა ამეებს და ეგონა, უთუოდ ბუნებით
თუ არი ამისთანა ბოროტიო...

ერთხელ ემანუილი ჩვეულებრივ წავიდა ბაზარში. ჯერ ილიას
საქონელი გაჰყიდა, მერე თავისი ნამუშავარი ფულათ აქცია და
ეს თავისი ფული სულ ღარიბ-ღატაკებს დაურიგა.

ის იყო შინ ბრუნდებოდა, უცბად წინ აეტუზა უხელო
მთხოვარი. ყმაწვილი კაცი თავის დღეში ხელს არ ახლებდა
ილიას ფულს, მაგრამ ეხლა კი გაიფიქრა: „რა უყოთ, ხომ მა-
ლე გადვიხდი ამ ვალს“, და საწყალ დაკოდილს ჩუმად მიაწოდა
ორიოდ გროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ვიღამაც კისერში სტაცა ხელი.

— აი შე ქურდო! აი შე გლახავ! ყვიროდა ილია:—ძლივს არ მოგასწარ. დამაცა, შე ქვეშ-ქვეშავ, მე შენ გაჩვენებ, თუ რა არის სხვისი სარჩოსი დასაკუთრება! ჩემი ცოლი ხომ სულ გადამირიე!

ამ სიტყვებით მოუღერა კომბალი ემანუილს და დაუწყო ცემა. ყმაწვილ კაცს სიმწარით და უსამართლობით სისხლი თავში აუვარდა. ჯერ უნდოდა ხელი ეკრა ბებრისთვის, მერე გადიფიქრა, დაუშვა ხელები ძირს, მიანება თავი და ისე უძრავად იდგა ჯოხის ქვეშ.

ილიამ დიდხანს არა სცემა თავის ალალ-მართალს მუშას. ხალხი გარს შემოეხვია და უსინათლოს დამ მაშინვე სტაცა ხელი ბოროტ მოხუცს და შეჰყვირა:

— გრცხვენოდეს; რათა სცემ ჩვენ გამაბედნიერებელს!

ემანუილმა, რომელსაც სწორედ მკვდრის ფერი ედო, ელვარეს თვალებით შეხედა ილიას და წამოიძახა:

— ეხლა ხომ სამაგიერო გადამიხადე, მსახურო ილიავ!

ამ სიტყვების თქმაზედ სწრაფად გაჰქრა.

— ღმერთო ჩემო! ეგ ხომ ბატონი-შვილი ყოფილა. შეჰყვირა ილიამ თავში ცემით.

ბაზარში ხმაურობა შეიქნა, ხალხი აყაყანდა. ზოგი გაიქცა ბატონი-შვილის და ყველას საყვარლის მანოილის საძებნელად, ზოგმა კი ილიას დაუწყო გინება და ცემა, რადგან იმან თავის ავკაცობით დაარღვია ყველას ბედნიერება.

მაგრამ უამათოთაც ილიას ნაღვლით სისხლი ყელში ებჯინებოდა. მანოილი მაინც და მაინც ვერ იპოვეს. ის ისე მარდათ გარბოდა, როგორც ახალგაზდა ყოჩაღ კაცს შეეფერებოდა. ბოლოს სიმინდებში მიიმალა, მიწაზედ დაეცა და მორთო მწარე ქვითინი; მას აქეთ რაც დედა მოუკვდა, ასე ცხარე ცრემლით არ ეტირნა.

— ეხლა კი გავიგე კაცის უმადურობა! ამბობდა კვნესით ყმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვილი კაცი და ტუჩებს ისე იკვნეტდა, რომ სისხლი გადმოსდიოდა.

— ოჰ! დედა ჩემო, დედილო, დედილო! ქველას ავიტან და სირცხვილს კი არა!

ჯერ არ დაესრულებინა ეს სიტყვები, რომ განდეგილთან გაჩნდა.

ბერიკაცმა მხარზე ხელი დაადო და ალერსით უთხრა:

— აბა შეხედე, იცნობ შენ დობილს, პატარა რადას?

ემანუილი აღტაცებით შესცქეროდა მშვენიერ ახალგაზდა ქალს. ისიც ჯერ დააცქერდა ძმობილს თავისი მომხიბლავი თვალებით, მაგრამ გრძელი აბრეშუმივით წამწმები მაშინვე რიდესავით ჩამოაფარა თვალებს. მოხიბლული ყმაწვილი კაცი ხმას არ იღებდა, გაფაციცებული შეჰხაროდა.

— ბანა, მე უფრო კარგა არ შეგინახე შენი საუნჯე, ვიდრე შენ შენი მსახურის სარჩო? არაფის არ დავანებე.

ემანუილმა შიშით გადახედა თავის წინა-მძღოლს და დამნაშავე ბავშვივით თავი ჩაღუნა.

— სხვის ფულით სიკეთე არავის არ უნდა უყო, განაგრძო ბერიკაცმა,—ეგ ცოდვაა, შემცდარხარ!

— მგ შეცდომა ძვირად დამიჯდა! წამოიძახა ყმაწვსლმა კაცმა, რომელსაც ამ მოგონებაზე ლოყები აენთო და თვალები ცრემლებით აევსო.

— არა უშავს რა. აქ ხომ ჯილდო მოგელის, თუმცა ჯერ არა ხარ ამის ღირსი, უთხრა განდეგილმა და ხელით უჩვენა დობილზედ, რომელიც ხან ერთს და ხან მეორეს გაკვირვებით შესცქეროდა.—მაშ, სანამ საქმეზე წახვიდოდე, ორიოდ საათი მხიარულად გავატაროთ.

რადამ მოამზადა გემრიელი სადილი.

გამოქვაბულს დასტყობოდა ამ ქალის აქ ყოფნა: ამას მოერთო მოექმაზა სადგური, კედლებზედ ჩამოეკიდნა თავისი მოქსოვილი ხალები; განდეგილზედაც სუფთა პერანგი ჩნდა იმისივე ნაქსოვი, თითონ ქალსაც სუფთად და ლაზათიანად ეც-

ვა. იგი თავ-მოწონებით უჩვენებდა ემანუილს იმ წიგნებს, რომელნიც წაეკითხა პატივცემული მასწავლებლის ხელ მძღვანელობით.

ემანუილმა ყველა მოისმინა, შემდეგ ჩაფიქრდა და მწუხარებით წარმოსთქვა:

— მე კი თან-და-თან იმასაც ვივიწყებ, რაც ვიცოდი. სწავლისთვის ვეღარ მომიცლია.

— განა არ იქნება სხვა საქმეს დაადგე? რჩევით უთხრა განდეგილმა. — და რასაც მოიგებ, სწავლას მოახმარე.

— მერე საწყლები? ჰკითხა ემანუილმა.

— ქვეყანაზე სხვა რიგი მოწყალებაც არის, უპასუხა ბერიკაცმა, — სულიერი მოწყალებაც ხომ არის.

ყმაწვილმა კაცმა რამდენიმე საათი კმაყოფილებით გაატარა ამათთან. მზის დაწურვის გამო მთები ისე გაჩაღებული იყო, თითქოს ცეცხლი უკიდიაო; მინდვრებსაც მოლურჯო ჩრდილი გადაჰფენოდა.

— აბა, გასწი, გზას გაუდეგ, სანამ არ დაღამებულა! უთხრა განდეგილმა.

ემანუილმა კვლავინდელზე უხალისოდ გასწია ვაკესაკენ.

რა უნდოდა, ასე უწყალოდ რად გააგდო განდეგილმა? რაღა ამას უძნელდებოდა განათლების შეძენა, რომელიც გაათანასწორებდა თავის დობილთან. ბერიკაცის სასტიკობა სწორედ გაუგებარი იყო ამისათვის.

ამ ფიქრებით გატაცებული ემანუილი მიწვა ერთ კლდის ძირას და მაშინვე ჩაეძინა.

სიზმარში ნახა დედა. იმას გარს ეხვია ავადმყოფები რომელთაც ჰკურნავდა. ჰაკუკმა გაიღვიძა თუ არა, მაშინვე წამოხტა ფეხზედ. ვასკლავებით მოჭედილი ცა ზედ დასცქეროდა.

— მკურნალი უნდა გავხდე და ავადმყოფები გავკურნო! წამოიძახა ემანუილმა და საჩქაროდ გადაიარა მინდვრები და ერთ აფთექართან მივიდა.

— ამიყვანე შაგირდათ! უთხრა იმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე იცი რამე?

— სამკურნალო ბალახებს გავარჩევ. ვიცი იმათი მოყვანაც... სხვა არაფერი.

ამაზედ აფთიქარმა გაიცინა; მაგრამ იმის დაცინებამ დიდხანს არ გასტანა, რადგან ყმაწვილმა კაცმა, რომელმაც ეხლა სახელი მანეი დაირქვა, თავისი საოცარი გულის-ყური და დიდი ბეჯითობა მალე უჩვენა.

აფთიქაში, ჩვეულებრივ საქმეების გარდა, ღამღამეობით თვითონ სწავლობდა და, თუ თავისუფალ დროს ჩაიგდებდა, ღარიბ ყმაწვილებსაც მუქთად ასწავლიდა. ამითი თუ შველოდა იმათ, თორემ მონაგებ ფულებს სულ თავის სწავლას ახმარებდა.

დიდი ხანი არ გასულიყო მას აქეთ, რაც ემანუილი აფთიქარს მიებარა, როდესაც მთელ სახელმწიფოში დიდი დღესასწაული გარდაიხადეს დედოფლის ვაჟის ყოლისაგამო, რომელიც დაკარგულ ბატონი-შვილის მაგივრად ტახტის მემკვიდრედ დანიშნეს.

— მე აღარავის ვაგონდები, ჰფიქრობდა ნაღვლიანის ღიმილით ემანუილი და თან წიგნებზე ათევდა ღამეს.

— კაი მკურნალს—კაი ფასი აქვს! დეე, ჩემმა ძმამ იმეფოს, მე ექიმი გავხდები.

ყმაწვილი კაცის გასაოცარმა ბეჯითობამ თავისი ნაყოფი მოიტანა. იმას ჰშველოდა დედისგან დაყოლილი ბუნებითი ნიჭი. ჯერ თავისი სწავლა არ შეესრულებინა, სადაც კი ავად გახდებოდნენ, ამას მოიწვევდნენ, არა თუ ახლო მდებარე სოფლები, შორეული ადგილებიდამაც.

ემანუილმა პირველად განიძრახა გულში, არა თუ სხვებზედ, თავის თავზედაც ეფიქრა და თავისი საკუთარი ძალით და შრომით საზოგადოებაში გამოჩენილ კაცად გამხდარიყო. ბევრი სწავლით გახდა, უძილობით თვალები ჩაუცვივდა; თითქოს სიცხე აქვსო, თვალები ისე უბრწყინავდა.

ეხლაც ყველამ ისე შეიყვარა, როგორც მანოილი უყვარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათ. ამის სახელის ხსენებაზედ ყველას ნაღველი უქარწყლდებოდათ და იმედი მიეცემოდათ.

ბატონიშვილი, ტახტის მემკვიდრე, უცბათ ძალიან ავად შეიქნა, მერე ისე, რომ კარის კაცებს შიშით თავს ზარი ეცემოდათ. დედოფალს გაგონილი ჰქონდა ახალგაზდა მკურნალზედ, რომელსაც ყმაწვილები საშინლად უყვარს, და უბრძანა მოშკვარეთო.

ბულის ფანცქალით შევიდა ემანუილი მამის სასახლეში, სადაც ყველაფერი სიყმაწვილეს აგონებდა ამას და საიდამაც აჩქარებით და ბავშური სიფიცხით გამოაკლო თავისი თავი. მამამ მისმა ვერ იცნო და აღშფოთებით თვალსადევნებდა ემანუილს, როდესაც იგი ავადმყოფს მიუახლოვდა. ექიმმა გულ მტკივნეულად და დიდი მეცადინეობით გასინჯა თავისი ღვიძლი ძმა.

— ვგონებ გადურჩეს ამ ავადმყოფობას, სთქვა მოკლეთ ემანუილმა.

დედოფლის ამაყ და მკაცრ პირის-სახეს გადმოედინა მდუღარე ცრემლები.

დღე და ღამე ემანუილი უვლიდა ბავშვს. ბოლოს ერთ ღამეს ყმაწვილს მაგრად ჩაეძინა. ახალგაზდა ექიმმა სთხოვა დედმამას ოთახიდამ გასულიყვნენ და მოსვენებისთვის მიეცათ თავი, რადგან საშიში აღარა იყო-რა და მარტო თვითონ შეეძლო ყურის გდება.

შუაღამისას ბავშვს უეცრად გამოეღვიძა, გადაეხვია მაგრად ძმას და აკოცა.

— ემანუილ დამიძახე! უთხრა დაბლის ხმით ექიმმა.

— ემანუილ! დაიძახა ბავშვმა ისეთი წკრიალის ხმით, ისე ალერსიანად და სიყვარულით, რომელიც ყმაწვილ კაცს, დიდი ხანი იყო, არ გაეგონა.

ამის შემდეგ ბავშვი ხელახლად მიეცა მოსვენებულ ძილს. დილაზე აღარა უჭირდა-რა, უკეთ შეიქნა. დედ-მამა მადლიერნი დარჩნენ და არ უნდოდათ შვილის დამხსნელი გვერდიდამ მოე-

შორებინათ. მაგრამ ახალგაზდა მკურნალი ვერ დაიყოლიეს ვერც თხოვნით და ვერც დაპირებით, ისე რომ ბოლოს დედოფალი, რომელიც ჯერ წყალობის თვალით უყურებდა, განრისხდა.

ემანუილი სულით და გულით მიეშურებოდა თავის რადას-კენ და ეგონა, რომ ეხლაკი იმის შერთვის უფლება დაიმსახურა.

ერთხელ მოულოდნელად განდეგილი თავს წაადგა.

— ემაწვილო! უთხრა იმან წვერის ცახცახით და ტუჩების კან-კალით: — ეშიშობ რომ ის ჯილდო, რომელიც შენ ნამდვილად დაიმსახურე, ხელიდამ გაგეისხლტდა! რადა ხალხში გავგზავნე ზნეობის სწავლისათვის და ეხლა ამბავი მომიტანეს, რომ ვილა-საც ირთავს.

ემანუილს ერთბაშად სისხლი თავში აუვარდა, თვალებიდამ ნაპერწკლები წამოსცვივდა.

— ეგ იყო შენი მამობრივი ზრუნვა! შეჰკივლა ემანუილმა, —მე კი, ბედ-შავს, მეგონა, რომ იმას თავის დროზე ჩამაბარებ-დი. მაშ შენ უწყალოდ მცდიდი და შენი დაპირება სულ სიც-რუე ყოფილა! ჭკუიდამ შევიშლები, ველარ გავძლებ!

ამ სიტყვებით სტაცა ბერი-კაცს ხელი, ერთი კი მაგრა შეანძრია და ისე მიაგდო კუთხეში. განდეგილი წაბარბაცდა და დაცემაში კარებს თავი მიარტყა, სისხლი ნაკადულივით გად-მოედინა. ემანუილი მაშინ მოვიდა გონებაზე, დაეცა მოხუცის წინ და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა გონებაში ჩაეგდო.

ბოლოს მოხუცმა თვალები აახილა და ძლივ-ძლიობით წამოიძახა:

— შე... უმადურო ბავშვო!..

ამ სიტყვების შემდეგ თვალები ხელ-ახლად დახუჭა, ერთი კი ამოიოხრა და სული დალია. ემანუილი ტკბილ სიტყვებს ჩას-ძახოდა და ევედრებოდა მაპატიეო. მაგრამ გვიან-ღა იყო!

ამ მოხუცის შემდეგ, ვინ-ღა გააჩნდა ემანუილს ქვეყანაზედ? მან დაჰკარგა მამაც, მეგობარიც, საცოლეც და თვით გულის უმანკოებაც.

იგი გადიხვეწა შორს მთებში და იქ უგზო-უკვლოდ დაეხე-

ტებოდა. მაგრამ დიდხანს იქაც არ დარჩა მარტოდ: მწყემსებს ურჩენდა მცხვრებს. ამითი შეიტყეს იმის ხელობა და დიდ-ძალი ხალხი მიატყდა. ყველას სასწაულ მომქმედი ეგონათ და სახელი უწოდეს „მამა-კაცი“. ვინც უნდა გამხდარიყო ავად, რა უბედურებაც უნდა მისდგომოდათ კარს, ყველა მიეშურებოდა თავიანთ „მამა კაცთან“. იგი კი ასი წლის ბებერივით დარბაისლურად იქცეოდა; არც კი აგონდებოდა, რომ ახალგაზდაა, ისეთი ნაღველი აწვა გულზედ მას აქეთ, რაც ის ბოროტი საქმე შეემთხვა.

რამდენს ცდილობდა, საბრალო, წარმოედგინა თვალ წინ დედის სურათი, მაგრამ იმ უბედურის წუთის შემდეგ იმისი ცდა სულ ამაო იყო. ასე სცხოვრობდა მარტოდ-მარტო თავისი მწუხარებით; ეს უცნობი და იდუმალი კაცი სიკეთეს არავისთვის არ იშურებდა. მაგრამ მაინცა-და-მაინც მომაკვდავი მეგობრის სიტყვები მოსვენებას არ აძლევდნენ:

„შე უმადურო ბავშვო!“

უცბად მემკვიდრე, პატარა ბატონიშვილი, ხელმეორედ ავად გახდა, მაგრამ კეთილი ექიმი მანეი ვეღარსად ვერ იპოვეს. ბატონი-შვილი წამ-და-უწამ იძახოდა: „ემანუილ! ემანუილ!“ ირგვლივ კარის კაცნი შეწუხებით ამბობდნენ: „ეს კარგს არას მოასწავებს, რადგან ბავშვი ახსენებს მკვდარ ძმას, რომელიც თვალით არ უნახავსო.“

მართლა და, რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვი მოკვდა. მეფემაც ამ ნაღველს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა... ხალხი სწუხდა, ღელვარებდა უმეფობას.

ამ დროს გაისმა უცნაური ხმა.

— ემანუალი ცოცხალია! ემანუილი ცოცხალია! ამბობდნენ ხალხში.

ეს ხმა მოედო სოფლებს და ქალაქებს, არავინ კი არ იცოდა, პირველად ვინა სთქვა. აქა-იქ ხედავდნენ ერთს მშვენიერს, მზეთუნახავ ქალს და მოხუც კაცსა, რომელნიც სოფელ-სოფელ კითხულობდნენ და დაეძებდნენ ემანუილს. ბოლოს ამათ მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნეს იმ მთას, სადაც იმალებოდა ემანუილი და მწყემსებმა მიასწავლეს გზა თაიანთ „მამა კაცთან.“

მკურნალი მარტოდ-მარტო, ჩაფიქრებული იჯდა და მწუხარებით შორს გაიყურებოდა. მოსულნი დიდხანს შესცქეროდენ, როდესაც უცბად მოიხედა ამათკენ, და შეჰყვირა:

— რადა! ილია! აქ რამ მოგიყვანათ! რა გინდათ ჩემგან!

— ჩვენ მეფეს დავეძებთ! უპასუხა ილიამ მუხლ-მოდრეკით: ოჰ, მეფევ! განა ჩემ დანაშაულობას როდისმე მაპატიებთ?

ემანუილი შეჰკრთა. მერე წამოიძახა:

— მე? ოჰ, მადლობა ღმერთს, შემიძლია წმინდის გულით გაპატიო! შენ, რადა? სად არის შენი ქმარი?

ამ სიტყვებზედ მწარედ გაიღიმა.

— მე არა მყოლია ქმარი და არ მიღალატნია შენთვის, უპასუხა ქალმა.—მთელი სახელმწიფო მოვიარე, ისე დაგეძებდი. მამა შენი და შენი ძმა გარდაიცვალნენ.

ამის გამგონი ემანუილი იმ წუთასვე წამოხტა და, რომ არ წაქცეულიყო, კლდეს მიებჯინა.

— რადა! წამოიძახა ბოლოს იმან,—შენი ღირსი არა ვარ. ჩვენი მამობილი ხომ მე შემომაკვდა!

— ვიცი! დიდი ხანია ვიცი. სიზმარში ვნახე, ყველაფერი მიამბო და ადგილიც მიჩვენა, რომ შენთვის მომეგნო.

— და შენც მოხველ ჩემთან!

ემანუილმა თვალებზედ ხელები მიიფარა; ქალი მაშინვე მივარდა და გადაეხვია.

ამ დროს გარშემო მოისმა ყვირილი:

„ღმერთმა ადღეგრძელოს მეფე, ჩვენი კეთილი, კაცთმოყვარე მეფე! ღარიბ-ღატაკთა მამა, უძლურითა მფარველი, მწუხარეთ ნუგეშის მცემელი! ღმერთმა ადღეგრძელოს მეფე!“

და ყველა, ვისთვისაც სიკეთე გაეწია, გარს შემოეხვივნენ, ხელფეხს და ტანისამოს უკოცნიდნენ და სხვა-და-სხვა სახელებით იხსენიებდნენ: ემანოილ, მანეი, ექიმო, მეფევ.



7

ემანუილი მოხიბლულივით შესცქეროდა ლამაზ რადას, ხელი მოჰკიდა და მიუბრუნდა ხალხს:

— ამაზედ უკეთესი ქალი ქვეყანაზედ არ მოიპოვება და ეს იქნება თქვენი დედოფალი. უამისოდ თქვენ ვერას დროს ვერ მიპოვიდით!

დიდ ძალმა ხალხმა მიაცილა მეფე სასახლემდის. თან-დათან გზაზედ ხალხი ბლომად ემატებოდა და ერთმანერთს უამბობდნენ მეფის კეთილ საქმეებზედ.

ილია ისევ ადრინდელივით მსახურად შევიდა სასახლეში; იქ დაუხვდნენ ყველანი, ვინც დაეთხოვნათ ბატონიშვილის დაკარგვის გამო.

რადა და ემანუილი ბედნიერად და მხიარულად სცხოვრობდენ; ბევრი მშვენიერი და ჯანმრთელი შვილები ჰყავდათ, თუმცა ეხლა იმ შვილების შვილის შვილებიც კი აღარსად არიან.

მთა კი ისევ ისე უძრავად დგას და ისევ ძველებურად ეძახიან: „ომულ,“ ჩვენებურად რომ ვიტყვით „ქაცო.“

ან. თ — შვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ისტორიული კოკორი.

### წმინდა ნინო და მეფე მირიანი.

მცოდნე კაცები ამბობენ, რომ საქართველოს დასავლეთ ნაწილში:—იმერეთს, აფხაზეთს, ჯავახეთს, სამცხეს და ბათუმის მაზრაში ქრისტიანობა გაავრცელა ანდრია მოციქულმა და სიმონ ქანანელმა. აღმოსავლეთ საქართველოში კი, სამასი წლიწადი რომ გავიდა ქრისტეს შობის შემდეგ, მაშინ გავრცელდა ქრისტიანობა. ამ დრომდე ქართლ-კახეთში ქართველებს კერპობა სწამდათ.

318 წელს საქართველოს მოვიდა ქრისტეს რჯულის საქადაგებლად წმინდა ნინო.

ნასწავლი კაცები ამბობენ, რომ ჩამომავლობით ის მეგრელი იყო. იმის მამას ერქვა სახელად ზაბულონ. ეს კაცი სცხოვრობდა ქვეყანას კაპადუკიას. ქალაქს კოლასტრას იმას ჰქონდა დიდი მამულები. როცა ჯერ ახალგაზდა ყმაწვილი იყო, იმან დასტოვა სამშობლო ქვეყანა, წავიდა რომს და იქ შევიდა სამხედრო სამსახურში. ამ დროს ის ჯერ ქრისტიანი არ იყო. სამსახურში იმან მალე თავი ისახელა და ზედ-დატანებით ქრისტიანობაც მიიღო. შემდეგ შეირთო ცოლად იერუსალიმის პატრიარქის და, სახელად სუსანა. ამ ცოლისაგან მას გაუჩნდა ქალი ნინო. აი, ამ ქალმა მოაქრისტიანა აღმოსავლეთის ქართველები.

12-ის წლისა რომ გახდა წმინდა ნინო, იმისი დედ-მამა ბერად წავიდნენ. ობლად დარჩენილი ნინო დედის ძმამ, ბიძამ —იერუსალიმის პატრიარქმა იუბენალმა—გასაზრდელად მიაბარა ერთს მოხუცს დედა-კაცს, რომელიც ქრისტეს საფლავს ემსახურებოდა იერუსალიმში. ამ დედაკაცთან ის დარჩა ორი წლი-

წადი. აქ იმან შეიტყო, რომ იესო ქრისტეს ჰქონდა უკერავი პერანგი. ამ პერანგს ქართველები ვეძახით სახელად „კვართი.“

როცა ურიებმა იესო ქრისტე ჯვარს აცვეს და მისი ტანისამოსი გაიყვეს, ამ დროს აქ დაესწრო ერთი მცხეთელი ურია, რომელსაც სახელად ერქვა ელიოზი. ამ ურიას ერგო ქრისტეს პერანგი—კვართი. იმან ის პერანგი წამოიღო საქართველოს და აჩუქა თავის დას სიდონიას, რომელიც, როცა მოკვდა, სამარეში ჩაატანეს (კვართი).

წმინდა ნინოს ძალიან სწყინდა, რომ ეს კვართი საქართველოში იყო, მაგრამ ქართველებს კი ჯერ ქრისტე არა სწამდათ. ამისათვის იმას სულით და გულით უნდოდა ამ კვართის ნახვაც და ქართველების ქრისტეს რჯულზე მოქცევაცა.

ამ მიზეზით ის წამოვიდა საქართველოს. გზაზე იმან დიდი წვალება და შიში გამოიარა; დაიწყო თავის ბედზე სამდურავი. მაშინ გამოეცხადა იმას ძილში ღვთის-მშობელი, დაამშვიდა, გაამხნევა და მისცა ვაზის რქისაგან გაკეთებული ჯვარი, რომელსაც ზედ გადაახვია თავისი თმა. როცა გამოეღვიძა, იმან ეს ჯვარი მართლაც თავის ხელში ნახა და ძალიან გაუხარდა. ახლა დაიჯერა, რომ ღმერთი მისი მცველია და მფარველი. აი, ამ ჯვარით ის მოვიდა მცხეთას.

წმინდა ნინოს მოსვლის მეორე დღეს ქართველებს მცხეთაში არმაზ კერპის დღეობა ჰქონდათ. მას დაესწრო ისიცა. აქ ნინომ გაიცნო ქალი შრომანა. ეს იყო მეფის ცოლის პირფარეში გოგო. ამან სთხოვა ნინოს: „მოდი და მეფის სასახლეში ჩემთან იცხოვრეო.“ მაგრამ ის არ გაჰყვა იმას. ამ დროს საქართველოს მეფედ იყო მირიანი.

ხალხი რომ დაბრუნდა მცხეთას, წმინდა ნინოც თან გამოჰყვა იმას. აქ ის შეეხიზნა მეფე მირიანის მებაღის ცოლს ანასტასიას. ეს დედა-კაცი უშვილო იყო. ნინომ უწამლა და მას შვილი მიეცა. ამავე დროს იმან მოარჩინა ერთი სხვა მძიმე ავადმყოფიც.

შეიტყეს თუ არა მცხეთელებმა ნინოსი ასეთი ექიმობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე დაიწყეს მასთან ავადმყოფების მოყვანა. ის ყველას სწამლობდა და არჩენდა სნეულობისაგან. ამისათვის ხალხს ის უყვარდა, ყველანი პატივსა სცემდენ, მოდიოდენ მასთან და რჩევასა და შველასა სთხოვდენ. იმასაც არა ჰშურდა მათთვის თავისი ცოდნა.

ამ გვარის ქცევით და ექიმობით, სამის წლის განმავლობაში, წმინდა ნინომ ძალიან შეიძინა ხალხი, დაიახლოვა და გაიმეგობრა დედა-კაცები. ვისაც კი რამე სიკეთე უყო იმათგანს, ყველას მარტო ის სთხოვა თავის შრომის ფასად, რომ სწამდეს ქრისტე ღმერთი, მისი ჯვარი და ღვთის-მშობელი.

ასე ნაირად იმან დაიმოწაფა თორმეტი დედა-კაცი და ხალხის გულიც მოიგო და მიინდო. ის ახლა ყველას მიაჩნდა წმინდა დედა-კაცად. მეფე მირიანს უკვირდა მისი ცხოვრება და ჰკითხავდა ხოლმე:

— განა შენ ქართველთ ღმერთის, არმაზის, ასული არა ხარ? განა იმან არ მოგცა შენ ის მკურნალი ძალა, რომლითაც სნეულებს არჩენ? მე მჯერა, რომ შენ არმაზის ასული ხარ და ამისთვის გთხოვ: მოდი ჩემთან, იცხოვრე ჩემს სახლში და იყავ ჩემის შვილების აღმზრდელი—მაშინ ხალხი უფრო დიდს პატივსა გცემს. მაგრამ, გთხოვ, ამის შემდეგ აღარ იქადაგო იესო ქრისტეს რჯული, დასტოვო ისა და პატივი სცე ქართველთ ღმერთებს არმაზსა და ზადენსა!

ასე ეუბნებოდა მეფე მირიანი წმინდა ნინოს, მაგრამ იმას არ უყვარდა დიდებულად ცხოვრება. იმან ცხრა თვე ჯერ იცხოვრა ბაღში ანასტასიასთან; მერმე მივიდა იქ, საცა ეხლა სამთავროს ეკლესია არის, გააკეთა ფაცხა, გააგო შიგ ნაბადი, დაასვენა იქ თავისი ჯვარი და დღე და ღამ ევედრებოდა ღმერთს. აქ მოდიოდა იმასთან ხალხი და ისიც არიგებდა და ასწავლიდა ყველას ქრისტეს რჯულსა.

ასეთი პატივის ცემა რომ დაუწყეს წმინდა ნინოს, ის გამხნევდა და დაიწყო უშიშრად ქადაგება ქრისტეს რჯულისა ქალაქს მცხეთას. ამ საქმეში იმას მალვით ჰშველოდნენ: დედო-

ფალი ნანა, შროშანა, ანასტასია, მეფის რძალი სალომე უჯარმელი და სხვანი. იმან მრავალნი ქართველნი კიდევაც მოაქცია ქრისტეს რჯულზე.

ეს ამბავი შეიტყო მირიან მეფემ, გაჯავრდა და დაუწყო წმინდა ნინოს მტრობა. იმას უნდოდა მისი მოკვლა, მაგრამ ნანა დედოფლის ავადმყოფობამ იხსნა ის მირიანის დევნისაგან. ექიმები ბევრს ეცადნენ, მოილალნენ მის წამლობით, მაგრამ ვერა უშველეს რა სნეულს. ამისათვის მიიწვიეს ახლა წმინდა ნინო. ამან განჰკურნა დედოფალი და გამოაცხადა:

„მე კი არა—ჯვარმა ულხინა ავადმყოფსაო."

გახარებულს დედოფალს ნანას უფრო შეუყვარდა წმინდა ნინო, გახდა აშკარად მისი მეგობარი, მოსარჩლე, მოწაფე და სულით და გულით ქრისტიანი.

მეფე მირიანმა არ მოიწონა დედოფლის ასეთი ქცევა. იმაზე გაჯავრებულმა დაუწყო გაქრისტიანებულ ქართველებს დევნა. იმან და სამეფოს დიდებულ კაცებმა მოახდინეს რჩევა და გადასწყვიტეს: წმინდა ნინოც მოვკლათ, დედოფალი ნანაც და სხვანიც, რომელთაც კი ქრისტიანობა მიუღიათო.

მაგრამ მეფემ ვერ აღასრულა თავისი წადილი. ცოლის გაქრისტიანებაზედ გაჯავრებულმა, მოინდომა თავის გასართობად ნადირობა; თან წაიყვანა ერთგულნი კაცნი და გავიდა მცხეთიდგან. ეს ნადირობა გახდა მიზეზად იმის მოქრისტიანებისა. ნადირობის დროს იმას უბედურება შეემთხვა. თხოტის ტყეში (ქართლშია) რომ შევიდა, იმას უეცრად დღე ისე დაუბნელდა, როგორც კუკუმათი ღამე. ის ძალიან შეშინდა; იმან და იმის მხლებლებმა სიბნელეში ერთმანერთი დაჰკარგეს. დარჩა მეფე ტყეში მარტოდ, ჩამოჰხდა ცხენიდგან, დაემხო დედა-მიწაზე, დაიჩოქა, გაშალა ხელები, შეხედა ზეცას და დაუწყო ხვეწნა იესო ქრისტეს. „ღმერთო ნინოსაო! ამბობდა ის: ოღონდ განმინათლე ეს სიბნელე და მშვიდობიანად დამაბრუნე სახლში, მაშინვე მოვქრისტიანდები, ავაშენებ შენს სახელზე სალოცავს, ავმართავ იქ ჯვარს, თაყვანსა ვსცემ იმას და ვიქნები მორჩილი ნინოსიო!"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისცა თუ არა მეფე მირიანმა ღმერთს ესეთი აღთქმა, სიბნელე მაშინვე გაჰქრა და ქვეყანას ისევ სინათლე მოეფინა. იმას ძალიან გაუხარდა სიბნელის უკუ ქცევა, მოჰძებნა თავისი ამხანაგები, შეჰყარა ერთად, გამოუცხადა თავისი აღთქმა, აღარ ინადირა და მაშინვე დაბრუნდა მცხეთას. გზიდგან დედოფალს ნანას წინ კაცი გამოუგზავნა და შეატყობინა თავისი თავგადასავალი და მშვიდობიანად გადარჩენა. შეიტყეს ეს ამბავი, დედოფალს გარდა, მცხეთელებმაც. ყველას უხაროდათ, რომ მეფე გადაურჩა უბედურებას. ხალხი შეიყარა, მიეგება მას წინ ღართის-კარს და სიხარულით შემოაბრძანა სატახტო ქალაქს მცხეთას.

გახარებული მეფე მირიანი პირ-და-პირ სასახლეში არ მივიდა. იმან მიჰმართა ცხენ-და-ცხენ წმინდა ნინოს სადგურს. მივიდა იქ, ჩამოჰხდა ცხენიდგან, დაიჩოქა და მუხლი მოუყარა ჯვარს. მერმე გამოუცხადა წმინდა ნინოს და ხალხს, რომ იმას ჰსურს თვითონაც მოქრისტიანდეს და ხალხიცა.

ამის შემდეგ წმინდა ნინომ ჯერ რამდენიმე დღეს უქადაგა ხალხს სახარების სწავლა და, როცა ხალხმა და თავად-აზნაურობამაც გამოაცხადეს, რომ ქრისტიანობა გვსურს მივიღოთო, მაშინ მისწერა საბერძნეთის იმპერატორს კონსტანტინეს, რომ ქართველებს ქრისტეს რჯულის მიღება უნდათ, და მალე გამოგზავნე მღვდლები იმათ მოსანათლავადო. წერილი გაუგზავნა იმას მირიან მეფემაცა.

კონსტანტინე იმპერატორს ძალიან გაუხარდა ქართველებისგან ქრისტეს რჯულის მიღების სურვილი. იმან მაშინვე გამოგზავნა საქართველოში ეპისკოპოსი ევსტატე, ორი მღვდელი და სამი მთავარ-დიაკვანი. მათი მოსვლა მირიანსაც გაუხარდა და ხალხსაც. პირველად მოინათლნენ სახლში მეფე მირიანი და დედოფალი ნანა; მერმე ეპისკოპოსმა აკურთხა მტკვარი, მოაწყო ძველ ხიდთან ორს ალაგას მდინარეში მოსანათლი ადგილი. ზემოთ მხარეს, ხიდთან, ეპისკოპოსმა მონათლა თავად-აზნაურობა, ამას ქვეით მღვდლებმა მონათლეს მცხეთის გლეხები.

ასე ამნაირად წმინდა ნინომ ჯერ იქადაგა და მოაქცია ქართლში: ჭართალელნი, ფხოველნი, გუდამაყრელნი, ერწოთიანეთლები. მერმე გაიყოლა მღვდელი იაკობი, ერთი მთავარ-დიაკვანი და წავიდა კახეთის მხარეს. აქ სალომე უჯარმელისა და ქიზიყის ერისთვის ცოლის სუჯის შემწეობით იმან მოაქრის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიანა კახეთის ხალხიც. მოაქცია აგრეთვე კასპიის ზღვის პირად მცხოვრები ხალხი, რომელსაც ერქო სახელად კასპი. ერთის სიტყვით, იმან გაავრცელა ქრისტეს რჯული ყველა იმ ხალხებში, რომელნიც ესახლნენ დარიალის ხეობიდგან დაწყებული, ვიდრე კასპიის ზღვამდე.

როცა წმინდა ნინო კადაგებას მორჩა, მოაქცია საქართველოს ერი ქრისტეს რჯულზე, მერმე თავის სადგურად ალირჩია სიღნაღის მაზრა. ის დასახლდა სოფელს ბოდბეში. აქ იმან გაიკეთა ისეთივე ფაცხა, როგორიც ჰქონდა მცხეთაში; დადგა შიგ და ევედრებოდა ღმერთს. აქედგან ის თვალყურს ადევნებდა ქრისტიანობის გაძლიერებას ქართველ ხალხში. მისის დარიგებით მირიან მეფემ ააშენა ყოველგან თავის სამეფოში ეკლესიები, საცა საკერპოები იყვნენ; ამართა აგრეთვე ოთხი ჯვარი: ერთი მცხეთაში, საცა ეხლა მთავარ-ანგელოზის ეკლესიაა მთაზე, მეორე იქ, საცა მეფეს მზე დაუბნელდა—თხოტის მთაზე, მესამე—ჯავახეთში და მეოთხე ამართა კახეთის მხარეს, საცა ეხლა სოფელი უჯარმა არის, და უბრძანა ხალხს, კერპების მაგივრად, იმათ წინაშე ელოცნათ ღვთისადმი.

ასე და ამ ნაირად წმინდა ნინომ იქადაგა 17 წელიწადი და მოაქცია ქრისტეს რჯულზე აღმოსავლეთის ქართველები. გარდაიცვალა კახეთს, სოფელს ბოდბეს 67 წლისა, 14 იანვარს, ქრისტეს შობიდგან 335 წელს.

მირიან მეფეს უნდოდა მისი გვამის მცხეთაში წამოსვენება, მაგრამ იმან სიცოცხლეშივე სთხოვა მას, რომ სოფელს ბოდბეს, ჩემს ფაცხაშივე, დამასაფლავეო. მისი ანდერძი აღასრულეს. მირიან მეფის შვილმა ბაქარ მეფემ მის საფლავზე ააშენა ეკლესია.

ამის შემდეგ მირიან მეფესაც დიდ-ხანს აღარ უცოცხლნია. სიკვდილის დღეს იმან მოატანინა თავის წინ წმინდა ნინოს ჯვარი, დააჩოქა იმის წინ თავისი შვილი ბაქარი, მისცა შვილს დარიგება; მერმე მოჰხადა ჯვარს გვირგვინი, დაჰხურა თავზე თავის შვილს ბაქარს და დასვა მეფედ საქართველოში. ის გარდაიცვალა 342 წელს და ასაფლავეია მცხეთას, სამთავროს ეკლესიაში.

ასე, ამ ნაირად წმინდა ნინომ საქართველოს თავს მოჰხადა წარმართობის გვირგვინი მეფისა და დაჰხურა გვირგვინი ქრისტიანობისა. ქრისტიანობა გამეფდა საქართველოში. ეს მოჰხდა 318-სა და 335 წლებს შუა.

მირიანი იყო პირველი ქრისტიანი მეფე საქართველოსი.

მღვდელი დიმ. ჯანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰაერი და მისი თვისებანი*)

### თავი VI.

ჩვენ ეხლა შეგვიძლია გავიგოთ, აქვს თუ არა ჰაერს სიმძიმე. ამისათვის სასწორი არ დაგვჭირდება; საჭიროა მხოლოდ დავაკვირდეთ ჰაერის იმ თვისებას, რომელიც ჩვენ უკანასკნელად გავიცანით.

მართლადაც, თუ ჰაერს სიმძიმე აქვს, იგი ზევიდამ ქვემოთ უნდა აწვებოდეს; ეს დაწოლა ანუ მიწოლა, რასაკვირველია, სხვა მხრებისკენაც იქმნება. თუ ჰაერს სიმძიმე არ აქვს, ის ვერცა რას დააწვება. აბა, მართლა, ვსცადოთ, აწვება ჰაერი საზოგადოდ რომელსამე საგანს, თუ არა.

ცდა მე-12. აავსეთ სტაქანი პირამდის წყლით (სურ. 12); დაახურეთ სტაქანს ქაღალდის ნაჭერი; ქაღალდი ხელით დაიჭირეთ, უცებ სტაქანი გადააპირქვავეთ და მერე ქაღალდს ხელი მოაშორეთ. თქვენ შეამჩნევთ, რომ წყალი სტაქნიდამ არ იღვრება. რატომ? ეს მოვლენა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ამ გვარად



სურ. 12-ე.

ავხსნათ: ჰაერს აქვს სიმძიმე და ამიტომ ყველა საგანს ყველა მხრიდგან აწვება; იგი აწვება აგრეთვე ქაღალდს, რომელიც ქვემოდამ სტაქანს აქვს მიფარებული. რასაკვირველია, იმავე ქაღალდს ზემოდამ სტაქანში მყოფი წყალი აწვება, მაგრამ ჰაერის მიწოლა ზემოდამ წყლის დაწოლას უფრო გარდაემეტება; ამიტომაც წყალი სტაქნიდამ არ იღვრება. რომ ესე არ იყოს, ე. ი. რომ ქვემოდამ ჰაერი არ აწვებოდეს, აბა, სხვა რაღა დაიჭერდა წყალს სტაქანში?

ეს ცდა შეგიძლიათ გაიმეოროთ სხვა ჭურჭლითაც: ბოთლით, სურით და სხვ.

ამ ცდაში ჰაერი წყალს მარტო ქვემოდამ აწვება; აქეთ-

---

*) იხ. „ნობათი"-ს №№ II III და IV.

იქით მხრებიდამ და ზემოდამ ჰაერს დაწოლა არ შეუძლია, რადგან მას სტაქნის კედლები უშლის.

ჩვენ აქედამ ადვილად მივხვდებით, რომ წყალი მხოლოდ მაშინ დაიღვრება, როდესაც მისი დაწოლის ძალა ჰაერის ძალას გადააჭარბებს. შესაძლებელიც არის, რომ ეს ესე მოხდეს.

Ავიღოთ სტაქნის მაგივრად სხვა რამ დიდი ჭურჭელი, ისეთი კი, რომ **35** ფუტის ან უფრო მეტი სიმაღლისა იყოს. Ამ შემთხვევაში წყალი უსათუოდ დაიღვრება, მაგრამ სრულიად კი არა: იქამდის დაიღვრება წყალი, სადამდისაც მისი დაწოლის ძალა ჰაერის მიწოლის ძალას შეეფარდება. Თქვენ ამის ცდა არ შეგიძლიათ, რადგან ამოდენა ჭურჭელს ვერ იშოვით; შემდეგ უიმისოთაც დარწმუნდებით, რომ ეს მართალია.

ქაღალდზედ ზემოდამ დაწოლის ძალა თქვენ სხვაფრივაც შეგიძლიოთ გაადიდოთ.

**ცდა** მე-13. ძაბრის ლულის ბოლოს თითი მიაფარეთ (სურ. 13) და შემდეგ წყლით აავსეთ; შემდეგ ზემოდამ ქაღალდი დააფარეთ და ისე დააპირქვავეთ, როგორც ზემოდ ცდაში სტაქანი. Წყალი არ დაიღვრება.—რატომ? რა მოხდება, ლულას რომ თითი მოვაშოროთ? Სანამ თითს მოვაშორებდეთ, ქაღალდს ზემოდამ, როგორც წინა ვსცადეთ, მარტო წყალი აწვება, ქვემოდამ კი ჰაერი, და რადგან ჰაერის ძალა გარდაემეტება, ამიტომ წყალი ძაბრიდამ არ იღვრება. როდესაც ძაბრს თითს მოვაშორებთ, ქაღალდს ზემოდამ წყლის გარდა იგივე ჰაერიც დააწვება იმავე ძალით, რა ძალითაც ქვემოდამ აწვება; მაშასადამე, ამ შემთხვევაში ზემოდამ დაწოლა დასძლევს და ამიტომ ქაღალდიც მოვარდება ძაბრს და წყალიც ხომ, რასაკვირველია, დაიღვრება.


სურ. 13-ე.

ძაბრის მაგივრად თქვენ შეგიძლიათ საცდელად აიღოთ უძირო ბოთლი, ლამპის შუშა ან სხვ.

**ცდა** მე-14. რომ ჰაერს აქვს სიმძიმე, ეს ჩვენ უფრო ადვილად შეგვიძლია შევიტყოთ შემდეგის საშუალებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აიღეთ მომზადებული ტუმბო. ბოლომდის მაგრად ზუმბა გაატარეთ და ამ ბოლოზედ ტუმბოს ბუშტი გაუკეთეთ; შემდეგ იგივე ზუმბა მეორე ბოლოსაკენ გასწიეთ (სურ. 14). აქ თქვენ შეამჩნევთ, რომ ბუშტი შიგნით შეიწევს ძლიერ. რათა?—როდესაც ზუმბა თქვენკენ გასწიეთ, მაშინ ამ ზუმბას და ბუშტს შუა მყოფი ჰაერი გათხელდა, განზედ გაიწია, ამიტომ ამ შიგა ჰაერმა ბუშტზედ მიწოლის ძალა დაიკლო; გარეთა ჰაერმა ამის გამო დასძლია, და ბუშტი შიგნით შედრიკა.


სურ. 14 ქ.

ბიტკაცუნებიათ თუ არა პირით ხის ფოთლები? ზოგიერთმა ბავშემა მშვენივრად იცის ფოთლების ტკაცუნი: აიღებენ ფოთოლს, მიიდებენ გალებულს პირზედ და შეისრუტავენ ჰაერს; გარეთა ჰაერი მაშინ ღონივრად მიაწვება ხოლმე ფოთოლს და, რადგან ფოთოლი ამ მიწოლას ვერ უძლებს, ამიტომ იგი გასქდება და ტკაცანს გაიდენს ხოლმე.

უსათუოდ ყოველს თქვენთაგანს უნახავს და, თუ არ უნახავს, ეხლა ვუამბობ შემდეგ დიდად საყურადღებო მოვლენას: აიღეთ პატარა შუშა (თუნდა ისეთი, როგორსაც წამლისათვის ხმარობენ ექიმები), ჩაიდეთ იმისი ყელი პირში და იქიდამ ჰაერი შეისრუტეთ; შემდეგ, სანამ ხელმეორედ ჰაერით გაივსებოდეს, მოკუმშულს პირში, შუშის პირს ენა მიაფარეთ. Თქვენ აქ დაინახავთ, რომ შუშა ენას მიეკვრება: რომ გააღოთ პირი, გამოჰყოთ ენა,—შუშა ენაზედ ჩამოეკიდება. რა მიზეზია?—Თქვენ შუშაში მყოფი ჰაერი პირში შეისრუტეთ, ამიტომ შიგნიდამ შუშის კედლებზედ ჰაერი ისე ღონივრად ველარ მიაწვა, როგორადაც აწვება გარედამ; რადგან ჰაერი შუშას გარედამ უფრო ღონივრად აწვება, ვიდრე შიგნიდამ, ამიტომ ეს შუშა ჰაერის დაწოლის ძალამ ენაზედ მიაკრა ან, სულ ერთია, ენა შუშას მიაკრა.

ეხლა კი შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჰაერს აქვს სიმძიმე და ამიტომ იგი ყველა სხეულს აწვება, თუმცა კი ამ დაწოლას არა სხეუ-

ლი არ, ჰგრძნობს, რადგან ჰაერი აწვება სხეულ ყოველის მხრიდგან: გარედამ, შიგნიდამ, ქვემოდამ, ზემოდამ და სხვ

სხვა-და-სხვა ცდათა შემწეობით შევიძლიათ შეიტყოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჰაერის სიმძიმეს.

ცდა მე-15. აავსეთ წყლით პირამლის ბოთლი ან სტაქანი, ზევიდამ დახურეთ ქაღალდი, შემდეგ წყნარად დააპირქვავეთ და ესე დაპირქვავებული წყალში ჩაუშვით (სურ. 15). როდესაც წყალში ქაღალდს გამოაცლით, თქვენ შენიშნავთ წყალი ბოთლიდამ არ გამოდის. რათა? წყალი რომ ბოთლიდამ გამოვიდეს, მაშინ ჯამში წყალი აიწევოდა; მაგრამ ამ წყალს ზემოდამაც ჰაერი აწვება და, რადგან ჰაერის დაწოლის ღონე აჭარბებს, ამიტომ ბოთლიდამ წყალი ველარ გამოდის და შიგვე ჩერდება. თუ რაიმე ღონის-ძიებით ჯამს ჰაერს მოვაშორებთ, მაშინ ბოთლიდამ წყალი უცებ ჩამოუშვება. ბოთლიდამ წყალი მაშინაც გამოვა, თუ შიგ ამ ბოთლში ჰაერს შეუშვებთ.



სურ. 15-ე.

ცდა მე-16. აიღეთ ძაბრი, მილს თითი მიაფარეთ და წყლით აავსეთ; შემდეგ დახურეთ ქაღალდი, დააპირქვავეთ, ჩაუშვით წყალში და გამოაცალეთ ქაღალდი (სურ. 16). როგორც წინათაც ნახეთ, ძაბრიდამ წყალი არ წამოვა. აბა, თითი ცოტათ ახადეთ: ჰაერი ცოტ-ცოტად ძაბრში შევა. ამის გამო შიგნიდამ დაწოლას ძალა მიემატება, რადგან ჯერ მარტო წყალი აწვებოდა და ეხლა ჰაერიც აწვება. წყალი ძაბრის ლულაში ამიტომ ძირს დაიწევს. შემდეგ თითი სულ მოაცალეთ,—წყალი ძაბრში სულ ჩამოვა ძირს და დადგება იმ სიმაღლეზედ, რა სიმაღლეზედაც ჯამში იდგება.



სურ. 16.

უკანასკნელს ცდაში თქვენ ჰაერი შეუშვით ძაბრში ზემო-

დამ, რის გამოც წყალი ქვემოთ ჩამოვიდა; წყალი ჩამოვა აგრეთვე მაშინაც, როდესაც ჰაერს ძაბრში ქვემოდამ შეუშვებთ.

ხალხმა დიდი ხანია ჰაერის სიმძიმე საქმეში გამოიყენა. თქვენ იქნება გინახავთ და გაგიგონიათ წყლის ტუმბო; წყლის ტუმბოს ხმარობენ დიდ სიმაღლეზედ წყლის ასატანად. სიმაღლეზედ წყლის ატანა სხვა-და-სხვა ჭურჭლებით შეიძლება: ბოჩკებით, კოკებით, მაგრამ ეს დიდად სამძიმოა და კაცს ბევრ დროსაც ართმევს. მოხერხებულმა კაცებმა ეს მუშაობა მიანდვეს ჰაერს. თქვენ ეხლა დაინახავთ, რომ ჰაერს უფრო მარდად და კარგადააქვს სიმაღლეზედ წყალი, ვინემ კაცს. ძაცის საქმეა ამ შემთხვევაში მხოლოდ—მისცეს ჰაერს ჯეროვანი გზა და კვალი და გონივრულად მოიხმაროს.

სჯობს თვითონ თქვენ გააკეთოთ წყლის ტუმბო,—უფრო ადვილად მიხვდებით მის მნიშვნელობას და მოხმარებას.

ცდა მე-17. აიღეთ ის ტუმბო, რომელიც თქვენ უკვე მოგიმზადებიათ და კიდეც გიხმარიათ. ბოლომდის მისწიეთ ზუმბა და ამ ბოლოთი ტუმბო წყალში ჩაუშვით; შემდეგ ამისა ზუმბა ნელ-ნელა ამოსწიეთ. ზუმბის აწევის და-გვარად წყალიც ზევით ამოიწევს. რათა? ზუმბას და წყალს შუა ტუმბოში ჰაერი არ იყო; მაშასადამე, რა წამს ზუმბა ზევით აიწევს, უსათუოდ წყალიც უნდა აჰყვეს, რადგან წყალს ყველგან ჰაერი აწვება.

წყლის ტუმბო, რომელიც ზემოდ ვახსენეთ, ამ აღწერილ ტუმბოსაგან ცოტად განირჩევა: ნამდვილ წყლის ტუმბოს, გარდა სხვა ნაწილებისა, უსათუოდ უნდა ჰქონდეს, ესე წოდებული, მოძრავი სახურავები („კლაპანი“).

აბა, გასინჯეთ სურ. მე-17. ეს სურათი წარმოადგენს წყლის ტუმბოს.




სურ. 17-ე.

ტუმბოს უმთავრესი ნაწილებია: მილი და მასში მოძრავი ზუმბა (ვ). ტუმბოს ქვემოთა ნაწილი უფრო ვიწროა და ჩაშვებულია წყალში: ჭაში, მდინარეში ან სხვ. ზემოთა, განიერ ნაწილში, მოძრაობს ზუმბა, რომელსაც შუა გულში ნახვრეტი აქვს (დ); ეს ზუმბა ძლიერ მჭიდროთაა გატარებული მილში,—ისე მჭიდროდ, რომ მას და მილის კედლებს შუა ჰაერს გასვლა-გამოსვლა არ შეუძლია.

ვიწრო მილის (ა) ბოლო დახურულია მოძრავი სახურავით (ე). ორივე სახურავები დ და ე იხდებიან ზემოთკენ. ეხლავ გაიგებთ მათ დანიშნულებას.

როდესაც ზუმბას ზევით ასწევენ, მაშინ სახურავი დ მჭიდროდ დაეხურება ნახვრეტს, რადგან მას ზემოდამ ჰაერი დააწვება. იმავე დროს მეორე სახურავი ე ზემოთკენ აიხდება, რადგან ჯერ ჰაერი და მერე, როდესაც ჰაერი სულ ამოვა, ქვემოდამ მას წყალი მოაწვება. რაკი წყალი ამ სახურავს ახდის, იგი მილის ქვემოთა ვიწრო ნაწილიდგან ზემოთა განიერ ნაწილში გადავა. ამ დროს ზუმბა ახლა ზემოდამ დააწვება, სახურავი ე დაიხურება და სახურავი დ კი აიხდება; ამიტომ წყალი ზუმბის ზემოთ ავა და აქედამ მილის (გ) შემწეობით სულ გარეთ გავა.

ამ გვარად ზუმბას, მისი ხელის (ბ) შემწეობით, ხან ასწევენ, ხან დასწევენ და წყალიც განუწყვეტელად გადმოიმჩქეფარებს ტუმბოს მილიდამ (გ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ႢႠႫႭႱႠႺႬႭႡႨ ႩႥႠႣႰႠႲႤႡႨ.

1)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 1 | 3 | 6 |
| 3 | 5 | 3 | 5 | 2 |
| 8 | 3 | 2 | 4 | 8 |
| 1 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 3 | 4 | 5 | 1 |

ამ კვადრატებში ჩაწერილი ციფრები ერთი კვადრატიდამ მეორეში ისე გადასვ-გადმოსვით, რომ ყოველ მხრივ წაკითხვაში გამოვიდეს ოცი.

2)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ა | ე | ი | ა | ა |
| | ა | მ | ი | ლ |
| | | ი | ა | ლ |
| | | | ე | ი |
| | | | | ლ |

ამ კვადრატებში ჩაწერილი ასოები ერთი კვადრატიდამ მეორეში ისე გადასვ-გადმოსვით, რომ მარცხნიდამ მარჯვნივ წაკითხვაში სახელები გამოვიდეს.

---

### არითმეტიკული გამოცანები.

(წარმოდგენილი ბ. თ. კ—კისაგან).

1 დასწერეთ ოთხი ერთნაირის ციფრით რიცხვი ასი და ხუთი ერთნაირის ციფრით რიცხვი ათასი.

2. ორმა მამამ და ორმა შვილმა სამი კურდღელი მოჰკლეს; თითო იმათგანს კი თითო კურდღელი მოჰქონდა შინ.

---

### ახირებული კითხვები.

1. რატომ არ შეიძლება, რომ ორი დღე ზედი-ზედ იწვიმოს?
2. რომელ თვეში უფრო ცოტასა სჭამს ადამიანი?
3. შავ ზღვაში რომ თეთრი ქვა ჩავაგდოთ, რა მოუვა?

## მე-4 №-ის კვადრატების ახსნა.

პირველი კვადრატი წაიკითხება: ხელ-ცარიელი.

| | |
|---|---|
| თ | ი |
| ვ | ა |

| | | |
|---|---|---|
| 2 | 7 | 6 |
| 9 | 5 | 1 |
| 4 | 3 | 8 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მ | | |
| | თ | ვ | ე | |
| მ | ვ | ე | რ | ი |
| | ე | რ | ი | |
| | | ი | | |

---

## მე-4 №-ის გამოცანების ახსნა.

1) ენა. 2) ჯოხი. 3) დედა-მიწა. 4) სანთელი.

## მე-4 №-ის რებუსის ახსნა.

წელი ხის ტოტის ნაჭერი, თავი მიწისა აბია,
თუ კაცი ხელს არ შეახლებს, მას სული გაუნაბია;
მწარე ბალახს სჭამს ცეცხლითა, მაშინ ვით გველ-ვეშაპია,
პირით და კუდით ბოლი სდის, ძვირიც არ არის, იაფია.

**ჩიბუხი.**

(წელი ხისტოტი ს ნა ჭერი თავი მი წისა ა ბია თუ კაცი ხელ' ს არშეა ხლებს მას სული გა უნაბი ა მწა რე ბალახ' ს ს ჭა მს ცეცხლი თამაში ნვით გველ' ვეშაპი ა პირი თ და კუდი თ ბოლი სდის ძ ვირი ცა რ არის ია ფ ია).

**ეს რებუსი ახსნეს:** 1) მ. ჯაჯანაშვილმა (თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლემ), 2) ნ. მატველევმა (თბილ. რეალურ სასწავლებლის 3 კლასის მოსწ.), 3) ნ. მელიქიშვილმა (თბ. 1-ლი გიმნაზიის მე-3 კლასის მოსწავლემ), 4) ვ. ქასაბიშვილმა (გორის სასულ. სასწავლებლის მე-3 კლასის მოსწავლემ), 5) გ. ამილახვარიშვილმა (კასპიდან). სანუქარი ერგო ამათგანს 1-სა, მე-4 და მე-5.

# შაშვი კაკაბი შეიბნენ.

(სახალხო სიმღერა).

მძიმედ (*Largo*) გადაღებული ს. კასრაძისაგან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახსოვრად.

დღეს სერგეი მესხის მიცვალების წლის თავია!.. გონებას ჰსწამს მისი დაკარგვა, მაგრამ გულს კი არა სჯერა და კიდევ გვგონია, რომ, აი, სადაც არის, გააღებს კარებს, შემოვა და ჩვეულებრივის ღიმილით გამოგვეცხადება ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგი!.. ან და სადმე ქუჩაში წინ შევხვდებით დაქანცულს, სახე-დაღვრემილს, დღიურ-საშუალობის მეძიებელ რედაქტორს, რომ ხვალ კიდევ ერთი ნომერი გამოსცეს როგორმე!!..

დიახ, სწორეთ დღეს, ამ 21 მკათათვეს, წელიწადი შესრულდა, რაც ის აღარ არის ჩვენთან, მაგრამ განა წელიწადს შეუძლიან დაგვავიწყოს ის, ვისიც სახე და სახელი კუბოს კარამდე გულის ფიცარზე გვაქვს დაბეჭდილი? ვინ არ იცის, რომ სიჭაბუკის მეგობარი, რომლისათვისაც ადამიანს გული გაუზიარებია და რომელთანაც ერთად სიამოვნება და ლხინი უნახავს, სიკვდილამდე დაუვიწყარია?.. თურმე უფრო დაუვიწყარი ყოფილა ის, ვინც ჭირში გვერდში გდგომია და ვისთანაც, გარდა საერთო საზოგადო ტანჯვისა, გასაზიარებელიც არა გქონია-რა!..

დიახ, სანამ ის გზა, რომელზედაც ჩვენ ვიდექით, რომელსაც გვკვალავდით და სისხლის ოფლითა ვრწყავდით, არ მოგვშლია; სანამ ის მიზეზები, რომლისადმიც ჩვენ ერთად მივილტვოდით, არ გამჰქრალა,—სერგეი მესხიც ცოცხალივით ჩვენს გვერდით იდგომება სიმხნისა და ნუგეშის მცემელად! ყოველი მოღვაწე დრო და ადგილის ვითარების დაფასებით უნდა იხსენიებოდეს...

განსვენებული სერგეი იმ დროის მოღვაწეთაგანი იყო, რომელსაც მარტო-ხელობის პერიოდი (ხანა) უნდა დაერქვას ჩვენს ცხოვრებაში! მარტო-ხელა კაცმა, რომ საოჯახო ცეცხლი არ დაუქრეს, ყოველიფერი თვითონ უნდა აკეთოს, ყოველიფერს ხელი უნდა მოჰკიდოს; აქაც იყოს, იქაც და მისი დღე და ღამე ათას-გვარ სხვა-და-

სხვა საქმეს უნდა მოანდომოს, როგორც წვრილმანს, ისე მსხვილებსაც. რასაკვირველია, ცალკ-ცალკე მის ნამუშევარს დიდი ძალა და ნამუშავრობა არ დაეტყობა, მაგრამ იმ ყველა წვრილმანებს რომ ერთად თავი მოვუყაროთ და ისე ავსწონოთ, მაშინ კი დავინახავთ იმ მარტოხელა მუშაკის ძალ-ღონესა და ბეჯითობას. როდესაც მისი მარტოხელობა გათავდება და ახალი მუშები წამოეზრდებიან, მაშინ კი სულ სხვა არის!.. იმ ერთის სამუშაო ბევრათ გაიყოფა, თვითოეული თვითო რომელიმე საქმეს დაადგება, საკუთრად მას მოანდომებს მთელს მის დროსა და ძალას და, რასაკვირველია, საქმე უკეთაც გაკეთდება. მაგრამ იმას მაინც არა აქვს ნება, რომ მამას უსაყვედუროს, არარაფრად ჩააგდოს და უთხრას: მე, აი, როგორი მუშა ვარ და შენ კი ეს საქმე ჩემსავით ვერ გიწარმოებიაო! მაშინ მამას შეუძლია საფლავიდგანაც უპასუხოს: ჰოი, უმადურო და გაუსწავლელო! შენ ერის საქმეს ადგიხარ, წინაც გზა გაკვალული გიძევს და მე კი დრო და ჟამმა სულ სხვა მახვედრა წილადო!..

სწორეთ ამ გვარივე მარტო-ხელობის ჟამი იყო საზოგადოთ, როდესაც სერგეი მესხი, ზოგიერთებთან ერთად, გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზედ. გრძნობიია და სურვილებით აღვსილი ახალ-გაზდა, ჭაბუკი, გამოდის ცხოვრების სარბიელზე და ჰხედავს, რომ მის წინ ორი გზა იშლება: ერთი საპირადო და მეორე საზოგადო. პირველი აქადის მას კეთილ-დღეობას, ყოველ-გვარ ხორციელ წარმატებას, ამაღლებას და დიდებას; მეორე კი ტანჯვას, სიღარიბეს, შიმშილ-წყურვილს, უმეტესობის, და მერე როგორის უმეტესობის, თვალში დამცირებას, უბრალო რამ სურვილებისაც კი უხმოდ გულში ჩაკვლას, სხვებისაგან დევნას, თავისიანებისაგან გაწირვას და სხ. და სხ. მაგრამ ის კი მაინც უკანასკნელს ირჩევს და საზოგადო გზას ადგება. ოხვრით იკიდებს წინათვე დანახულ ტვირთს, მიდის, იქანცება, დნება ნელნელა და ბოლოს იმ აუტანელ ტვირთ ქვეშ შუა გზაზე ეცემა და მხოლოდ ასე ესაყვედურება თავის უკუღმართ ბედსა: „ვაი, რა უდროვოთა ვკვდები!.. ჯერ კიდევ შემეძლო ჩემი საქმე გამეგრძო და მემუშავნა!..“ ქ. ი. მეტანჯაო, რაღა. წმიდა არის ამ გვარი გრძნობა... და სათაყვანო!..

ბევრი გვყოლია ჩვენ მოწამეები და მამულისათვის თავ-დადებულები!.. მათი ტანჯვა და მოწმობა მსწრაფლი ყოფილა: ისინი რამოდენიმე საათში დაწურულან სისხლად ბრძოლის ველზედ და ან საკირეში ჩადულებულან თვალ-სახჩინოდ და სათანაგრძნობოდ. ქება და დიდება მათ! მაგრამ რითი არიან მათზე ნაკლები ისინი, რომელთაც ხან-გრძლივის მოწმობით და ტანჯვით სული დაულევიათ?.. რას აძლევს ჩვენი ქვეყანა მათის შრომის სამაგიეროს ან მატერიალურად და ან ზნეობითად?—ბევრს, ძალიან ბევრს.. შეიძლება რომ რომელიმე მათგანს სადილი სადმე გაუმართონ, მაგრამ თვითონ სადილის მიზეზი კი სადილის ჭამას გადაჩვეულიც იყოს...—რომ მოკვდება, ზოგიერთა კუდაბზიკები მხოლოდ თავის თავის გამოსაჩენათ ყვავილების გვირგვინს დაადებენ თავზე... სიტყვასაც წარმოსთქმენ თავისავე საქებრად და გაჰყვებიან საფლავამდე თვალის-საჩინოს სანახავად... გარდა ერთი-ორისა, უმეტესობა სწორედ ამ გვარად მოიქცევა. და ნუთუ ეს არის სამაგიერო მოღვაწის ნამსახურისა?..—ძალიან ცოტაა, ძალიან! მაგრამ სერგეი მესხისთანა კაცები ამ ცოტასაც არ მოითხოვენ თავის თანამოძმეებისაგან. იმათი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ მათ გზაზე მომავალში სხვებმაც გაიარონ!

საუკუნოდ იყოს სერგეი მესხის ხსენება და იკურთხოს სამარადისოდ მისი საფლავი...

აკაკი.

## პედაგოგიური ნაწილი

### ზნეობითი წესიერების დაცვა სკოლებში.

Quo semel est imbuta recens,
servabit odorem testa diu.

ერთი უმთავრესი პირობათაგანი სკოლის კეთილ განწყობისა არის მოსწავლეთა შორის **ზნეობითი წესიერების** დაცვა. ბევრი ჰფიქრობს, რომ წესიერება მაშინ არის სკოლაში, თუ იქ სიჩუმეა, სიმშვიდე. არა, ესე რომ იყოს, შეცდომილება იქნებოდა.

უფრო განსაკუთრებული შეხედულება უნდა ვიქონიოთ ჩვენ ზნეობითს წესიერებაზე, თუ რომ გვინდა სკოლები არ დარჩეს იმავე მდგომარეობაში, რომელშიაც ისინი დღემდე არიან.

ზნეობითი წესიერება სკოლებში უნდა იყოს დამყარებული, უმთავრესად, იმ პირთა ზნეობით გავლენაზე, რომელთაც მოსწავლეთა გონებითი და ზნეობითი აღზრდის მოვალეობა უკისრნიათ. რუსის პედაგოგი ბ. მირაპოლსკი, აი, რას ამბობს ამის შესახებ: „ის (ზნეობითი წესიერება) **უნდა იყოს მთელი სკოლის ზნეობითის აღზრდის სისტემის ზედ-მოქმედება თავის მოსწავლეებზედ..**“ აი, კიდევ: **ზნეობითი წესიერების მიზანს უნდა შეადგენდეს ის, რომ შემუშავდეს მოსწავლეთა ბუნებაში ზნეობითი ჩვეულებები, გონიერი დამორჩილება წესებისა და, უმთავრესად, შემუშავდეს მათში მტკიცე ხასიათები, მიმდევარი იმ პრინციპებისა, რომელსაც ადამიანი ჭეშმარიტებად ჰსცნობს და თავის ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ ირჩევს**“-ამბობს იგივე პედაგოგი მირაპოლსკი.

თუ მასწავლებელი ან აღმზრდელი თავის ამხანაგებში საპატიო პირია—იშვი არ არის, ამათთან მოსწავლენიც მისი პატივის მცემელნი და გამგონიც იქნებიან. ამისათვის საჭიროა სწავლა-განათლების საქმის მიმდევართ ყველა ეს შეთვისებული ჰქონდესთ და არ იყვნენ ამას მოკლებულნი. და თუ ისინი მოკლებულნი არიან ამ ერთად-ერთ

უძვირფასესს თვისებას, რომლითაც ისინი ყველასაგან შეყვარებულნი ხდებიან, მაშინ სკოლაში წესიერების აღსადგენად და დასაცავად ისინი რომელიმე სხვა **ძალ-დატანებითი** საშუალებების შემოღებას სცდილობენ.

ყოველივე უმანკო დანაშაულობა ყმაწვილებისა, მაგალ.: დაგვიანება კლასში მოსვლით ან მელით კედლების დაჯღაბნა, ან კარზე სირბილი, ანა და ამხანაგების ერთმანერთს-შორის უსიამოვნობა—ყველა ამ გვარ მოქმედებისათვის ჩვენ მზათა ვართ სასტიკად დავსაჯოთ, მაშინ როდესაც ზემომოყვანილი შეცოდებები ყმაწვილებისა, ვიცით, ჩვეულებრივია ყველა სკოლებში.

ამხანაგები ერთმანერთს აეშალნენ, ვსთქვათ, რასაკვირველია, სწავლისაგან თავისუფალს დროს. დანაშაული არ უნდა იყოს დასჯილი და დაჩაგრულმა არ უნდა იპოვოს თავის უფროსში გრძნობა შეცოდებისა, მიტომ რომ სკოლა, ე. ი. მზრუნველები და მასწავლებელნი არასოდეს არ უნდა შევიდნენ ყმაწვილების დანაშაულის გამოძიებაში: ეს თვითონ მათი საქმეა. ამისათვის მათ ერთხელვე უნდა იცოდნენ, რომ ისინი უფროსებისაგან არავითარ დაფარვას ანუ გამოსარჩლებას არ ნახვენ.

არიან მოსწავლენი, რომელთაც დედის ძუძუთი შეზრდილი აქვთ სულ-მდაბლობა, დაბეზღება. ამათთვის მასწავლებელთან ან, საზოგადოთ, უფროსთან ენატანიობა უპირველესი ხერხია თავის გამართლებისათვის, თუ გაჭირვებაში ჩავარდა. თუ ერთხელვე მოისპო სკოლაში ამ გვარი ჩვეულება, მაშინ ამ ხასიათის ყმაწვილებსაც მოაკლდებათ თავის ამხანაგების გამცემლობის და ჯაშუშობის საშუალებებიც. ამ რიგად დაწყობილ სკოლაში უწესოება მოსწავლეთა შორის ვერ მოთავსდება და ცრუობა აღარ დაენერგებათ მათ. ჯაშუშობას და შევიწროებას მოკლებულნი ყმაწვილები მხოლოდ თავის და ერთმანერთს შორის ამხანაგების პასუხის მიმცემნი იქნებიან და არასფერი დაფარული არ დარჩებათ. იმას უნდა სცდილობდეს სკოლა, რომ ყმაწვილებს ერთმანერთისა არ უნდა ერიდებოდეთ, გულ-ღია და პირ-ნათლად უნდა უყურებდნენ ერთმანერთსა.

ამ სახით უნდა ვეცადოთ განვაძლიეროთ სულის ძალა ყმაწვი-

ლისა, რომ ყოველი გაუბედაობა დაიკარგოს, მოისპოს მასში და სამაგიეროდ დაიბადოს, განძლიერდეს და გამაგრდეს დამოუკიდებლობა... ამ საშუალობით ყმაწვილი თავიდამვე ეჩვევა და სცდის თავის ზნეობითს ძალას; მასთან ამით ის იწყებს ცხოვრების გამოცდასაც.

რა თქმა უნდა, რომ ამ გვარი თავისუფლება უნდა იქმნეს ზნეობით ზედამხედველობის ქვეშ, რომ მით ეძლიოს სწორე და საჭირო მიმართულება. მთელი აღზრდის სისტემა სკოლაში უნდა დაამყაროს ყმაწვილების ინსტინქტების ნდობაზე; ამისათვის მან არასოდეს არ უნდა ჰყოს უარი ამ ინსტინქტებს.

სადაც არ უნდა აიღო, ჩვენ სკოლებში წესიერებას იმას ეტყვიან, თუ ყმაწვილები მორჩილი და გამგონი არიან. კარგი და პატიოსანი, თუ ეს ორი თვისება თავისუფალის ზნეობითი აღზრდის შედეგია!..

ჩვენში, რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ ყმაწვილის საკუთარი ნება დამორჩილებულია; ყოველი მისგან უნებლიეთ წარმოთქმული სიტყვები გამოურკვევლად არ რჩება. ამ ჩვეულებების შემწეობით ყმაწვილი ხდება წყნარი, მორჩილი გარეგანის შეხედულობით, მაგრამ ნამდვილად კი—თვალთ-მაქცი და ფარისეველი. ამ სისტემიდგან კიდევ ის წარმოსდგება, რომ ყმაწვილი ჰკარგავს თავის ბუნებითს თვისებებს და იძენს დახელოვნებულს ცუდს ჩვეულებებს, როგორც მაგალ. გველამურობას, რომელიც მუდამ ძალ-დატანების შედეგია და სიცრუეს—რომელიც იბადება დონიერის ულონოზედ ზედ-გავლენით. გასაკვირველი არ იქნება, რომ ამ გვარის აღმზრდელების ხელიდგან გამოვიდნენ თავისუფლობას მოკლებულნი, მაგრამ მასთან სამაგიეროდ გაიძვერები. სკოლის უპატიოსნესი მიზანი ამ შემთხვევაში იკარგება.

სულ სხვა შედეგი იქნება, თუ ყმაწვილები სრულს თავისუფლებაში იქნებიან აღზრდილნი. ჩვენ ამით სრულებით არ გვინდა ვსთქვათ, რომ ყოველთვის უნდა ასრულდეს ყმაწვილის, ზოგჯერ, ვინ იცის როგორი სურვილები. არა, თავისუფლება უნდა იქნეს, როგორც ზევით ვსთქვით, მზრუნველებისა და, საზოგადოდ, აღმზრდელების ზედამხედველობის ქვეშ, რომელთაც უნდა თვალ-ყური ადევნონ და აძლიონ მხოლოდ საჭირო მიმართულება.

რაც შეეხება ცუდს, უზნეო ყმაწვილებს, ამათი მიმართულება

შეიძლება შეიცვალოს მით, რომ დაუნიშნონ ისეთი ამხანაგები, რომელთაც დასძლიონ ცუდი ზნეობა და ჩვეულებები თავიანთი ამხანაგებისა და მით შესძინონ მათ, და შემდეგში სხვებსაც, სიკეთე.

სასტიკი ზედამხედველობა კი ამ რიგის წესებთან ვერ თავსდება, რადგან უარ ჰყოფს ამ გვარს ამხანაგურს კავშირობას და ერთობას და მით ჰყრის საბრალო ყმაწვილებს იმ უბედურებაში, რომლის მოსასპობლად თვითონ ის ზედამხედველობაა დანიშნული.

რაც შეეხება ყმაწვილების ცელქობას—ამ შემთხვევაში სრულებით საჭირო არ არის არც გაჯავრება და, მით უფრო, არც გაკიცხვა. ჯერ-ჯერობით უნდა გამოიკვლიოს თვითონ ის მიზეზი, რომელმაც დაჰბადა ყმაწვილის რომელიმე დანაშაულობა ან ცუდი ზნეობა, შემდეგ ამისა კარგათ გაირჩიოს რამდენად მიუძღვის ყმაწვილს დანაშაული. „საჭიროა ვიცოდეთ ზნეობითი მიმართულება ყმაწვილისა, გამოვიცნოთ ის საიდუმლო ძალა, რომელიც ამოქმედებს და აბედვინებს მას რაიმე დანაშაულობას,“ ამბობს ერთი გამოჩენილი პედაგოგი. თუ ეს გვეცოდინება, ჩვენ ადვილად შეგვიძლია ყმაწვილს თავიდამ მოვაცილოთ მომავალში მაინც ცუდი ჩვეულებები. ჩვენ სწორად მარტო გარეგნობითი მიზეზებით, ფაქტებით ვკმაყოფილდებით და დაჟინებით ვსცდილობთ დასჯასა, მაშინ როდესაც საჭიროა ღირსეულად გამოვიკვლიოთ და განვსაჯოთ რომელიმე დანაშაულობა ყმაწვილისა და ამის-და-გვარად მივსცეთ მას ღირსეული ზნეობითი დარიგება; მხოლოდ ამ გვარი დარიგება უნდა გვქონდეს ერთად-ერთ საშუალებად ამ შემთხვევებში, მხოლოდ ამ წესით უფრო ჩქარა და ძირიანად შეიძლება მოვსპოთ ყოველი ცუდი ხასიათები ყმაწვილებში.

სახელ-განთქმული ფილოსოფოსი მე-XVI საუკუნისა ფრანცისკო ბეკონი ერთს ალაგას, აი, რას ამბობს: ჰსცხოვრებდეთ ქვეყანაზედ მუყაითად, დაუკვირდით მას ყოველის თქვენის გონებითა და ეცადეთ შეისწავლოთ იგი—მხოლოდ მაშინ შეიძლებთ თქვენ მაზედ ბატონობას“. თუ ჩვენ შევისწავლით ყმაწვილის ბუნებას, უთუოდ შევიძლებთ მათზე საჭირო ზედ-მოქმედება და გავლენა ვიქონიოთ.

ყველა ჩვენგანს გამოუვლია ბავშვობა. ვის არ შეუძლია მოიგონოს თავის ბავშვობიდგან ისეთი თან-შობილი თვისებები, საიდამაც

წარმოსდგება რომელიმე უმანკო დანაშაულობა, რომლის მსგავსისათვის დღეს ჩვენ თითქმის სულს ვართმევთ და ტყავს ვაძრობთ ყმაწვილს. ჩვენ მზათა ვართ გავაზვიადოთ ყმაწვილის რომელიმე სულ უბრალო დანაშაულობა და სპილოდ გავხადოთ, მიტომ რომ ჩვენ, უფროსებს, დაგვვიწყნია ჩვენი ბავშვობის დრო და მისი თვისებები.

აქედგან ცხადად სჩანს, თუ რამდენად დასკელოკრებული უნდა იყოს ბავშვების გონებისა და ზნეობის განმავითარებელი ყოველივე მიზეზების გამოკვლევაში.

ორ გვარ ფაქტორზეა დამოკიდებული ყმაწვილების აღზრდის საქმე: ა) ყმაწვილის ბუნება და ბ) აღმზრდელი წრე, რომელიც არსებობს ხალხის ჩვეულებების მოთხოვნილების-დაგვარად. პირველს ამათგანს არავითარი კავშირი არ აქვს ზნეობასთან და ამისათვის ის კიდევაც უნდა იქმნეს ჩვენგან სრულებით დაცული ბავშვების ბუნებაში, მაშინ როდესაც მეორე—არის ხელოვნებითი საშუალება და „ერთსა და იმავე დროს—ბუდე ყოველგვარი ვნებისა“ როგორც ამბობს ჟ. ჟ. რუსო.

ეხლა კიდევ უფრო ნათლად სჩანს, თუ რამდენად საჭიროა ისმარებოდეს ყმაწვილების აღზრდაში უთუოდ ზნეობითი თავისუფლების სისტემა და არა დამორჩილებითი წესები, რადგან მხოლოდ მარტო თავისუფალი ზნეობითი ზედ-გავლენითი, შეუვიწროებელი აღზრდით შეიძლება შეუმუშავდეს ყმაწვილს ყოველ-გვარი ენერგიული თვისებები. ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ეცადოს ამის ასრულებას თავის მოსწავლეთა სასარგებლოდ და სასიკეთოდ.

ბავშვების მიმართულება საიდუმლოდ უნდა ისელმძღვანელებოდეს უფროსებისაგან, მათ მხედველობის ქვეშ უნდა იყოს და მუდამ იმას უნდა სცდილობდენ, რომ სწორს, სასურველს გზაზედ დააყენონ, რომელიც უთუოდ მიიყვანს მას საჭირო ზნეობით მიზნამდის. თუ ამ გვარს მხედველობის ქვეშ არ იქმნა ეს მიდრეკილება ბავშვებისა, ან არის, მაგრამ მათი შემავიწროებელია, ამ შემთხვევაში ის მიიღებს იმ მიმართულებას, საითკენაც მისწევს მას მისი საიდუმლო, ჯერ კიდევ დაუდგრომელი ხასიათი და აგებულება. რასაკვირველია, უფრო ხშირად არა სასურველი ბოლო ექნება ამ მიმართულებას. პირ-იქით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ყოველივე ცუდი თვისებები ყმაწვილისა ისევ კეთილ-ზნეობით მხარეთ ვაქციოთ.

გონივრული აღზრდა მოითხოვს, რომ ყმაწვილი არ გამოვიდეს ეგოისტი, არ აკეთებდეს რასმე მარტო შესახედავად. არა, ყმაწვილი უნდა აღიზარდოს იმ აზრზედ, რომ ის რამდენად თავის თავს ეკუთვნის, იმდენადვე საზოგადოებასაც, რომლის წევრად, დღეს თუ არა ხვალ, უნდა ჩაერიცხოს. ამისათვის საჭიროა სკოლა იქმნეს მისთვის პატარა მაგალითი ან სურათი მომავალი მისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა; აქვე დაიწყოს მან თავის თავის გამოცდა და შეეჩვიოს, რომ მომავალში შესძლოს მან გაჭირვების დროს თავის დარჩენა და შენახვა; საჭიროა, არ დაეცეს არც სულით, არც გულით და არც ზნეობით, რომ არ შეუდგეს ისეთს საქმეს, რომელიც აღმოფხვრის მას კაცობრიობის რიცხვიდგან.

ყმაწვილი პატარაობიდგანვე უნდა მიხვედრილი იყვეს, რომ ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ არის დამაბრკოლებელი, რომლების დამორჩილება, ე. ი. თავიდგან აშორება მან თვითონვე უნდა შესძლოს. ამიტომაც მით უფრო საჭიროა, ვამბობთ, იქმნეს სკოლა მისთვის, თუმცა მცირედის ფორმით, მაგრამ მაინც, ამ მომავალის მისი ცხოვრების ნიმუში; და ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყოველგვარის ხასიათების მტკიცე განსაზღვრულის თავისუფალ-ზნეობითი აღზრდით და გონების განვითარებით. ამ აღზრდისა და განვითარების შედეგი იქნება, თუ ყმაწვილს ეცოდინება „ყოველი **საქმის ბუნებითი სამზღვრები**,“ როგორც ამბობს ფრ. ბეკონი.

მასწავლებელმა უნდა მიიზიდოს ყმაწვილი თავის მაგალითით; მან უნდა ეცადოს არ ეწინააღმდეგოს თავისგანვე წარმოთქმულ წესებს და დარიგებებს; თუ ასე არ იქმნა, მას ცუდი გავლენა ექმნება მომავალში თვითონ მოსწავლეთა აღზრდაზე და განვითარებაზე. ამ შემთხვევაში არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ მეცნიერის **სოკრატის** სიტყვები: „Obest plerumque iis, qui discere volunt, auctoritas eorum, qui docent.“ ქართულად: „მასწავლებლების ავტორიტეტი **ხშირად უშლის ხელს** იმათ, ვისაც სწავლა უნდათ.“

მასწავლებელმა უნდა იხმაროს ყოველი ღონის ძიება, რომ როგორმე ჩაუნერგოს ყმაწვილს სიყვარული პატიოსნებისა და აგრძნობინოს მას უპატიოსნება და ყოველივე სამარცხვინო; თუ ამას მიაღწევს მასწავლებელი, სჩანს იმას „მტკიცედ ჩაუნერგავს ბავშვის გულში სურვილი იმ მიმართულებისა, რომელიც მუდამ იქნება წინამძღოლი ყოველი მისი კეთილი საქმის.“ და თუ ყმაწვილი

ერთხელვე ჩავარდა შევიწროებულ მდგომარეობაში, ეს გრძნობა ბავშში არასოდეს არ დაინერგება, რადგან შევიწროება ჰბადავს მხოლოდ შიშ-სა, რომელიც მეტად მავნებელია ყმაწვილისათვის. რაც უფრო მეტს ხანს დავაგვიანებთ ამ სენის აღმოსაფხვრელად, მით უფრო ჩქარა შეიძლება გარდაიქცეს იგი ჩვეულებად და „ჩვეულება ხომ სჯულთ უმტკიცესია,“ როგორც უთქვამთ ჩვენ წინაპართ. გავიხსენოთ საბერძნეთის ძველი დროის ბრძენის სოლონის სიტყვა, რომელიც მან უპასუხა, როცა სწორედ ამ საგანზედ ჰკითხეს: „მართალია, ეს (შიში) უბრალო რამ არის, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ ჩვეულება უბრალო აღარ არის.“ შეიძლება ამ ცუდი ჩვეულებით დიდი საქმე (გონებითი და ზნეობითი აღზრდისა) წავახდინოთ.

შეიძლება რამ ითქვას თავისუფალ ზნეობითი აღზრდის წინააღმდეგი, თუ რომ წინ არ ვიქონიეთ წარსული დროის, როგორც ჩვენი, აგრეთვე სხვა ხალხების ცხოვრებიდგან ამოკრეფილი, მაგალითები. პირ-იქით, თუ ამათ კარგათ დავაკვირდით, სწორედ ამ დასკვნამდის უნდა მივიდეთ, ჩვენის აზრით. „გაარჩევდე ხეს მისი ნაყოფთაო,“ ბრძანა ქრისტემ. ამის-და-გვარად უნდა ვეცადოთ კარგად გავარჩიოთ ის, რაზედაც ჩვენ ჩვენი განაჩენი გვინდა დავადგინოთ.

დასასრულ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ერთ მოვლენას: ინგლისში ყველა ღირსების ხალხს მტკიცედ აქვთ დაცული თავ-თავისი ჩვეულებები; სცდილობენ, ერთმანერთს შორის კავშირობით, უფრო მეტად დაიცვან იგი. ეს, ჩვენის აზრით, იქიდგან წარმოსდგება, რომ იმათში სრულად დაცულია თავისუფალი ზნეობითი აღზრდა; მხოლოდ ეს არის იმის მიზეზი, რომ ინგლისელებს არ დაჰყოლიათ არც გაუბედაობა და არც შიში, პირ-იქით ისინი არიან გულადნი და ყველაფერში ბეჯითნი, მუყაითნი.

ანდრ. ღულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საღმრთო რჯულის სწავლებაზე

### ჩვენ პირველ-დაწყებით სკოლებში *).

საღმრთო რჯულის სწავლება, ნამეტურ პირველ-დაწყებით სკოლებში, ჭეშმარიტად რომ ერთ უძნელეს საქმეს შეადგენს. ამიტომ ამ საგანზე დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული; ფრიად საჭიროა გამოკვლევა და ჩვენება მისი, თუ რას უნდა ასწავლიდნენ სახელდობ ამ საგნიდამ სასოფლო სკოლებში და როგორ, რა მეტოდით უნდა გადასცენ და შეასწავლონ ყმაწვილებს ის, რაც საჭიროა.

საღმრთო რჯული, როგორც სასწავლებელი საგანი, ვიცით, ფრიად ვრცელია. მისი ვრცლად შესწავლა არა თუ სასოფლო სკოლებში, საშვალო და მაღალ სასწავლებლებშიაც კი ძნელდება. ამიტომ, ცხადია, რომ სასოფლო სკოლებში მასწავლებელი უნდა სცდილობდეს მარტო ის ამოარჩიოს და ამოიღოს ამ საგნის შინაარსიდამ, რის ცოდნაც უფრო საჭიროა ყოველი კაცისთვის და რაც ადვილად შესაგნებია და შესათვისებელი სასოფლო სკოლების მოსწავლეთათვის.

მაგრამ, არ შეიძლება ეს საქმე თვითონ მასწავლებელს მიენდოს: მას უთუოდ უნდა ჰქონდეს გონივრულად შედგენილი სასწავლო წიგნი და გადაჭრილი სამაგალითო პროგრამაც. ჩვენ, სამწუხაროდ, ესეთი წიგნი ჯერ არ მოგვეძებნება. რომელიც უნდა აიღოთ იმ წიგნების მცირე რიცხვიდამ, რომლებიც ჩვენ ენაზე არსებობენ, არც

---

*) ჩვენ მივიღეთ ერთი სოფლის მასწავლებლისაგან თხოვნა „ნობათი“-ს ერთ-ერთ წიგნში ამ საგნის შესახებ სტატია დაგვებეჭდა. ვასრულებთ ამ თხოვნას პატივცემული ჩვენი თანამშრომლის, ბ. წყალტუბელის, შემწეობით და ამ თავად ვბეჭდავთ ზემო-მოყვანილს სტატიას, სადაც მკითხველი გაიცნობს საზოგადო ჩვენ აზრს ამ საგნის სწავლების შესახებ. რედაქცია ეცდება შემდეგში საღმრთო რჯულის სწავლების სამაგალითო გაკვეთილებიც დაბეჭდოს.

რედ.

ერთი გამოსადეგი არ არის, რადგან არც ერთი მათგანი ისე არ არის შედგენილი, როგორც ჩვენი საჭიროება მოითხოვს და პედაგოგია გვირჩევს; არც ერთ მათგანში არ არის ის, რაც ჩვენთვის უფრო საჭიროა, და თვითეულში კიდე ბევრი ისეთი მასალაა მოქცეული,ურომლოთაც ჩვენ სოფლის სკოლებს ადვილად შეუძლიათ თვისი დანიშნულების ასრულება. იმათში, მაგალითად, მოქცეულია თითქმის ყველა ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიის მოთხრობები და ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ჩვენ ადგილობრივ წმინდანებზე; ასე რომ, შეიძლება, როცა ყმაწვილი კურსს ასრულებს, იცოდეს: ვინ იყვნენ ებრაელების პატრიარქები, მსაჯულები, წინასწარ-მეტყველები, მღვდელთ-მთავრები, მეფეები და სხვა, მაგრამ ჩვენი ხალხისთვის ისეთი შესანიშნავი წმინდანებზე, როგორიც არიან, მაგ.: ქართველთ განმანათლებელი წმ. ნინო, წმ. მოწამე დედოფალი ქეთევანი, დავით აღმაშენებელი, რომელმაც იმოდენი ღვაწლი დასდო ჩვენ ეკკლესიას, მოწამენი დავით და კონსტანტინე და სხ., სრულიად არაფერი არ იცოდეს მან.

ამას გარდა, ჩვენი სასოფლო სკოლები ისე რიგად არიან ეხლა მოწყობილნი, რომ ყოვლად შეუძლებელია ყმაწვილებმა, სხვა საგნების გარდა, მოასწრონ საღმრთო რჯულის ვრცლად შესწავლა. ჩვენი სასოფლო სკოლები მთელ კურსს სამ წელიწადში ასრულებენ. ამ სამი წლის განმავალობაში იმათ უნდა შეისწავლონ, პროგრამისა და წესდების ძალით: წერა-კითხვა დედა-ენაზე, წერა-კითხვა და ლაპარაკი რუსულ ენაზე, არითმეტიკა, ცოტაოდენი ისტორია, გეოგრაფია, ბუნების მეტყველება, გალობა და ამასთან საღმრთო რჯულიც. დრო კი, როგორც ჰხედავთ, ძლიერ ცოტა აქვსთ: სასოფლო სკოლებში ბევრიბევრი წელიწადში ექვსს თვეს თუ გრძელდება სწავლა, რადგან ზოგიერთი მიზეზების გამო, ამათი სწავლა გვიან იწყება და ადრე თავდება. ამას გარდა, ყმაწვილებს დღეში ოთხი გაკვეთილი აქვსთ და სკოლის ყველა სამივე განყოფილებას მხოლოდ ერთად-ერთი მასწავლებელი ჰყავს. მაშასადამე, ცხადია, რომ საღმრთო რჯულის მასწავლებელი უნდა სცდილობდეს ის მაინც მოასწროს და შეასწავლოს გლეხების ყმაწვილებს, რაც მათთვის მიუცილებლად საჭიროა. სასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი წიგნიც ამ საგნისა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ამ მოთხოვნილებას ეშესაბამებოდეს და აკმაყოფილებდეს.

ეხლა ის-ღა უნდა ვიკითხოთ: რა უფრო საჭიროა იცოდნენ ჩვენი გლეხების შვილებმა საღმრთო რჯულისაგან და როგორ უნდა იყოს შედგენილი ამ საგნის სასწავლებელი წიგნი?

ჩვენ ამ ჰაზრისა ვართ: გარდა იმისა, რომ მათთვის როგორც ყოველი ქრისტიანისთვის, მიუცილებლად საჭიროა იცოდნენ და გონივრულად შეგნებული ჰქონდესთ არსი ქრისტიანობრივი სარწმუნოებისა, უნდა კარგად ესმოდეთ იმ ბედნიერი დღეების ანუ დღესასწაულების მიზეზები, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვსთ. სხვაფრივ რომ ვსთქვათ: ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიიდამ უნდა შესწავლულ იქმნენ, და მაშასადამე, სასწავლებელ წიგნშიდაც უნდა განმარტებულ იქმნენ: მოთხრობები ათ-თორმეტ უმთავრეს დღესასწაულებზე და ადგილობრივ, ესე იგი, ჩვენი ეკკლესიის უმთავრესს წმინდანებზე. რაიცა შეეხება ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიის შესწავლას, ჩვენის ჰაზრით, სასოფლო სკოლა იძულებულია დაკმაყოფილდეს მხოლოდ რამდენიმე ისეთი მოთხრობებით, რომელთაც ქრისტიანობასთან კავშირი აქვსთ; ესენი არიან, მაგ.: მოთხრობა ქვეყნისა და ადამიანის გაჩენაზე, მოთხრობა პირველი ადამიანების ნეტარებითი ცხოვრებაზე, მისს შეცოდებაზე, დასჯაზე და ქრისტე-მაცხოვრის აღთქმაზე. ამას შეიძლება დაუმატოს ერთ-ერთი მოთხრობა კაცობრიობის მდგომარეობაზე შემდეგ დაცემისა და წარღვნაზე. შემდეგ შეიძლება მასწავლებელი პირ-და-პირ გადვიდეს მაცხოვრის მოლოდებაზე, იწყოს მოთხრობა ღვთის-მშობლის დაბადებაზე და ამ გვარად გააცნოს უმაწვილებს ის ამბები, რომლებიც ათ-თორმეტ უმთავრეს დღესასწაულებს შეეხებიან.

რაკი უმაწვილებს კარგა ეცოდინებათ, ვინ იყო ქრისტე-მაცხოვარი და რას ასწავლიდა ის, მაშინ საღმრთო რჯულის მასწავლებელმა უნდა მოუთხროს უმაწვილებს ის, თუ ვინ და როგორ მოაქცია და განანათლა საქართველო ქრისტეს სარწმუნოებით, ვინ არიან საქართველოს ეკკლესიის გამოჩენილი და შესანიშნავი წმინდანები და რა ღვაწლი დასდვეს იმათ ჩვენ ეკკლესიას. ჩვენი ეკკლესიის საკუთარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდანების ცხოვრების გარდა, საჭიროა აგრეთვე ყმაწვილებმა იცოდნენ, ვინ იყვნენ: ილია წინასწარ-მეტყველი, წმ. გიორგი და დიდი ვასილი ანუ ბასილი, რადგან ამ წმინდანებს ჩვენი ხალხი დიდ პატივსა სცემს.

რასაკვირველია, საჭიროა აგრეთვე საღმრთო რჯულის მასწავლებელმა ახსნას და გონიერად შეასწავლოს ყმაწვილებს ის საზოგადო სახმარი ლოცვები, რომლების ცოდნაც ყოველი ქრისტიანისთვის საჭირო არის; აგრეთვე მრწამსი და ათი მცნებაც. მხოლოდ ყოველივე ესენი უნდა შეადგენდნენ საღმრთო რჯულის პროგრამას სასოფლო სკოლებისთვის და, თუ კი ეს პროგრამა გონივრულად აღსრულდა, ისიც კარგია და შეიძლება ამითი დავკმაყოფილდეთ.

ეხლა ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვათ კიდევ მასზე, თუ როგორ უნდა შეუდგეს საღმრთო რჯულის მასწავლებელი ამ საგნის სწავლებას, რომ საქმე გაადვილდეს, კეთილი ნაყოფი მოიტანოს და დრო ამაოდ არ დაიკარგოს.

ყოველი სასწავლებელი საგნის გონივრულად შესწავლისთვის უთუოდ საჭიროა, და პედაგოგიაც ამას მოითხოვს, რომ მასწავლებელმა პირველად, მინამ თვითონ საგნის ნამდვილ შესწავლას მიჰყოფდეს ხელს, გაიაროს, ესრედ წოდებული პ რ ე პ ო დ ე ვ თ ი კ უ რ ი ანუ მოსამზადებელი კურსი; ე. ი. ისე მოამზადოს ამ საგნისთვის ყმაწვილები, რომ იმათ იცოდნენ ის ელემენტები, რომლების უცოდნელად შეუძლებელია დაუწყოს მასწავლებელმა თვითონ ნამდვილი საგნის სწავლება.

საღმრთო რჯულისათვის ესეთ ელემენტებს შეადგენენ—სხვა-და-სხვა სიტყვების ან ტერმინების გარდა, რომლების ხმარება დასჭირდება მასწავლებელსა და მოსწავლეთაც თვით საგნის შესწავლის დროს—ახსნა და განმარტება მისა: თუ რა არის ლოცვა, ვის ვევედრებით ჩვენ ლოცვის დროს; ვის ვეძახით ღმერთს და სად არის იგი, რისთვის ვერა ვხედავთ მას; როგორ ვისახავთ ჩვენ პირჯვარს, რას ვეძახით ჯვარს; სად ვსდგებით, როცა ვლოცულობთ, რა არის ხატი; ვის ვეძახით წმიდანებს, რა არის ეკლესია ანუ საყდარი; რა არის უქმი დღე ან კვირა და დღესასწაული და სხვ. მაგრამ ყველაფერი

ქსენი, რასაკვირველია, დოღმატურად არ უნდა აუხსნას მასწავლებელმა მოსწავლეებს: ამათ ყველას გაგონილი აქვსთ ეს სიტყვები ანუ სახელები, მინამ სკოლაში შემოდიან, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმათი მნიშვნელობა გარკვევით არ ესმით. ამიტომაც მასწავლებელი უნდა ებაასოს ყმაწვილებს ადვილად გასაგების ენით და გონივრულ კითხვებით მიიყვანოს ისინი იქნამდის, რომ იმათ თვითონ გამოიცნან და განსაზღვრონ იგინი. როცა ყმაწვილები ამ გვარად საქმის დაწყებით და წაყვანით ცოტად მაინც გამდიდრდებიან საჭირო, ზემოხსენებულ, ელემენტების ცოდნით, მხოლოდ მაშინ შეუძლია მასწავლებელს მიჰყოს ხელი საღმრთო რჯულის ნამდვილ ანუ წესიერად შესწავლას.

ყველა ზემოთ ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საღმრთო ისტორიის შესწავლის დროს მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე უსათუოდ უნდა ხმარობდეს სურათებს და სასწავლებელი წიგნიც კარგი სურათებით უნდა იყოს შემკული. საღმრთო ისტორიის მოთხრობების შესწავლაში სურათებს ორი დიდი მნიშვნელობა აქვსთ: ერთი რომ ყმაწვილებს შინაარსს უადვილებენ, რადგან იმას სათვალჩინოდ ჰხედიან, მეორეც, ყმაწვილები გაიცნობენ და შეისწავლიან იმ ხატებს, რომლებსაც ეკლესიაში ხედვენ.

წყალტუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზიკური აღზრდა

## სისუფთავე
## და
## მისი მნიშვნელობა ადამიანისათვის.

მარგებელი საჭმელ-სასმელისა და ჰაერის გარდა, ყმაწვილის ჯანმრთელობისათვის ძლიერ საჭიროა სისუფთავე. ჩვენ სხეულს გარს აკრავს კანი, რომელსაც ჩვენი სიცოცხლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ის არის მოცული ცხრილივით მრავალი პატარა და უხილავი ნახვრეტებით (ფორებით), რომელშიაც ორთქლის ანუ ოფლის მსგავსად სხეულიდგან მარადის აღმოდის ის ელემენტები, რომელთაც მნიშვნელობა დაუკარგავთ და რომლების დარჩენა სხეულში უკვე მავნებელია. ამიტომ, თუ კანის ფორები დაიფარა და შეიკრა, რომელიც ყოველთვის უსუფთაობისაგან წარმოსდგება, მაშინ ურგები ელემენტების გამოსვლა სხეულიდამ შეჩერდება ან ძლიერ იკლებს და ეს ჩვენ სიმრთელეს ხომ მეტად ავნებს; ასე რომ, თუ ეს პროცესი სრულიად მოისპო, მაშინ ადამიანი დიდხანს ვეღარ იცოცხლებს ხოლმე. ამის გარდა, თუ სისუფთავე არ დავიცვით, შეიძლება მრავალ ნაირი სნეულებაც გავიჩინოთ, როგორც, მაგალითად: ქეცი (ქაჩალი), მღერი და სხვა. უეჭველია ყველა შენიშნავდა, თუ რა ნაირად დასახიჩრებულია იმ ყმაწვილების პირის სახე, თავი და ხშირად მთელი ტანის კანიც, რომლებიც სისუფთავეს მოკლებულნი არიან. თუ ეს ასეა, რაღა თქმა უნდა, უეჭველად დიდი ყურადღება უნდა იქვეს მიქცეული მშობლებისა და აღმზრდელებისაგან ყმაწვილის სხეულის სისუფთავეს.

სისუფთავის დაცვას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა უფრო ახლად შობილ ადამიანისათვის აქვს, რადგან ამ დროს ყმაწვილი უფრო ხშირად ისვრება, მისი სხეული ძლიერ ჩვილი და ნაზია, მსწრაფლ იცვლება და იზრდება და, ამის გარდა, თვითონ მას სრულებით არ შეუძლია თავის თავზე ზრუნვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილის სისუფთავის დაცვის უმთავრესი საშვალება, რასაკვირველია, ბანაობაა; მაგრამ ბანაობამ რომ ყმაწვილს სარგებლობის ნაცვლად ვნება არ მისცეს, საჭიროა აღმზრდელებმა იქონიონ სახეში შემდეგი მოსაზრებანი: პირველ თვეებში, დაბადების შემდეგ, საჭიროა, დღეში თუ ორჯელ არა, ერთჯელ მაინც უთუოდ აბანაონ ყმაწვილი. ბანაობისათვის საუკეთესო დროა დილის ათი საათიდამ დაწყებული თორმეტ საათამდის, ნაშუადღევის ოთხი საათიდამ ექვს საათამდის და ან კიდევ საღამოს ჟამს, როცა ყმაწვილს დაწვენას უპირობენ. მაგრამ არამც და არამც ყმაწვილი იმ დროს არ უნდა აბანაონ, როცა ის მუმუნაწოვი და გამაძღარია. ტანის საბანად უნდა იხმარონ მდინარის წმინდა წყალი. ტან საბანი წყალი იმ ტემპერატურისა ანუ სითბოსი უნდა იყოს, რომელი ტემპერატურისაც ადამიანის სისხლია, პირველ დროს დაბადების შემდეგ, არა ნაკლები 27-ის ანუ 28 გრადუსისა. შემდეგ კი, რაკი ყმაწვილი წამოიზრდება, შეიძლება თან-და თან მოუკლონ ტანსაბანი წყლის ტემპერატურას, ასე რომ 10-12 თვის ყმაწვილი შეიძლება აბანონ 25° წყალში.

ჩვენი გაუნათლებელი მშობლები და გამდლები ამას დიდ ყურადღებას არ აქცევენ და ყმაწვილის ტანსაბანი წყლის სითბოს ხელის ჩაყოფით ზომვენ ხოლმე. მაგრამ ეს შეუძლებელი საქმეა და შეიძლება ამ შემთხვევაში შეცდომას ისეთი შედეგი მოჰყვეს, რომ ყმაწვილი მისი მსხვერპლი გახდეს. ამიტომ ყმაწვილის ტანსაბანი წყლის ტემპერატურა უთუოდ უნდა ტერმომეტრით განსაზღვრონ. მართალია, ტერმომეტრს ყიდვა უნდა, მაგრამ ეხლა ის ისე იაფია, რომ დატაკსაც კი შეუძლია მისი შეძენა.

ყმაწვილის საბანაოდ უნდა ხმარობდნენ ხოლმე როფს ანუ ლითონის საბანაოს, მაგრამ, გინდ ერთი, გინდ მეორე, უთუოდ იმდენად სრული უნდა იყოს, რომ ყმაწვილს თავისუფლად მოთავსება შეეძლოს შიგ, და მასთან არც ძლიერ ღრმა უნდა იყოს. ბანაობის დროს საბანაოში შეკეცილი ზეწარი უნდა დაიგოს. ყმაწვილის ტანი გარდა თავისა, სრულებით დაფარული უნდა იყოს წყლით, და ბანაობის დროს ხანდისხან თავზედაც წყალს უნდა ასხამდენ ხოლმე, მაგრამ გაფრთხილება კი უნდა, ყმაწვილს უწმინდური წყალი თვალებ-

ში ან ყურებში არ ჩაუვიდეს. ყმაწვილი დიდხანს არ უნდა დარჩეს ცხელ წყალში, თორემ დასუსტდება: საკმაოა 5 ან 6 მინუტი. ყვე-ლაზე უფრო გაფრთხილება იმას უნდა, რომ ყმაწვილი ბანაობის დროს არ გაცივდეს; ამიტომ ბანაობის შემდეგ ყმაწვილი გათბობილ ზეწარში უნდა გაახვიონ და კარგად გახოცონ. მერმე უნდა ჩააცვან და ისე დააწვინონ დასაძინებლად.

გაუნათლებელ ხალხებს ახლად შობილი ბავშის მოვლის შესა-ხებ ბევრი სხვა-და-სხვა გვარი მავნე ჩვეულება აქვსთ. რუსის გლე-ხების ზოგიერთი უმეცარი დედაკაცები, თუ გინდ ზამთარიც იყოს, ცივ წყალს გადაასხმენ ხოლმე ყმაწვილს, როცა ის იბადება, იმ ჰაზ-რით, რომ, ვითომც, უფრო ჯან-მრთელი გამოვაო. გაუნათლებელ სომხებს ჩვეულებად აქვთ, ახლად შობილს ყმაწვილს მარილს მოაყ-რიან ხოლმე იმ აზრითვე, რომ ჯან-მრთელი იქნებაო. რაღა თქმა-უნდა, რომ ორივე ეს ჩვეულებანი ახლად შობილი ყმაწვილის ნორ-ჩი სხეულისათვის ძლიერ მავნებელნი არიან.

ჩვენ გაუნათლებელ ქართველებს, თუმცა ამ გვარი ცუდი ჩვეუ-ლებანი, ვგონებ, არა აქვსთ, მაგრამ უმეცარი ჩვენი ბებიები ისე მაინც ვერ უვლიან ვერც მშობიარე დედა-კაცს და ვერც ახალ-შობილ ყმა-წვილს, როგორც წესია, და ამიტომ ბევრნი მათგანი იღუპება ხოლმე ამათი უმეცრებისა გამო. ეხლა, მადლობა ღმერთს, თითქმის ყოველ მაზრაში იმყოფება ნასწავლი ბებია და, შესაძლოა, როგორც მისი მოწოდება, როცა საჭიროება მოითხოვს, ისე მათი დარიგების აღსრულებაც.

მაგრამ ჩვენ კიდევ სისუფთავეზე უნდა გავაგრძელოთ საუბარი.

სისუფთავის დაცვა არა მარტო ყმაწვილობის დროს არის სა-ჭირო, არამედ შემდეგაც. თუ მშობლებმა და საზოგადოთ აღმზრ-დელებმა პატარაობისას ყმაწვილი სისუფთავეს შეაჩვიეს, ამას მასზე შემდეგშიაც დიდი გავლენა ექმნება. ყმაწვილს სისუფთავე ჩვეულებად გადაექცევა და მტკიცედ დაიცავს მას: ის არასოდეს არ დაიზარებს თავის დროზე ხელ-პირის დაბანას და ტანის ბანაობას, არც ზაფხულში და არც ზამთარში არ მოიშლის და ეცდება ტანსაცმელიც სუფთა ჰქონდეს.

სამწუხაროდ, ჩვენ—ქართველები—ამ მხრით განკიცხვის ღირსნი ვართ: საზოგადოთ სისუფთავე და ბანაობა ჩვენ არ გვიყვარს. ხშირად თვე და წელიწადიც გაივლის ხოლმე, ქართველი აბანოში არ მიდის. სოფლად, ქართველებს, მართალია, ჩვეულებად აქვსთ შაბათობით თავის დაბანა, მაგრამ ეს რა საკმარისია. მთელი საქართველო რომ დაიაროთ, ერთ სოფელს ვერ იპოვით ისეთს, სადაც მცხოვრებლებს თავიანთი საკუთარი აბანო ჰქონდესთ; სხვა უფრო განათლებულ ქვეყნებში ერთ სოფელსაც ვერ ნახავთ, სადაც გლეხებს აბანო არა ჰქონდესთ გამართული, და თითქმის ყოველ კვირაში არ დადიოდნენ აბანოში. რაღა თქმა უნდა, რომ ხშირად ბანაობა მუშა ხალხისთვის უფრო საჭიროა. უეჭველია აბანოს გამართვა ჩვენ გლეხებსაც არ გაუჭირდებოდათ, თუკი ესმოდეთ მისი მნიშვნელობა და სისუფთავეს შეჩვეულნი იყვნენ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, ჩვენდა სამწუხაროდ, რომ ჩვენ ხალხს თეთრეულობის ხშირად გამოცვლა არ უყვარს და უმეტესი ნაწილი, არა თუ კვირაობით, მთელ თვეობითაც ერთსა და იმავე გაოფლიანებულს და გაჭუჭყიანებულს საცვალს ატარებს, რის გამოც უსუფთაობის გარდა, სნეულებაც იბადება; ამის გარდა კაცისთვის სხვა უფრო დამამცირებელი შედეგიც მოსდევს ხოლმე თან ამ ცუდ ჩვეულებას, როგორც, მაგალითად, კბენარის გაჩენა. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ სოფლებში, ნამეტურ გლეხობაში, ბევრს ვერ იპოვით, არა თუ პატარებში, დიდებშიაც, რომ მათ თმაში და საცვალში კბენარები არ ბუდობდნენ ხოლმე. ეს მით უფრო საზრახი, სასირცხვო და სამწუხაროა ჩვენთვის, რომ სისუფთავეს, სხეულის გარდა, ადამიანის სულის მდგომარეობაზე და მოქმედებაზედაც აქვს გავლენა. გაიხსენე, მკითხველო რა უსიამოვნობასა ჰგრძნობ ერთის მხრით მაშინ, როცა მგზავრობის ან სხვა რომელიმე მიზეზისა გამო, შენი სხეული ჭუჭყიანია და რა სიამოვნებას ჰგრძნობ მეორეს მხრით მაშინ, როცა ბანაობ, ამ ჭუჭყს მოიშორებ! მაგალითად, რომელ ყმაწვილს შეუძლია ყურადღებით იჯდეს კლასში, თავისუფლად იფიქროს და კარგა ისწავლოს, თუ იმას ჭუჭყი ან სხვა რაიმე აწუხებს ტანზე?

თუ ყველაფერი ზემო ნათქვამი მართალია, მაშ ჩვენი მშობლების და აღმზრდელების მოვალეობაა იზრუნონ თავიანთი შვილების

 ეროვნული ბიბლიოთეკა

სისუფთავეზე და შეჰნახონ მას მომავალი შთამომავლობა, რომ ის მაინც განთავისუფლდეს იმ ძლიერ მავნე ნაკლულევანებისაგან, რომელიც ჩვენ დიდებს სამწუხაროდ, დიდი ხნის თავიდგან ვერ აგვიცილებია.

## ს ა მ ო ს ე ლ ი.

სამოსელის პირ-და-პირი დანიშნულება ის არის, ან უნდა იყოს მაინც, რომ დაგვიცვას და დაგვიფაროს ჩვენ სიცივისა, სიცხისა, ქარისა, წვიმისა და სხვათა სტიქიონთა ცუდი და მავნე გავლენისაგან. ტანისამოსის ჩაცმა ადამიანს მისთვის მოუგონია, რომ ებრძოლოს იმ მავნე გავლენას, რომელიც ჰაერსა და ამინდს შეუძლია მისს სხეულზე იქონიოს მაშ ცხადია, ყმაწვილისა და საზოგადოთ ადამიანის სამოსელი ისე უნდა იყოს მომზადებული და შეკერილი, რომ ეს თვისი დანიშნულება დააკმაყოფილოს, თუმცა კი ზოგიერთები უფრო სხვა მიზანს აძლევენ უპირატესობას, ე. ი. ტანის დამშვენებასა ან კოპწიობას და პრანჭვას. და ისე აკერვინებენ ტანისამოს, რომ ის არა-თუ ჰკარგავს უმთავრესს თავის დანიშნულებას, ხშირად მავნებელიც ხდება ადამიანისთვის.

ყმაწვილის სამოსელი უნდა იყოს მსუბუქი და ხალვათი. ეს ორი პირობა უთუოდ უნდა დაცული იყოს: მძიმე და სქელი სამოსელი მეტად მავნე, განსაკუთრებით ყმაწვილისათვის, რომ მასში, ერთის მხრით, ჰაერს გატარება უჭირდება, მეორეც ისა, რომ თავისი სიმძიმით ყმაწვილის სუსტსა და ნაზ სხეულს სწაგრავს. ყმაწვილისთვის მეტად მავნებელი კიდევ ვიწრო სამოსელი, რომ მის სხეულსა და სხვა-და-სხვა სახსრებს და ასოებს თავისუფლად გახსნასა და გაზრდას უშლის თუ ბავშვის სხეულის რომელიმე ასოს საცმელი მოჭერებული აქვს, მაშინ იმ ადგილს სისხლი თავისუფლად ვერ იმუშავებს, რის გამოც იმ ასოს გამოკვება და გახსნა შემცირდება. ვის არ გამოუცდია, რასა ჰგრძნობს ადამიანი, როცა მას ყელ-სახვევი, ქამარი, ან ჩექმა შემოჭერილი აქვს ხოლმე. მაშ რაღა უნდა ვსთქვათ იმ ჩვენ უგუნურ დედებზე და გამდლებზე, რომლებიც საბრალო პატარა ყმაწვილებს, აკვანში ჩაწვენის დროს, ახვევენ ჩვრებში და უჭერენ მაგ-

რა არტახებით ხელ-ფეხსა და მკერდსაც, ისე რომ საბრალო ბავშვს, არა თუ ხელ-ფეხის განძრევა უჭირდება, თავისუფლადაც ვერ სუნთქავს. ეს ცუდი ჩვეულება, მართალია, სხვა ხალხებშიაც გავრცელებულია, მაგრამ ისე საშინლად არსად არ ჰკვრენ და აწვალებენ ყმაწვილებს, როგორც ჩვენში ხდება. აი, რას ამბობს ამ ცუდი და კაცობრიობისათვის მავნე ჩვეულების შესახებ ნემეცების გამოჩენილი ფილოსოფოსი კანტი: „თუ გინდათ ცხადათ მიჰხვდეთ ყმაწვილის საშინელ მდგომარეობას, როცა მას არტახებით ჰკვრენ, წარმოიდგინეთ, რა საშინელ ტანჯვას გამოვცდიდით თვითონ ჩვენ, რომ ვისმეს ისე შევეკარით.“ ამ გვარად თუმცა ბევრ გამოჩენილ პედაგოგებსა და სწავლულებს უქადაგებიათ ამ ცუდი ჩვეულების წინააღმდეგ, მაგრამ მაინც კიდევ ეს მავნე ჩვეულება გავრცელებულია დღემდის.

მოხსენებულ ცუდ ჩვეულების გარდა ყმაწვილისთვის ერთი კიდევ მავნე ჩვეულება არსებობს ჩვენში ხოლმე; ეს ის არის რომ მშობლები და გამდლები ყმაწვილს პატარაობიდამ ხელსახოცით ხშირად თავს უკვრენ. ეჭვი არ არის, რომ ამას დიდი ვნების მოტანა შეუძლია: თავი, როგორც ვიცით, გონების ანუ მსჯელობის საჭურჭელია; ადამიანის ნიჭიერება დამოკიდებულია მისი თავის ფორმაზე, ტვინის გახსნაზე და განვითარებაზე. როცა თავი ზრდაშია, მაშინ შეკვრისაგან შეიძლება ისეთი ფორმა მიიღოს, რომ ტვინი რიგიანად და თავისუფლად ვერ გაიხსნას, ვერ განვითარდეს და ადამიანის გონებამ კარგად ვერ იმუშაოს. რომ ეს ასეა, ეს იქიდამაც სჩანს, რომ ჩვენში ხშირად ისეთ ადამიანებს შეხვდებით, რომელთაც შუბლი ვიწრო აქვს და თავი აწოტიალებული კონუსივით.

ამ გვარივე ცუდსა და მავნე ჩვეულებებს ეკუთვნის კორსეტის ხმარებაც, რომელიც უშლის ადამიანის წელსა და გულ-მკერდის თავისუფლად გახსნასა და მასთან ფილტვებს ჰაერის ჩანთქმასა და ამოშვებას. მაგრამ კორსეტზე და მის ცუდ გავლენაზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ და ამიტომ აქ საჭიროდ აღარა ვრაცხთ განვიმეოროთ.

სამოსლის სიკეთე და თვისება დამოკიდებულია სხვა-და-სხვა მიზეზებზე. რასაკვირველია, ერთი და იგივე სამოსლის ყოველ ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანაში და ყოველ დროს ხმარება არ შეიძლება: ცხელ ქვეყნებში სხვა გვარი სამოსელია საჭირო, ცივ ქვეყნებში კიდევ სხვა; საზაფხულო სამოსელი ზამთარში არ გამოდგება და სხვა. თეთრეულობა სჯობია წმინდა ტილოსგან შეიკეროს, რადგან ამ გვარი საცვალი ოფლს არ იჭერს და მასთან ტანსაც მშრალად ინახავს. სხვა სამოსლისათვის მატყლისა ანუ ბამბის ნაქსოვი სჯობია. ზამთარში, რასაკვირველია, ადამიანისთვის უფრო სქელი და თბილი სამოსელია საჭირო, ზაფხულში უფრო თხელი და სუმბუქი. განათლებული ხალხები, რომელთაც კარგათ ესმით ფიზიკური კანონები, მართლაც ასე იმოსებიან; ჩვენში კი უმეტესი ნაწილი ზამთარ-ზაფხულ თითქმის სულ ერთნაირ სამოსელს ვატარებთ.

ჩვენებური სამოსელი: ახალუხი, ჩოხა და შალვარი თავისი ფორმით ურიგო და მოთხოვნილების წინააღმდეგნი არ არიან, მხოლოდ ქამრის და სარტყელის ხმარება კი მავნებლად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით ყმაწვილებისთვის, იმ შემთხვევაში თუ ისინი მაგრა მოჭირებულია. რაც შეეხება ჩვენებურს ფაფახს, ის მავნებელია განსაკუთრებით ზაფხულში, რადგან თავს აოფლიანებს და სიცხეს აგუბებს. ამის გარდა, ზოგიერთს მათგანს, რომლებიც დიდრონია, თავისი სიმძიმით ცუდი გავლენა აქვსთ ადამიანის თავის სიმრთელეზე. იმერეთში, როგორც ვიცით, უმეტესი ნაწილი ფაფანაკებს იფარებენ თავზე. ფაფანაკის ხმარება სასარგებლოა ზაფხულში, მხოლოდ იმ პირობით, რომ ის სიფართით იმოდენა მაინც იყოს, რომ თავი ზემოდამ სრულიად დაფაროს. ზამთარში კი მარტო ფაფანაკის ხმარება უბაშლიყოთ არ შეიძლება, რადგან ადვილად შესაძლოა მის მატარებელს თავი გაუცივდეს.

ფეხსაცმელათ ჩვენ გლეხობაში შემოღებულია ქალამანი. ზაფხულში ეს ფეხსაცმელი არ არის ურიგო, რადგან ჩვენი ქვეყანა თბილი ქვეყანაა, მაგრამ ზამთარში-კი არ არის გამოსადეგი, რადგან ფეხებს სრულებით ვერ ფარავს და ამიტომ მათი გაცივება ადვილად შეიძლება.

პატარაობისას ჩვენში უმეტესი ნაწილი სოფლელი ყმაწვილებისა თითქმის ყოველთვის ფეხ-შიშველა დადის. ერთის მხრით ეს ჩვე-

ულება მითია კარგი, რომ ყმაწვილი პატარაობისასვე ეჩვევა სიცივის ატანას და, როცა დიდი ხდება, მას ფეხები ძნელად-და გაუცივდება, მაგრამ, მეორეს მხრით, საშიში ის არის, რომ მინამ ყმაწვილის ნაზი ფეხები სიცივის ატანას შეეჩვეოდეს, ადვილად შესაძლებელია ის ბევრჯელ გაცივდეს და, თუ არ მოკვდა, დასნეულდეს. ამიტომ, რაც უნდა იყოს, საზოგადოთ ისა სჯობია, რომ ყმაწვილს პატარაობიდგანვე ფეხს აცმევდნენ.

საზოგადოთ სამოსლის ხმარებაში მშობლები უნდა ხელმძღვანელობდენ შემდეგი მოსაზრებით: არც ძლიერ გაახვივონ პატარა შვილები სამოსელში, რომ მათი სხეული განაზდეს და დასუსტდეს და არც ისე სუმბუქათ, რომ გაცივდენ და დასნეულდენ.

წყალტუბელი.

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. დუდაშე.

# განცხადებანი


## „დროება"

### საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის ყოველ დღე გარდა ორშაბათისა.

ფ ა ს ი

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით | — — 9 მან. | 6 თვით | — 5 მან. |
| 11 თვით | — 8 მ. და 50 კ. | 5 „ | — 4 მ. და 50 კ. |
| 10 „ | — 8 მან. | 4 „ | — 4 მან. |
| 9 „ | — 7 მ. და 50 კ. | 3 „ | — 3 მან. |
| 8 „ | — 7 მან. | 2 „ | — 2 მან. |
| 7 „ | — 6 მან. | 1 „ | — 1 მან. |

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში — „დროების" რედაქციაში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან. ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში — ალალო თუთაშვილთან. თელავში — ივ. როსტომაშვილთან. ბათუმში — მოსე ნათაძესთან.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".*

რედაქტორი ი. მაჩაბელი.

---

**Продолжается подписка**

НА ГАЗЕТУ

## „КАВКАЗЪ"

**НА ТЕКУЩІЙ 1884 ГОДЪ.**

Газета будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ 1883 году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

**Условія подписки:** съ доставкою въ Тифлисѣ: на годъ—11 руб. 50 к., на полгода—6 р.; на три мѣсяца—3 р., 50 к., на одинъ мѣсяцъ—1 р., 50 коп.

Съ пересылкою иногороднымъ: на годъ—13 р.; на полгода—7 р.; на три мѣсяца—4 р.; на одинъ мѣсяцъ—1 р. 75 коп.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты „Кавказъ", на Дворцовой улицѣ, въ домѣ № 5, Сараджева. Иногородные подписчики адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Кавказъ".

Иногордные могутъ подписываться лишь съ 1-го числа каждаго мѣсяца.

*Редакторъ-издатель кн. Д. Г. Эристовъ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა


დაიბეჭდა და ისყიდება

თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში

## თ. გ. დ.-ძის ერისთავის

თ ხ ზ უ ლ ე ბ ა

წიგნი შეიცავს 594 გვერდს. თხზულების დასაწყისში არის დართული პორტრეტი პოეტისა, ლეიბციგში გაკეთებული. იქვე არის მცირე შესავალი თ. აკაკი წერეთლისა და ვრცელი ბიოგრაფიული და კრიტიკული შემეცნება ი. მეუნარგიასი.

**ფასი წიგნისა** თბილისში 2 მ. გაგზავნით, 2 მ. და 40 კ. საგანგებოდ გაკეთებულის კალენკორის ყდით.

წიგნი ისყიდება ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში და საქართველოს ყველა უეზდის ქალაქებში, სადაც კი წიგნების ვაჭრობა არის.

ქალაქიდამ წიგნის დაბარება ამ ადრესით შეიძლება: *Тифлисъ. Въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова.*

---

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა

და ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნებად გამოვა:

## ლომ-კაცი

ზღაპრული პოემა, თხზ. გ. წერეთლისა. გამოცემა ჟურნალი „ნობათი"-ს რედაქციისა, ვენაში ამოჭრილი სურათებით.

—

## თორნიკე ერისთავი

ისტორიული პოემა, თხზ. აკაკი წერეთლისა.

ჟ უ რ ნ ა ლ ი

# „ი ვ ე რ ი ა“

(წელიწადი მერვე).

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი „ივერია“ გამოდის ყოველ-თთვე დაი თვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შავერდოვის სააგენტოში და „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში „დროების“ რედაქციაა და იქვე, შუა სართულში, რედაქცია „ივერიისა“.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში. „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის — 5 მ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „Иверія“.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

---

**Продолжается подписка на 1884 г.**

НА ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

# „ВОСТОКЪ“

(Органъ православныхъ восточныхъ народовъ. Издается съ 1879 г. безъ предварительной цензуры).

**Подписная цѣна**: За годъ, съ доставк. и пересылкою—8 р. за полг. — 4 р. —50 к

Для заграничныхъ подписчиковъ: за г. 10 р.; за полгода 5 р

**Подписка** принимаетсся въ Москвѣ, въ редакціи газеты „ВОСТОКЪ“, у Малаго Каменнаго Моста, д Полякова; въ Одессѣ у И. Ю Вучина, на Италянской улицѣ.

(3—1) Редакторъ-издатель Н Дурново.

მიიღება ხელის მოწერა ქართულს სასულიერო გაზეთს

# „მწყემსზედ“

გაზეთი გამოდის ორ ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთის ფასი ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარის წლისა—სამი მანეთი. შეიძლება მარტო ოქტომბრის და ნოემბრის თვეების №№ დაბარებაც.

ხელის მოწერა გაზეთზე მიიღება ქ. ქუთაისში: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ესტატე ბესარიონის ძეს ლამბაშიძესთან.

ქ. ტფილისში: საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორის წევრს არხიმანდრიტ გრიგორისთან.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ“. (3—2).

---

გამოვიდა ცალკე წიგნად

## სამგვარი სიყვარული

მოთხრ. აკაკი წერეთლისა.

(„დროების“ რედაქციის გამოცემა)

**ფასი 30 კაპ.**

წიგნი ისყიდება: ტფილისში—გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. მაჟურდოვის საგენტოში და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში—მოსე ნათაძესთან. თელავში—საზოგადოების დეპოში.

—

გამოვიდა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## კონა

პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისა. ფასი ათი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА

### Художественно-Литературный журналъ

# „ВОЛНА"

### Роскошное еженедѣльное изданіе въ форматѣ большихъ иллюстрацій съ рисунками въ краскахъ (акварель),

### 50 номеровъ въ годъ или 1200 страницъ убористой печати.

Журналъ «ВОЛНА» издается при ближайшемъ участіи лучшихъ художественныхъ и литературныхъ силъ. Каждый номеръ журнала будетъ заключать въ себѣ отъ 20 до 30 страницъ текста и картинъ въ краскахъ.

**ПРОГРАММА ЖУРНАЛА:** 1. Правительственныя распоряженія. 2. Вопросы и новости для „обо всемъ и отовсюду". 3 Событія въ мірѣ политическомъ. 4. Лѣтопись литературы и искуства. 5. Операціи банковъ 6. Земское дѣло. 7. Народное образованіе 8. Судебная хроника. 9. Статьи историческаго содержанія и **иллюстрированные историческіе романы.** 10. Этнографическіе очерки **(повѣсти и расказы изъ руской жизни).** 11 Справочный листокъ биржи и проч. 12. Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ. 13. Фельетонъ (обзоръ общественной жизни). 14 Театръ и музыка 15. **Разсказы, очерки и описанія къ рисункамъ.** 16 Стихотворенія и поэмы. 17. Мелочи, анекдоты и разнообразный отдѣлъ смѣси. 18. Почтовый ящикъ. 19. Частныя объявленія и въ видѣ безплатнаго приложенія для годовыхъ подписчиковъ, **четыре сезона парижскихъ модъ съ картинами. ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ОТДѢЛЪ.** На этотъ отдѣлъ редакція обращаетъ особенное вниманіе и въ теченіи года будетъ помѣщено до 300 оригинальныхъ картинъ, большаго формата, исполненныхъ красками по заказу редакціи извѣстными русскими художниками. Въ журналѣ **„ВОЛНА"** будутъ помѣщаться: историческія картины, иллюстраціи къ повѣстямъ и расказамъ, картины изъ русской жизни, портреты выдающихся дѣятелей, копіи съ извѣстныхъ картинъ, виды мѣстностей, разнообразные типы, множество виньетокъ и рисунковъ на злобы дня. Всѣ годовые подписчики на **1884 годъ, получатъ, большую роскошную картину, отпечатанную масляными красками на холстѣ: русскій богатырь алеша попоeичь и полоненная имъ царевна.** Оригиналъ картины написанъ по заказу редакціи художникомъ **К. В. Лебедевымъ.** Сюжетъ заимствованъ изъ поэмы графа **А. Толстого** и изображаетъ **„Алешу Поповича"** на лодкѣ среди камышей играющаго на гусляхъ, передъ полоненною Царевною. **Условія подписки:** На 1 мѣсяцъ—1 руб., на 3 мѣсяца—2 руб. 50 к., на 6 мѣсяцевъ—5 руб и на 1 годъ—8 р. съ доставкою и пересылкою. Гг служащимъ можетъ быть сдѣлана разсрочка за ручательствомъ казначеевъ или начальниковъ. За разсылку и упаковку преміи годовые подписчики благоволятъ прилагать 21 коп. **Подписка принимается** во всѣхъ библіотекахъ и книжныхъ магазинахъ Россіи. Гг. иногородные подписчики благоволятъ обращаться исключительно **въ контору редакціи: уголъ Никитской и Леонтьевсаго переулка, д. баронессы Корфъ въ Москвѣ.**

(3—1) Редакторъ-издатель **Н. У. Руссіяновъ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1884-Й ГОДЪ

Подписавшіеся получаютъ всѣ вышедшіе нумера, начиная съ первыхъ.

# „СЕМЬЯ И ШКОЛА",

(ГОДЪ XIV-Й)

## ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ ДЛЯ ДѢТЕЙ

и

## ДОМАШНЯГО И ОБЩЕСТВЕННАГО ВОСПИТАНІЯ.

**Полное годовое изданіе** журнала состоитъ изъ **двадцати двухъ книгъ и 40 №№ „Педагогической хроники"**. Подписная цѣна на полный журналъ съ доставкой и перес. **12** руб.

Полное изданіе состоитъ изъ двухъ отдѣловъ, на которые допускается также отдѣльная подписка:

I. **Иллюстрированный отдѣлъ для дѣтей** выходитъ ежемѣсячно, 12 книгъ въ годъ. Подп. цѣна съ дост. и перес. **10** р.

II. **Учебно-воспитательный отдѣлъ** (для родителей и воспитателей) выходитъ въ количествѣ 10 книгъ (т. е. ежемѣсячно, кромѣ іюня и іюля), съ добавленіемъ **„Педагогической хроники"**, выходящей въ количествѣ 40 №№ въ годъ. Подп. цѣна съ дост. и перес. **5** р.

**Первый отдѣлъ** (для дѣтей) даетъ статьи религіозно-нравственнаго содержанія, разсказы, стихотворенія, путешествія, жизнеописанія и пр., а также игры, работы, рукодѣлія, мастерства и проч. матеріалъ для физическаго и умственнаго развитія. Всюду, по мѣрѣ надобности, прилагаются рисунки и картины.

**Второй отдѣлъ** (для родителей и воспитателей) содержитъ общія статьи педагогическаго содержанія, статьи по воспитанію и обученію домашнему и общественному (высшему, среднему и начальному), нравственному, умственному и физическому; критику и библіографію; біографическіе очерки педагоговъ и статьи по исторіи педагогіи; отдѣлъ математическій и пр. **„Педагогическая хроника"** даетъ отчеты по текущимъ вопросамъ учебно-воспитательнаго дѣла какъ въ Россіи, такъ и заграницею и полную библіографію вновь выходящихъ по воспитанію и обученію книгъ.

**Подписка** принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Бол. Садовая, противъ Гостинаго двора, д. № 12, или адресуется просто: Въ С.-Петербургъ, въ редакцію журнала „Семья и школа" (адресъ Почтамту извѣстенъ),—съ сообщеніемъ подробнаго адреса: имени, отчества, фамиліи и того почтоваго учрежденія, его губерніи и уѣзда, гдѣ есть выдача газетъ и журналовъ.

Редакторъ-издатель *К. Модзалевскій.*

(2—2)

ВЪ 1884 ГОДУ (ПЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

# РУССКІЙ НАЧАЛЬНЫЙ УЧИТЕЛЬ

издается по прежней программѣ, а также при постоянномъ участіи

## НАРОДНЫХЪ УЧИТЕЛЕЙ.

*Обязательный* объемъ остается *прежній*: не менѣе 25 листовъ въ годъ (въ предъидущіе годы давалось 40—50 листовъ, т. е. болѣе обязательнаго объема). Лѣтнія книжки выходятъ по двѣ вмѣстѣ.

Въ журналѣ принимаютъ участіе: *Н. Бунаковъ, Галлеръ, Гербачъ, Глинка, Дебольскій, В. Воскресенскій, Латышевъ, Св. Мих. Соколовъ, Сентъ-Илеръ, Тубенталь, Н. Фанъ-деръ-Флитъ и др.* Въ журналѣ помѣщаются многія работы и письма народныхъ учителей, разборы новыхъ книгъ и различныя сообщенія о ходѣ учебнаго дѣла.

*Подписка* принимается въ *редакціи* (Спб., Екатерингофскій просп., д. 33, кв. 5), въъ магазинѣ *Фену и К°* (С.-Петербургъ, Невскій пр., д. 42).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГОДЪ:

3 р. — к. съ пересылкой,
2 „ 50 „ безъ доставки.

Цѣна оставшихся экземпляровъ за предъидущіе годы 2 р. 50 к. за каждый годъ.

*Журналъ одобренъ Ученымъ Комитетомъ Министерства Народнаго Просвѣщенія.*

Въ редакціи можно получать также:

Учебникъ ариѳметики. *В. Латышева.* Ц. 35 к. 1882 г.

Физіологію *Фостера* (отдѣльн. изданіе). Ц. 60 к. 1882 г.

*Сборникъ* работъ народныхъ учителей. Ц. 60 к. 1882 г.

Народное сказаніе. Простой разсказъ дѣдушки Павла о 5 заповѣди. Передалъ народный учитель *Коуровъ.* Допущено Уч. Ком. М. Нар. Пр. въ библіотеки народныхъ училищъ. Ц. 4 к. 1883 г.

Вышедшіе листы „Руководства къ преподаванію ариѳметики“ *В. Латышева.* (Въ листахъ). Ц. 65 к.

Объяснительный курсъ ариѳметики. *В. Латищева.* Часть I. Ц. 40 к.

Краткіе очерки по естествознанію. (Работа, представленная на конкурсъ 1883 г.). Цѣна 25 к.

—

На 1884 объявляется *второй конкурсъ* на составленіе чтеній для народа. Работы должны быть доставлены не позже 1-го августа 1884 г. Выборъ темы предоставляется сдѣлать самимъ авторамъ. Объемъ чтенія долженъ быть около 1 листа печати.

Принимаются пожертвованія въ *„Капиталъ Тургенева“.*

(3—2)

Редакторъ-издатель В. ЛАТЫШЕВЪ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ.

# „РЕБУСЪ“

(IV годъ изданія)

Открыта подписка на второе полугодіе съ 1-го іюля. Цѣна 2 р. 50 к. Желающіе получить всѣ №№ за первое полугодіе высылаютъ кромѣ того 2 р.

Въ программу журнала входитъ обозрѣніе малоизслѣдованныхъ явленій природы, какъ то: Медіумизмъ (спиритизмъ), магнетизмъ, гипнотизмъ, сомнамбулизмъ, ясновидѣніе и проч.

Печатается: романъ „Темное Дѣло“, принадлежащій перу одного изъ лицъ извѣстнаго въ русской литературѣ. Повѣсть „Болѣзнь нашего времени“. Очеркъ исторіи ребуса, котораго не существуетъ ни въ русской, ни въ иностранной литературѣ. Въ журналѣ помѣщаются ребусы, за рѣшенія которыхъ выдается въ видѣ преміи книги, картины, ноты, портреты и проч.

Въ теченіи перваго полугодія между прочими статьями момѣщены: Позитивистъ о спиритизмѣ—А. Аксакова. Наблюденіе въ области медіумизма; Подтвержденіе реальности медіумическихъ явленій—Профес. Бутлерова. Раздвоеннаа философія—профес. Вагнера. Персъ въ индіи—Вс. Соловьева. Тридцать лѣтъ назадъ (самопроизвольныя медіумическія явленія окончившіяся пожаромъ). Медіумическія сеансы въ Россіи и за-границей. Чудесное изцѣленіе графини Сумароковой-Эльстонъ. Магнетизеръ Гулакъ-Артемовскій. Бѣседа съ отсутствующимъ во время медіумическаго сеанса. Появленія въ минуту смерти. Научно-медіумическое засѣданіе (опыты Уильяма Крукса). Бѣлая женщина (историческій призракъ въ Германіи). Публичная бѣсѣда о спиритизмѣ въ Петербургѣ. Бѣлые люди (фактъ изъ жизни митрополита Инокентія). Изъ міра видѣній—Т. П. Пассекъ. Е. П. Блаватская и Общество Теософистовъ въ Индіи. Открытіе преступленія призракомъ самаго убитаго. Наглядность проявленія души въ естественномъ сомнамбулизмѣ. Случаи проявленія медіумическихъ способностей среди простаго народа. Научныя бѣсѣды о гипнотизмѣ. Замѣчательное медіумическое явленіе—В. Бегичева. Отчеты о дѣятельности Лондонскаго и Парижскаго Обществъ для изслѣдованія психологическихъ явленій. Загадочные факты прежнихъ лѣтъ. Голосъ аллопата въ пользу гомеопатіи. В. И. Даль, какъ гомеопатъ. О графологіи (опредѣленіе характера по почерку).

Подписка принимается въ С.-Петербургѣ, въ книж. маг. Вольфа, Мелье, Мартынова, „Новаго Времени“, Бортневскаго, Н. Фену и Kº и др. Въ книжныхъ шкафахъ, на станціяхъ желѣзныхъ дорогъ. *Черезъ почту* въ редакціи (Дмитровскій пер., № 10). Въ Москвѣ въ кн. маг. Мамонтова (Кузнецкій мостъ, д. Фирсанова).

*Редакторъ-Издатель* *В. ПРИБЫТКОВЪ.*

(3—2)

## ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

на еженедѣльный журналъ

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“,

**издаваемый въ г. Тифлисѣ.**

(ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ)

**Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, кромѣ приложеній, по прежней программѣ.**

Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, на полъ года 6 р. Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и чрезъ два мѣсяца еще 3 р. Подписавшимся на весь годъ, высылаются вышедшіе №№ Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года, уплачиваютъ за 1881 г.—8 р. 20 коп., а за всѣ послѣдующіе по 10 р. за каждый годъ. Для г. г Студентовъ годовая подписка 8 р. (вмѣсто 10), а полугодовая—5 р. вмѣсто 6) Объявленія, казенныя и частныя, принимаются по таксѣ за занимаемое мѣсто. Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: въ Администраціи журнала —въ Тифлисѣ, Сололакская улица, д. № 10; также въ Москвѣ и С.-Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

(2-2) Редакторъ-издатель А. С. Френкель.

(Присяжный повѣренный)


---


გამოვიდა და ისყიდება

# სამი კომედია

თხზულ. ავქსენტი ცაგარლისა.

ფასი სამი აბაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პედაგოგია.

## ფიზიკური აღზრდა.

### მოსვენება ანუ ძილი და მოძრაობა. მათი მნიშვნელობა ადამიანის ჯან-მრთელობისათვის.

მოსვენება ანუ ძილი და მოძრაობა—ორივე ერთნაირად საჭიროა ადამიანისათვის და ნამდვილ ბუნებით მოთხოვნილებას შეადგენენ. ადამიანი ისეთი არსებაა, რომ, შემდეგ მოქმედებისა და შრომისა, მისთვის მიუცილებლად საჭიროა ძილი; უამისოდ დაღლილი ხორციელი და სულიერი მისი ძალები ვერ აღდგებიან. ეს ყოველმა კაცმა იცის საკუთარი თვისი გამოცდილებით. მიზეზი ამისა ის არის, რომ ადამიანი, როგორც ყოველი ცხოველი, მოძრაობისა და მოქმედების დროს იღალება, ჰკარგავს ძალას და სუსტდება. დაკარგული ძალის დასაბრუნებლად, აღსადგენად საჭიროა მოსვენება, ძილი. უძილოდ ადამიანს ისე არ შეუძლია სიცოცხლე, როგორც უსმელ უჭმელად. მაგრამ ესეც კი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ადამიანის ჯანის სიმრთელისათვის მარგებელია მხოლოდ ზომიერი ძილი; გადაჭარბებული კი, როგორც, საზოგადოთ, ყველაფერი—მავნებელია.

ხანგრძლივი ძილი უფრო საჭიროა ადამიანისათვის პატარაობისას, ისე რომ ახლად შობილ ყმაწვილს პირველ დღეებში თითქმის სულ სძინავს და იღვიძებს მხოლოდ მაშინ, როცა ძუძუს სწოვს. შემდეგ კი სულ თან-და-თან ნაკლებად სძინავს; ასე რომ, შვიდ-რვა წლის ყმაწვილისათვის საკმაოა დღეში რვა-ცხრა საათის ძილი. მშობლები და აღმზრდელები უნდა სცდილობდნენ, პატარაობიდამვე შეაჩვიონ ყმაწვილი თავის დროზე ძილს. თვით ბუნებას დაუნიშნავს ძილის დროდ ღამე. ამიტომ ყმაწვილის მოსასვენებლად ეს დროა საუკეთესო დრო, და აღმზრდელები ვალდებულნი არიან დააწვინონ ყმაწვილები თავის დროზე და ღამე არ გაატეხინონ. სასწავლებლებში, სადაც პანსიონებია, გონივრულად მიღებულია მოსწავლეების მოსვენების დროდ ღამის ათი საათი. პატარა ყმაწვილებისთვის, რასაკვირველია, ღამის გარდა, დღეც (შუადღის შემდეგ) საჭიროა ძილი. გა-

ღვიძების შემდეგ, როცა ადგომის დროა, მშობლები არ უნდა აძლევდნენ ნებას ყმაწვილებს, რომ საწოლში დიდხანს დარჩნენ, რადგან ამ ჩვეულებას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს.

ჯანის სიმრთელისათვის და ძალის აღდგენისათვის საჭიროა გაუწყვეტელი და უშფოთველი ძილი: თუკი ადამიანი ძილის დროს სიზმრებში და შფოთვაშია, მაშინ რასაკვირველია, მისი სულიერი და ხორციელი ძალები სრულ მოსვენებაში არ იჭნევიან და ვერც აღდგებიან. ამიტომ საჭიროა მშობლებმა მოაშორონ ყმაწვილს ყველა ის მიზეზები, რომელნიც უფთხობენ მას ძილს. ამგვარ მიზეზებს ეკუთვნიან, სხვათა შორის: გაძღომა ყმაწვილისა დაძინების წინ (*), ხმა მაღლა ლაპარაკი იმ ოთახში, სადაც ყმაწვილს ძინავს, გაჯავრება და შეშინება ყმაწვილისა **) და სხვანი.

რადგან ძილი არის ჩვეულებრივი ბუნებითი მოთხოვნილება ადამიანისა, ამიტომ არა-ვითარი საშუალება საჭირო არ არის ყმაწვილის დასაძინებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ავათმყოფობის დროს ექიმი უნიშნავს ყმაწვილს დასაძინებელ რასმე წამალს? რაიცა შეეხება რ წ ე ბ ა ს—ეს უგუნური და ძლიერ მავნე ჩვეულებაა. ერთი რომ ყმაწვილი მიეჩვევა რწევას და არას დროს უმისოდ აღარ დაიძინებს და მომვლელებსაც შეაწუხებს, მეორეც: რ წ ე ბ ა ყმაწვილის ნერვებზე და განსაკუთრებით ტვინზე ცუდათ მოქმედობს: თავბრუს უსხამს, რის გამოც, მართალია, ბოლოს იძინებს, მაგრამ ვაი ესეთ დაძინებას! ეს არ არის ნამდვილი მოთხოვნილების ძილი, არამედ ძილი, გამოწვეული ტვინის შერყევით და გაბრუებით. აკვნის რწევას სწორედ ისეთივე მოქმედება აქვს ყმაწვილის ტვინზე, როგორიც ზღვის ღელვასა და ხომალდის ქანაობას დიდების ტვინზე.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფრიად ცუდი ჩვეულება ნამეტურ ჩვენს ქვეყანაშია გავრცელებული. ერთი რომ ჩვენებური აკვანი თავის თავად ძლიერ უხეირო და მავნებელია ყმაწვილის ჯანის სიმრთელისათვის; მეორეც—მასში შეკრულსა და შებოჭვილს ნაზ ყმაწვილს ისე აქანავებენ აქეთ-იქით, რომ საკვირველია, ჭეშმარიტად, ჩვენი ყმაწვილები ცოცხალი როგორ რჩებიან და სრულიად „იდიოტები“ არა ჰხდებიან. წარმოიდგინეთ საბრალო ყმაწვილის

*) მაშა-სადამე, უგუნურებაა, როცა დედა ან ძიძა ყმაწვილს დაძინების დროს ძუძუს აჩრის პირში.

**) უგუნურ აღმზრდელებს ჩვეულებად აქვთ ყმაწვილის შეშინება რითიმე იმ ჰაზრით, რომ დააძინონ. ყმაწვილს, რასაკვირველია, ელანდება სიზმარში ის არსება, რომელიც მას აშინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაცდელი: ჩააწვინეს აკვანში, შეუკრეს მაგრად ხელ-ფეხი არტაშებით და თვალებზედაც ხელსახოცი გადააფარეს! რაღა თქმა უნდა, ის ამგვარ საშინელ მდგომარეობაში მორთავს ყვირილს, რადგან სხვა საშველები აღარა დარჩენია-რა. უგუნურ დედას ან გამდელს კი ჰგონია: ის მიტომ ყვირის, რომ დაძინება არ უნდა, და უმატებს აკვნის რწევასა და ქანაობას და იმდენხან ურწევს, მინამ ყმაწვილი სრულიად არ გაბრუვდება და არ მინაბავს თვალებს. ის კი არასოდეს არ მოუვათ ჰაზრად, რომ ყმაწვილის ყვირილის მიზეზი სულ სხვა რამ არის.

როგორც მთელი სხეულისათვის, ისე თვითეულ მისი ნაწილის ან ორგანოს გახსნისა და განვითარებისათვის საჭიროა მოძრაობა და ვარჯიშობა. ეს იმ ადვილ-შესანიშნავი ფაქტიდამაც ცხადათ მტკიცდება, რომ ის ნაწილები ჩვენი სხეულისა, რომლებიც უფრო ხმარებაში და მოძრაობაში არიან, უფრო გახსნილნი და გავარჯიშებულნიც არიან, ვიდრე ისინი, რომლებსაც ხშირად არა ვხმარობთ და არ ვავარჯიშებთ. მაგ. მარჯვენა ხელი ადამიანისა უფრო განვითარებულია, ვიდრე მარცხენა; იმ ადამიანს, რომელსაც თავისი თითები „ფორტოპიანოს კლავიშებზე" უვარჯიშებია, უფრო გახსნილი და გავარჯიშებული აქვს, ვიდრე სხვას, და სხვ.

ამას გარდა, მოძრაობა არის ბუნებითი მოთხოვნილება ყოველ ცოცხალ ორგანიზმისა. ყმაწვილი, შობის შემდეგ, როცა არც ჯდომა და არც დგომა არ შეუძლია, ხელ-ფეხს ანძრევს და მით აკმაყოფილებს ბუნების მოთხოვნილებას. ამიტომაც მას არ უნდა უშლიდნენ მოძრაობას და არ უნდა ჰკვრიდნენ არტაშებით. ყმაწვილი შემდეგ სწავლობს ჯერ ჯდომას, მერმე ხოხვას, ფეხზე დგომასა და ბოლოს სიარულსაც იწყებს. ამ გვარად სულ თან და-თან იმაგრებს და ხსნის თვისი მოძრაობის ორგანოებს. როცა ცოტა წამოიზრდება, მაშინ თამაშობს, ცელქობს; ერთის სიტყვით, თითქმის სულ მოძრაობაშია.

როცა ყმაწვილი ფეხზე დგომასა და სიარულს სწავლულობს, მაშინ მშობლებისა ან აღმზრდელების მოვალეობა მხოლოდ ის არის, ყური უგდონ, ყმაწვილი არ დაეცეს და არა დაუშავდეს რა. სიარულს ბუნება თვითონ ასწავლის ყმაწვილს თავის დროზე; ამიტომ დიდები არ უნდა აჩქარდნენ. რომ ყმაწვილმა რაც შეიძლება მალე ისწავლოს სიარული—ეს უფრო მავნებელია.

აი, რას ამბობს ამის შესახებ ერთი მეცნიერი (რუსსო): „უგუნურება არ არის ასწავლიდნენ ყმაწვილს მას, რაც თვითონაც შეუძლია ისწავლოს? უგნურება არ არის ასწავლიდნენ მაგ. ყმა-

...ილს სიარულს, თითქო დიდები იყვნენ, რომელთაც სიარული არა იცოდნენ, რადგან პატარაობისას არავის უსწავლებია? წინაღმდეგ, ზოგნი დიდები ცუდათ დადიან მიტომ, რომ პატარაობასას უსწავლებიათ მათთვის სიარული."

პატარაობისას საუკეთესო საშვალება ყმაწვილის სხეულის გასახსნელად არის თამაშობა და წმინდა ჰაერში სეირნობა. ამიტომ აღმზრდელებს კარგ ამინდში უნდა გამოუყვანდეთ პატარები კარში და ატარებდნენ ხოლმე. როცა კი ყმაწვილი წამოიზრდება და თვით შეეძლება სიარული, სირბილი და თამაში, მაშინ დიდები ნებას უნდა აძლევდნენ ყმაწვილს, რომ თავის დროზე ითამაშოს და ირბინოს ხოლმე, მაგრამ ყურის გდება კი უნდა, არაფერი მოუვიდეს მას და ან კიდევ ისეთი თამაშობით არ გაერთოს, რომელიც ფიზიკურად ან ზნეობით მავნებელია.

განათლებულმა ხალხებმა დიდი ხანია, რაც მრავალი სხვა-და-სხვა გვარი სათამაშოები გამოიგონეს ყმაწვილის სხეულისა და გონების გასახსნელად და სავარჯიშოდ. ზოგან განსაკუთრებითი საყმაწვილო ბაღები არის დაფუძნებული, სადაც ყმაწვილები, აღმზრდელების ხელმძღვანელობით, თამაშობენ და თან გამოცდილებასა და სწავლას იძენენ ხოლმე.

მოძრაობა და თამაში განსაკუთრებით მაშინ ჰხდება საჭირო, როცა ყმაწვილი სწავლულობს და იძულებულია დიდ ხანს იჯდეს კლასში ან სახლში გაკვეთილების დროს. დიდხანს ჯდომა და უძრაობა ძლიერ მავნებელია ყმაწვილის ნაზი და მოზარდე სხეულისათვის. ამიტომ საჭიროა თვითეულ გაკვეთილის გათავების შემდეგ ყმაწვილი თავისუფალი იყოს და რამდენიმე წამი მაინც მოძრაობაში და თამაშში გაატაროს.

ეხლა ყოველ განათლებულ ქვეყნებში შემოღებულია სკოლებში, სხვათა საგანთა შორის, ერთი საგანიც, რომელიც სხეულის გახსნასა და განვითარებას შველის. ამ საგანს „გიმნასტიკას" ეძახიან. ამ საგნისთვის საკუთარი მასწავლებელია დანიშნული, რომელმაც კარგა უნდა იცოდეს, როგორი მოძრაობა და ვარჯიშობა უფრო სასარგებლოა ადამიანის სხეულის სხვა-და-სხვა ნაწილების გასახსნელად. ვისაც შეძლება აქვს, შინაც კი ჰყავთ თავიანთი შვილებისათვის „გიმნასტიკის" მასწავლებელი.

„გიმნასტიკას" გარდა, ყმაწვილის სხეულის მოძრაობისა და გახსნისათვის სასარგებლოა დრო-გამოშვებით მისი ძალის შესაფერი გონივრული ფიზიკური შრომა ან მუშაობა.

წყალტუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამაგალითო გაკვეთილები

## საღმრთო რჯულის სწავლება.

### გაკვეთილი პირველი.

რჯულის მასწავლებელი შედის კლასში. ყმაწვილები ფეხზე დგებიან. მასწავლებელი პირ-და-პირ ხატისაკენ მიიქცევა, თვითონ კითხულობს გარკვევით ლოცვას და როგორც რიგია, ისახავს პირ-ჯვარს. როცა ლოცვა გათავდება, მიუბრუნდება ყმაწვილებს და მიესალმება; ყმაწვილებიც თავს უკვრენ მასწავლებელს. შემდგომ მასწავლებელი ეტყვის ყმაწვილებს და ისინი დასხდებიან.

მასწავლებელი ჰკითხავს ყმაწვილებს:

— აბა, ვინ მეტყვის რა ვქენით ჩვენ ეხლა, როცა მე კლასში შემოვედი?

ყმაწვილები აიშვერენ ხელებს და ერთი მათგანი, რომელსაც მასწავლებელი ააყენებს, აძლევს შემდეგ პასუხს:

— როცა თქვენ კლასში შემობრძანდით, მაშინ ჩვენ ვილოცეთ.

მასწავლებელი.—მართალია: ჩვენ ვილოცეთ, ან შევეხვეწეთ ღმერთს, რომ კარგა ვისწავლოთ.

ამ პასუხს გაამეორებინებს რამდენიმე ყმაწვილს და შემდეგ ხელახლავ აძლევს მათ კითხვას.

მასწავლებელი.—ხელით რაღას ვშვრებოდით, როცა ვლოცულობდით?

ერთი მოსწავლეთაგანი.

— პირ-ჯვარს ვიწერდით.—რომელი ხელით ვიწერდით პირ-ჯვარს? —მარჯვენა ხელით. *) აბა, მიჩვენეთ ყველამ მარჯვენა ხელი. (ყმაწვილები უჩვენებენ მარჯვენა ხელსა).

---

*) ჩვენ აქ პასუხებს შემოკლებით ვბეჭდავთ; მოსწავლეებს კი უნდა მოეთხოვოთ სრული პასუხი.

— მეორე ხელს რაღა ჰქვია სახელი?—ცაცია; მარცხენა ხელი.— მაჩვენეთ ეხლა ყველამ მარცხენა ხელი. (ყმაწვილები უჩვენებენ.)— გაიმეორეთ კიდევ: რომელი ხელით ვისახავთ პირ-ჯვარს? (იმეორებენ.) —აბა, ვინ იცის კარგა, როგორც უნდა პირ-ჯვრის დაწერა ან გამოსახვა? (ერთი ყმაწვილთაგანი ადგება, აიღებს მარჯვენა ხელს და ისახავს პირ-ჯვარს. მასწავლებელი უსწორებს, თუ შეცდომა უპოვა და სხვებსაც გაამეორებინებს. შემდეგ ხელ-ახლავ აძლევს მათ კითხვას) —ყველა თითებით ვიწერთ ჩვენ პირ-ჯვარს, თუ არა?—არა.—მაშ ვინ მიჩვენებს, რომელი თითებით? (ერთი ყმაწვილთაგანი უჩვენებს იმ თითებს, რომლებითაც პირ-ჯვარს ვისახავთ).—ვინ მეტყვის ამ თითების სახელებს? (ერთი შაგირდი აჩვენებს თითებს და მიუგებს: ამას ჰქვია დიდი თითი, ამას მაჩვენებელი, ამასაც შუა თითი).—აბა, კიდევ ჩამოთვალეთ, რომელ თითებს ვაერთებთ ჩვენ, როცა პირ-ჯვარს ვიწერთ?—უნდა შევაერთოთ დიდი თითი, მაჩვენებელი და შუა თითი.—სხვა ორ დანარჩენ თითებს რაღა ქვია სახელი? (მასწავლე უჩვენებს თითებს და უპასუხებს: ამას ჰქვია ნეკი, ამასაც უსახელო თითი)—ამ ორ თითს—უსახელოსა და ნეკს—რაღას ვუშვრებით პირ-ჯვრის წერის დროს?—ხელის გულზე ვიწყობთ.—აბა, ეხლა ისიც მითხარით, როგორ ვისახავთ პირ-ჯვარს, ესე იგი, სად ვიდებთ პირველად შეერთებულ თითებს და სად შემდეგ?—შუბლზე, მერმე გულზე, შემდეგ მარჯვენა მკერდზე და ბოლოს მარცხენაზე. (მასწავლებელი აყენებს ყველა ყმაწვილებს და უბრძანებს:—ასწიეთ ეხლა ყველამ მარჯვენა ხელი, შეაერთეთ სამი თითი ასე, და ყველამ ერთად გამოვისახოთ პირ-ჯვარი. (ყველანი ისახვენ პირ-ჯვარს). *)—ვინ მეტყვის ეხლა სულ თავიდამ დალაგებით როგორ ისახავს ადამიანი პირ-ჯვარს ლოცვის დროს?—ადამიანი პირჯვარს ისახავს ასე: ასწევს მარჯვენა ხელს, შეაერთებს სამს თითს: დიდს, მაჩვენებელსა და შუა თითსა; სხვა ორ თითს—ნეკსა და უსახელოს—დაიდებს ხელის გულზე; მერმე შეერთებულ თითებს დაიდებს პირველად შუბლზე, მერმე გულზე, მარჯვენა მკერდზე და ბოლოს მარცხენაზე.

*) ცხადია, რომ ყველა ყმაწვილები კარგა ვერ გამოისახვენ პირ-ჯვარს. მასწავლებელმა უნდა გაუსწოროს, უჩვენოს თვითონ და გაამეოროებინოს, სანამ ყველანი კარგა არ დაისწავლიან.

მასწავლებელი გაამეორებინებს ამ პასუხს ყმაწვილებს, მინამ ყველანი კარგა არ დაიხსომებენ ხოლმე, და შემდგომ კიდევ განაგრძობს კითხვებს — რასა ჰქვია პირ-ჯვრის წერა ან გამოსახვა? — პირის სახეზე ჯვარის გამოსახვას. — გინახავთ თქვენ ჯვარი, თუ არა? — გვინახავს. — გულზე ხომ არავის ჰკიდია პატარა ჯვარი? (ზოგიერთი ყმაწვილები უჩვენებენ ჯვარს) — თითებით ხომ ვერ გააკეთებთ ჯვარის სახეს? (ყმაწვილები გადააჯვარადინებენ ორივე მაჩვენებელ თითებს და გამოდის ჯვარის სახე). — აბა, აიღეთ ყველამ ყარანდაში და კალმის ტარი და შეადგინეთ ჯვარი. (ყმაწვილები აიღებენ, მიადებენ ერთი მეორეზე ისე, რომ გამოისახოს ჯვარი). — კაცი რომ ფეხზე დადგეს და ორივე ხელები პირ-და-პირ გაიშვიროს, მაშინ რაღა გამოვა? — ჯვარის სახე. — იქნება დახატვაც შეეძლოს ვისმეს ჯვარისა? (ერთი ყმაწვილთაგანი გამოდის და კლასის დაფაზე ორი ხაზით ჯვარს გამოხატავს. მასწავლებელი უსწორებს, თუ ყმაწვილი შესცდება, და თვითონ ხატავს კარგა; ყმაწვილებსაც დაახატვინებს თავ-თავის დაფებზე და ეტყვის, რომ მომავალი გაკვეთილისთვის ყველამ კარგა დაისწავლოს ჯვარის დახატვა და დაიხსომონ რაც ილაპარაკეს).

(გაკვეთილი თავდება).

აქ ჩვენ მკითხველს წარმოვუდგინეთ დაახლოებით მარტო ის კითხვები, რომლებიც გაკვეთილის მსვლელობასა და ხასიათს გვიჩვენებენ, მაგრამ, ცხადია, რომ მასწავლებელი ბევრ დაბრკოლებას შეხვდება: ზოგ ყმაწვილს არ ეცოდინება, როგორ უნდა მისცეს მასწავლებელს სრული პასუხი, ზოგს სიტყვები არ ეცოდინება და კარგა ვერ ილაპარაკებს, ზოგიც ვერ გაიგებს კარგა მასწავლებლის კითხვას და ბევრი ჩიჩინი დასჭირდება. ყოველ შემთხვევაში მასწავლებელი არ უნდა აჩქარდეს: შეუძლია შესცვალოს ერთი და იგივე შინაარსის კითხვები ბევრ-ნაირად, მინამ ყმაწვილები კარგა არ მიხვდებიან; პასუხიც ბევრს გაამეორებინოს. როცა ყმაწვილებს გაუჭირდებათ პასუხის მიცემა, თვითონ დაეხმაროს მათ, ხშირად შეჩერდეს, გაიმეოროს გავლილი და სხვ.

წყალტუბელი.

# ბიბლიოგრაფია.

## კონა

პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისა. მეორე, შეცვლილი გამოცემა. თბილისი 1884 წ.

ყოველი ახალი და რიგიანი საყმაწვილო გამოცემა სიამოვნებით აუვსებს კაცს გულსა და კმაყოფილების ღიმს მოჰგვრის ტუჩებზედ. ესეთი გრძნობა ნამეტნავად უფრო შესამჩნევია ჩვენში ახლა, როდესაც საყმაწვილო გამოცემათა ქისატობა ყოველივეს აღემატება. მაგრამ, აქაო-და ცოტააო, ყველა უშნო და უვარგის წიგნაკებზედ კი ესე არ ითქმის. ამას არ ვამბობთ, რასაკვირველია, „კონა“-ზედ, რადგან ამ გვარი დასკვნის ადგილი მხოლოდ ბოლოშია და არა თავში. თუმცა კი ერთბაშად მისმა დანახვამ იმავე გრძნობით, როგორიც მისი პირველი გამოცემა იყო, უფრო უსიამოვნობა გვაგრძნობინა, ვიდრე სიამოვნება, მაგრამ შემდეგში, როცა წავიკითხეთ „შეცვლილი გამოცემა“, ცოტა გული დაგვიარხეინა.

რატომ არ გვიამა, თუნდა რომ მეორე გამოცემა შეცვლითაც არა ყოფილიყო? იმისათვის რომ... მაგის პასუხს მოგახსენებთ ბატ. უთურგაურის წერილები, რომლებიც იმან უძღვნა „კონა“-ს, თავისის შემადგენელითურთ, „დროების“ ფურცლებზედ 1874 წელს. იმგვარივე უმზგავსი და სამარცხვინო გამოცემის გამეორება იქმნებოდა მხოლოდ საზოგადოების შეურაცხ-ყოფა, მასხარად აგდება.

უთურგაურის კეთილ-სინიდისიანი გარჩევის შემდეგ საფიქრებელიც აღარ იყო, რომ მზე-დაბნელებულ „კონა“-ს მზე კიდევ დაენახა; მაგრამ გავიდა სრული ათი წელიწადი და, აი, ერთხელ კიდევ მოევლინა საზოგადოებას, ვითარცა „შეცვლილი გამოცემა.“

რა შეასწორა პატივცემულმა ი. გოგებაშვილმა, რომ ეს, ყოვლად უღირსი „კონა“, ისევ ღირსეულად გარდაექცია? ბევრნაირად შეასწორა და მრავალი რამეებიც შესცვალა ამ მეორე გამოცემაში. თუმცა თვითონ ბრძანებს: „ამ გამოცემაში სამი ცვლილება მოვახდინეო“, მაგრამ ჩვენ კი, გარდა ამ სამისა, კიდევ სხვაც აღმოვაჩინეთ. ავიღოთ, მაგალითად, თუნდა ის, რომ პირველი გამოცემის წინასიტყვაობა სავსე იყო საზიზღარის კვეხნითა (ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ ამ წიგნს მცოდნე პირნი მაინც მაღლა დააყენებენ ვაგნერის მოთხრობებზედ ბუნების ისტორიიდგან, რომელთაც ევროპიის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილო ლიტერატურაში პირველი ადგილი უჭირავთ (?!!)—აგი მაინც მაღლა დააყენა უთურგაურმა.) და მეორე გამოცემის წინა-სიტყვაობაში კი მაგგვარს ვედარას შეჰხვდებით (ეტყობა, ავტორს ამ ათის წლის განმავლობაში ცოტა-მეტა და საზოგადოების პატივისცემა მოუპოვებია).

თუნდა კიდევ ეს.—პირველი გამოცემის პირველი დანიშნულება იყო „საყმაწვილო ბაღებში სახმარებელი სახელმძღვანელო“. სად იყო საყმაწვილო ბაღებიო? გვკითხავს ცნობის-მოყვარე.—არ იყო და, საქმეც ის არის, რომ ამ წიგნის შემწეობით უნდა დამართულიყვნენ და, როცა ავტორი თავისის ორსავ თვალით დარწმუნდა, რომ ეს აზრი ყოვლად უაზრო გამოდგა და ჰაერში ციხეების აშენებასა ჰგვანდა, მაშინ, ადგა-და, მეორე, სხვათა შორის მიცემული, დანიშნულება (სკოლებშიაც იხმარებაო), მეორე გამოცემის უპირველეს დანიშნულებად გაჰხადა. დასარწმუნებლად ჩვენ აქ მოვიყვანთ თვით ბ. გოგებაშვილის სიტყვებსა (იხილე მეორე გამოცემის წინასიტყვაობა): „მასწავლებელს შეუძლიან სწავლის პირველი დღეებიდგანვე ისარგებლოს მოთხრობებით და უამბოს მოწაფეებს. ზოგიერთა მათგანი გამოსაყენებელია, როგორც თვით წერა-კითხვის შესწავლის დროს,—მეტადრე მაშინ, როდესაც რომელსამე ცხოველზედ ესაუბრება,—ისე პირველი საკითხავი წიგნის შეთვისების ჟამსა“. შემდეგ ამბობს: „თვითონ მოსწავლეებს კი შეუძლიანთ იკითხონ მოთხრობები მხოლოდ პირველი წლის დამლევს და...“ ამეებზედ კიდევ უფრო წინა აქვს ნათქვამი: „ექვსი-შვიდი წლის ბავშვი საამოვნებით მოისმენს ნასწავლ შინაურებისაგან..“ და ბოლოს: „ვიდრე ჩვენ ღარიბნი ვართ საკითხავი წიგნებით და მეორე წლისათვის არა გვაქვს განსაკუთრებული საკლასო წიგნი, „კონა“-ს შეუძლიან გასწიოს ამ უკანასკნელი წიგნის მაგიერობა“.

განგალა, განგალა!! დარამც იყოს, მეორე წლისათვის საკითხავი წიგნი! რომ ეს უკანასკნელი თქვენი განზრახვა ყოვლად უსაფუძვლოა, ამაზე ხომ თვითონ თქვენც დამეთანხმებით, თუ ავიზნიანი ყმაწვილივით არ გაგვიჟინიანდით. „აქაო-და არა გვაქვსო, აქაო-და ღარიბნი ვართო“, ეგ რა საკადრისია? ეგ ხომ იმასა ჰგავს—ერთ სოფელში მოასხლე არ იყო,... მართლადაც, ყველა სოფლის მასწავლებლები რომ ი. ს. გოგებაშვილებნი იყვნენ, მაშინაც ვერ წარმოვიდგენთ, რომ ერთ-ერთმა იმათგანმა თავისი სკოლის სახმარ-სახელმძღვანელოდ შეიტანოს და, თუ ეს ასეა, მაშ რათ უნდა ჰსურდეს სკოლის მოყვარეს (?), რომ ვინმე საწყალი სოფლის მასწავლებელთაგანი შეცოდებაში შეიყვანოს?

ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ გამოვუდგებით იმის დამტკიცებას, თუ რატომ არ შეიძლება ამ წიგნის სახელმძღვანელოდ ხმარება, ეს დაუმტკიცებლადაც, თავის თავად ყველასთვის აშკარა გვგონია. თუ რომ მაინც-და-მაინც ავტორს არ დაუშლია, სჯობს ჯერ თვითონ გვიჩვენოს ამ წიგნის ისეთი ღირსებანი, რომელნიც ამის თქმის ნებას აძლევენ და შემდეგ ჩვენ მივცემთ პასუხს; ეხლა კი უკეთესია გადავათვალიეროთ წიგნი და ვაჩვენოთ მკითხველ საზოგადოებას, თუ რამოდენად შეიძლებს ეს „კონა“ სხვა (დანარჩომი) თავის დანიშნულებათა დაკმაყოფილებას.

წიგნი შეიცავს ოთხმოცამდე მოთხრობას, რომელთაგან ნახევარი სულ ვაგნერის თხზულებიდგანა აქვს ამოღებული, მეოთხედი უშინსკის წიგნებიდგან და მეოთხედიც სხვა-და-სხვა წიგნებიდგან. ამათში ზოგი პირ-და-პირ არის ნათარგმნი და ზოგი კი გადაკეთებულია. ყველა ეს მოთხრობები ერთი მეორის მჯობია, მაგრამ „კონა“-ში კი არ გვგონით? კარგებია ისინი იმ ადგილას, საიდგანაც ბ. გოგებაშვილს ამოუღია. ისეთი კოხტა და ლაზათიანი მოთხრობები ბ. უშინსკისა, თუ ვაგნერისა სწორედ რომ დაგენანება, „კონა“-ში რო წაიკითხავ. რათა? რასაკვირველია, იმისათვის, რომ ძლიერ კარგად უნდა იყოს ნათარგმნიცა და გადმოკეთებულიც. თითო-თითო მაგალითი მაინც ვუჩვენოთ ბ. ავტორს, რომ ლიტონ-სიტყვაობა არ დასწამოს ამ წერილს.

ავიღოთ თუნდა „გუგული“: (38 გვ.) იყო ერთი გუგული; გაიკეთა ბუდე; კვერცხის დადებას აპირობდა. ქარმა დაუბერა, ბუდე ჩამოუგდო და დაუშალა. ახალი ბუდე ვერ მოასწრო; დადო კვერცხი და სხვის ბუდეში წაიღო. ესე დაარიგა ყველა კვერცხები. დედინაცვლებმა გამოჩიკეს გუგულის ბარტყები ძალიან ავები იყვნენ, მინამ ფრენას ისწავლიდნენ. ბოლოს, ფრენაც შეიძლეს, მაგრამ ზოგი ბუდიდგან ვეღარ ამოეტა და მოკვდა, ზოგი მონადირის ხელში ჩავარდა, მომეტებული კი მშვიდობით გადარჩნენ. გუგულმა ეს (რომ მომეტებული ნაწილი ცოცხალი გადარჩა) შეამჩნია, ეამა და ბუდეზედ ხელი აიღო.

ეს მოთხრობა არის გადმოკეთებული შემდეგიდგან: „დაუდევნელი გუგული“. მონადირეს გალიით ჩიტები მოჰყავს; იმათში გუგულის ბარტყიც ურევია..... გუგული უბედურია ტყვეობაში, სრულებით ვერ უხარს მას; მაგრამ ისევ გალია ურჩევნია; უფრო ცუდი დღე დაადგებოდა, თუ მონადირე არ მოსწრებოდა... ყველა ფრინველი ბუდეს იკეთებს, შვილებს ზრდის, გუგული კი არა; ის თავის კვერცხებს სხვას უდაგებს ბუდეში. ამ გუგულის დედაც ისე მოიქცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი კვერცხი ერთი პატარა ჩიტის ბუდეში ჩასდვა; კვერცხი გამოჩეკა; დედანაცვალი კარგა უვლიდა; თავისი საკუთარი ბარტყები დაუზარდნენ, დაიფრინდნენ. დარჩა მარტო გუგული; დედა ჩიტი მაინც კიდევ ყურს უგდებს. დედინაცვალს თბილ ქვეყნებში წასვლის დრო მოუვიდა. ახლა ყურის მგდები აღარა ჰყავს; ჩხავის, აფხაკუნებს, ამოსვლა უნდა; შემოესმება მონადირეს, ამოიყვანს, ჩასვამს გალიაში და ბაზარში დაჰყავს ეს უბედური გასასყიდად.

აქ უპირატესი მნიშვნელობა იმასა აქვს მიქცეული, თუ რად ჩავარდა გუგული ამ უბედურებაში (გალიაში)? იმისათვის, რომ დაუდევნელი გუგული ბუდეს არ იკეთებს. ბ. გოგებაშვილის მიერ გადმოკეთებულ „გუგულში“ კი უპირველესი მნიშვნელობა იმასა აქვს მიქცეული, თუ რატომ არ იკეთებს გუგული ბუდეს. და არ იკეთებს მხოლოდ მისთვის, რომ ერთხელ ესეთი (როგორიც მოთხრობაშია ნათქვამი) შემთხვევა მოუვიდა და დარწმუნდა, რომ სხვის ბუდეშიაც კარგა იზრდებიან ბარტყებიო. ცხადია ყველასათვის ამ ორი მოთხრობის განსხვავება. რად მოისურვილა ბ. გოგებაშვილმა ამ გვარად შეცვლა? ამისი მიზეზებისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ კი ჩვენის მხრივ უნდა გამოუტყდეთ და, თუმცა კი არა სასიამოვნოდ, მოგახსენოთ ბ. ი. გოგებაშვილს, რომ ძლიერ კარგად ინებებს, თუ რომ თავს დაანებებს თავისი აზრით მოთხრობების შედგენას და ან სხვა, მართლაც ნიჭიერი და ღირსეული ბელეტრისტის, როგორიც არის ვაგნერი, ნაწარმოების გადაკეთებას: ეგ რა ჩვენი საქმეა?.. ჩვენი საქმეა, რომ წვრილ-წვრილი მოთხრობები გადავთარგმნოთ, შემდეგ ყოველივე შეცდომა მცოდნე პირებს შევასწორებინოთ, რაც კი მეცნიერების წინააღმდეგ შეგვეპარება რამე და, როცა მაგ მხრივაც საქმეს გავიჩალდებთ, ახლა ენის მცოდნე პირს უნდა ჩავაბაროთ, რომ ალმა-დალმა, თუ გარდი-გარდმო ყოველ მხრივ შალაშინი გაუსვ-გამოუსვას და... და მხოლოდ მაშინ შეიძლება სტამბას დავანძლეინოთ. თუ არა და რას ჰგავნება, მე დალოცვილო. მე და თქვენი ნათარგმნი რამეების შეუსწორებლად და მცოდნე პირთა მხრივ გაუშინჯავად დაბეჭდვინება? ეგ ჰგავნებს ჩვენ მხოლოდ იმ გვარ მოთხრობებს, რომლებითაც სავსეა „ჯეჯილი“ ქ. ი. იმისთანა მოთხრობებს, რომლებიც სავსეა შეცდომებით მეცნიერებისაცა და ენის წინააღმდეგაცა. კიდევ მაგ., ალ, თუნდა „უდანაშაულოდ დასჯილი თხუნელა“ (71 გვ.) გადმოთარგმნილია ვაგნერიდგან, მაგრამ ამ გვარის ადგილით: „მაშინ მებაღე ამზადებს მართულის მახეს თხუნელის დასაჭერად (აქ ვაგნერს მახე აქვს აწერილი. ეტყობა მთარგმნელს ვერ შეუგნია, მარტო ეს ადგილი რომ გამოუკლია და ქართულად აღარ გადმოუღია;

თურმე თუ გაეგო რა მასეა: ხომ არც ეს შეცდომა მოუვიდოდა). თავის მოყვარე ცხოველი ამოდის თავის სოროდგან ზემოდ, მიწაზედ, ვერ ამჩნევს (!) მართულის მასეს, ებმება შიგ და იღუპება". როგორ სამასხარო არ არის, რომ თხუნელის ამბავს სხვებს უწერ, გინდა ასწავლო და შენკი, თურმე, ნუ იტყვი, არა გცოდნია?! თხუნელა ზევით, მიწაზედ, ამოდის, მართულის მასეს ვერ ამჩნევს და შიგ ებმებაო; ასე ჰგონია თხუნელას ზემოდგან, მიწაზედა ნადირობს და ამ დროს მასეში ებმება. ეგ იმასა ჰგავს, თევზზედ რომ დაგეწერათ: როცა თევზი წყლიდგან საჭმლის ასაკენკად მიწაზედ გამოდის, მაშინ ბადეს ესვრიან ხოლმე და იჭერენო.

თუნდა — „რძე" (125 გვ.) „ძროხა სჭამს ყვავილსა და ნოყიერს ბალახსა; მის მუცელში ყველა ეს იქცევა რძედ"... ნუ თუ „ყველა ის", რასაც კი ძროხა სჭამს, რძედ იქცევა?.. მაშ, ნეტავი თქვენ, მაგისთანა ძროხის პატრონებსა!..

თუნდა კიდევ „ხარი" (14 გვ.): ...„რა კარგი იქმნება, რომ ეს მძლავრი ნადირი დაიმორჩილო (ამას ამბობს ველური კაცი), მოვაშინაურო (!) და ღონიერს კისერზედ უღელი (!) დავადგათ: მიწასაც ადვილად მოვახნავს (!), ურმით (!!) საზამთრესაც მოზიდავს (?) და ტყიდგან შეშასაც არ მომაკლებსო (?)... ველურ კაცს, რომელსაც ჯერ ხარი არ მოუშინაურებია (მოუშინაურებია კი არა „შინაც" არ იცის რა არის), უღელიც ჰქონია (რიღასათვის?), მიწის მოხვნაცა სცოდნია (რითი ჰხნავდა ან შიგ რას აბამდა?), ურემიცა ჰქონია (შიგ რას აბამდა), საზამთრეებიც უზიდნია და ტყიდგან შეშაცა. აი, ეს არის უთუოდ, ბ. გოგებაშვილო, მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა, არა?

ზოგიერთა მოთხრობები კი ძლიერ კარგი და ჩინებული რამ იქმნებოდა, რომ სამარცხვინო ენით არ იყოს ნათარგმნი. კარგი ქართულის მცოდნე ქართველმა რომ წაიკითხოს, ამ წიგნის ენა თავის ენად არ ეხმება (არ ეცნობება). მართალიცა — და ამ მხრივ „კონა" წარმოადგენს ნამდვილ კონასა იმ დაგლეჯილი და წამხდარი ავლაბრული ქართული ენისა, რომელიც დაიბადა ქართულად მოლაპარაკე სომეხ-თათარ-ოსთაგანა ახირებულია თქვენმა მზემ!.. თუ რომ დასამტკიცებელ საბუთებად აქა-იქ ამოგლეჯილი ნიმუშები არ წარვუდგინეთ, უთუოდ გვეტყვიან: ეგ ხომ ცარიელი სიტყვების რახა-რუხიაო. ამაზედ მეტი საბუთი რაღა საჭიროა? ამ მხრივ თვით „კონა" მთლიანად „დოკუმენტია". თუ მაინცა-და მაინც არ დაგიმლიათ, აი ესეც:

„ბაიაები (8 გვ.), წრუწუნაები (13 გვ.), თხუნელაებს, და-

მურა პეპელაები, პეპელები, წვეროები“ და სხვ.. რომელი გრამატიკის კანონის ძალით შერჩათ ამ სიტყვებს მრავლობითი რიცხვში მხოლოობითი რიცხვის დაბოლოება და არ უკანასკნელს კი, არამც თუ თავისი დაბოლოება, არამედ კაცი ვერ შეიტყობს, საიდგან და როგორ წაემატათ „ე“ და „ო“. ეს უთუოდ იმისი მაგიერი თუა, რომ შემდეგ სიტყვებს, რომლებსაც დაბოლოება უეჭველად უნდა შერჩომოდათ, არ შეურჩენია: „**ბუდებში, მცენარეებითა**“ და სხვ.

**ჯირკვალი** (და არა ჯირკველი), ბოსტანი, მტერი და სხვა ამ გვარი სიტყვები მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვებში და მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვებში ჰკარგავენ დაბოლოების წინა ხმოვან ასოს, მაგრამ ბ. გოგებაშვილი კი ხმარობს „**მტერები, ბოსტანის....**“ იქნება, იფიქროთ, რომ ეს ენის უბრალო კანონები არ იცოდეს ავტორმა? არა, ცოდნით კი იცის, მაგრამ „აშიბკებს“ აკეთებს.

როგორ მოგწონთ ეს ქართული, რომელიც ავტორს რუსულიდგან პირ-და-პირ უთარგმნია: „**რქებიდგან**“ ჭურჭლებს აკეთებენ (100 გვ.), გაიკეთა ბუდე მსხვილის და ხმელის **ტოტებისაგან** (171 გვ.), გააკეთებინა **სპილენძისაგან** ორი დიდი ჯამი (183 გვ.), აქ ჩვენი **მუხიდგან** გააკეთეს გემი (172 გვ.), ბავშვები ხშირად აკეთებენ **ტყავისაგან** სათამაშოს (183 გვ.) და სხვა და სხვა. რუსულად სწორედ ესეა (**дѣлаютъ изъ....**), მაგრამ ქართულად კი უნდა მიუგებდეს კითხვაზედ „რისა?“ მაგალითად: „გააკეთებინა სპილენძისაგან ორი დიდი ჯამი“ კი არა, გააკეთებინა **სპილენძას** ორი დიდი ჯამი და სხვ.

განა ისე გაკოტრდა ქართული ენა, რომ შემდეგი ადგილებისათვის თავისი შესაფერი სიტყვები ვეღარ გიპოვიათ: „ძროხასა სწველიან **სარძევეში**—16 გვ. (საწველელში), **წიფლის ნაყოფი**—57 გვ. (წიწიბო), ყორანი ჰმალავდა ბანის **კრამიტის** ქვეშ—50 გვ. (ბანს კრამიტი არა ჰხურავს და არ ვიცით, რა უნდა გეთქვათ); **ყელი მოუდრეკელი** აქვს—43 გვ. (მოუდრეკელი ყელი კი არა, კისერი), შიგ **შობეს** რამდენიმე ბრმა ლეკვი—25, აი ძროხამა **შობა** ხბო—125. (ნუ თუ მაგ ერთი სიტყვის მეტი არა გვაქვს ქართულს ენაზე

და ეგ უნდა ვისმართოთ პირუტყვზედაცა და ადამიანზედაცა?). ჯუს მგლის ფარი (?) ჰქონდა შემორტყმული ჩაჩქანივით (ამ მგლის ფარსა (?!) ჰქვიან ბაკანი); წყვილი (ტყუპი) წისლი მოხვდება—9 გვ.; ფეხების ბოლოს აბია მრგვალი და ერთიანი ქუსლები—9 გვ. (ეს ქუსლები ცხენის აბიათ) და სხვა და სხვა.

მინდოდა ამითი გამეთავებინა ნიმუშების მოყვანა, მაგრამ კარგი იქნება ეს კარგი ქართულიც გაშინჯოს მკითხველმა „წინა კბილები არ ასხია; ასხია ოთხი ხელი; „ხბო წამოდგა მაშინვე ფეხებზედ“; „ამ გვარად მოექცა სხვა ხილებსაცა“; „ლეღვის ნაყოფმა მოიწია“; „ერთს დაბურულს ადგილის ტყეში“; „მელამ კბილები დააკრაწუნა“; „ხან წინა კბილების ქვეშ მოიქცევდა“; „მამამ პასუხად მოუყვა შემდეგს ამბავს“ და სხვა, და სხვა, და სხვა.

ვგონებ ახლა კი საკმარისი უნდა იყოს და, თუ ესეც არ გეკმაროთ მაშინ გადაშალეთ „კონა“, სადაც გნებავდეთ, და საკმარისად შეჰხვდებით შეცდომებსა. ამ წიგნიდგან რომ კაცმა ყველა შეცდომები ამოწეროს, უნდა მთლად წიგნი გადმოსწეროს. ამ სამარცხვინო ენის მეტი რომ არა ვიქონიოთ რა სახეში, ესეც კი საკმარისი საბუთია კაცს სამართლიანად ათქმევინოს: „კონა“ პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი ა. იაკ. გოგებაშვილისა, ყოვლად უვარგისი წიგნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

„ვისრამიანი“ რედაქტორობით ილ. ჭავჭავაძისა, ალ. სარაჯიშვილის და პეტ. უმიკაშვილისა. წიგნი შეიცავს 456 გვ., ხოლო თავისის ლექსიკონით 478 გვერდსა. დაბეჭდილია კაი ქაღალდზედ, სუფთად და ლამაზი სათაურის ასოებით. ფასი წიგნისა მცირეა— მანეთ ნახევარი.

წიგნი ეკუთვნის ჩვენი ლიტერატურის დიდებულ დროს. თუ რამდენად საჭირო იყო ქართული მწერლობისათვის იმ დროის ხელთ-ნაწერი წიგნის დაბეჭდვა, ამას გვიმტკიცებს ამავე წიგნის წინასიტყვაობიდგან ამოგლეჯილი ალაგი: „მაღალი პოეტური ჰისი ღირსება, მაღალი ნიჭიერების ბეჭედი, ძლიერი გამომხატველობა ადამიანის გულის მოძრაობისა, თვით პროზაული ენა, მაჩვენებელი ლიტერატურის შემუშავების ხარისხისა“ და სხვა...

ვისურვოდ, რომ ამ წიგნს ხალხში გზა კარგა გაეკვლიოს; და ხშირადაც გამოიცემდეს ამ გვარი წიგნები.

„შოთა რუსთაველი“ 1172—1216. ზ. მთაწმინდელისა. გამოცემული კო(ნ)სტანტინე (ი.) მესხიევისაგან.

ეტყობა, საფუძვლიანად უშრომია ბ. ზ. მთაწმინდელს, რომ ამოდენა ცნობები ამოუკრებია სხვა-და-სხვა წყაროებიდგან ჩვენი დიდებული პოეტის შესახებ. წიგნი სულ 68 გვ., კოხტა და სუფთა გამოცემა; ფასი წიგნისა პოეტის სურათით 30 კაპ.—იაფია. კორექტურული შეცდომები საკმარისად შეჰპარვია. ცოტა არ არის, თვითონ ბ. ზ. მთაწმინდელი როგორღაც კარგად ვერ უტრიალდება ცნობათა სიმრავლეს. მაგრამ მაინც სასურველია, რომ ეს წიგნი ჩვენს ხალხში გავრცელებულიყოს.

„სამი კომედია“ ა. ცაგარლისა. გამოიცემა ქართული თეატრის მოყვარეთაგან.

სამივე კომედია, როგორც ჩვენმა საზოგადოებამ უკვე იცის, ერთი მეორეზედ უფრო ცოცხლად არის დაწერელი და, იმედია, მკითხველს ყოველთვის მოიპოვებს. წიგნი სულ 220 გვ. ფასი სამი აბაზი, ძვირი არ არის.

ძალიან სასიამოვნოდ მიგვაჩნია ქართული თეატრის მოყვარეთაგან პიესების ბეჭდვა და მეტად სასურველი იქნებოდა, რომ სხვებსაც, ბ. ცაგარელსავით, კაი დარი დასდგომოდეთ.

„ქართული ლექსიკონი“, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან. გამოცემული რაფ. დ. ერისთავის რედაქტორობით და ალექსანდრე ეპისკოპოზის საფასით, ავტორის სურათით.

ჩვენ ამას არ მოველოდით საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონისაგან. ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა უფრო სრული და უფრო უკეთესი. ვრცელი გარჩევა ამისი შეუძლიანთ „დროების“ ნომერში წაიკითხონ.

მაინცა-და-მაინც, მინამ ჯერ ამის უკეთესი არა გვაქვს, არას დაუშლის ამისი მოპოება, მით უმეტეს, რომ იგი საბა-სულხან ორბელიანის შედგენილია. გვაკვირვებს მხოლოდ ფასი, 4 მანეთი, რომელიც ამ წიგნისთვის დაუდვიათ.

„არითმეტიკა“, სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის შედგენილი მიხეილ ზაალის ძის ყიფიანისაგან, ფასი ოთხი აბაზი, გაგზავნით მანეთი.

წიგნი განიყოფება ხუთ ნაწილად: პირველი ნაწილი შეიცავს რიცხვებს 1—100-მდის, თავისი „ასახსნელებით“ (?) და ურომელო რიცხვების ოთხ მოქმედებას, სულ 85 გვერდს. მეორე ნაწილი (85—208 გვ.) შეიცავს მთელი რიცხვების სისტემატიურ კურსსა. მესამე ნაწილი (209—295 გვ.-მდე) უბრალო ნაწევართა, მეოთხე ნაწილი (296—347 გვ.)—ათ-წილად ნაწევართა და მეხუთე ნაწილი (348—328 გვ.)—შეფარდებას, პრაპორციასა და სამს პირობაზედ დამოკიდებულ კანონთა. გარდა ამისა, წიგნის ბოლოში არის „ასახსნელების“ პასუხი.

ერთის სიტყვით წიგნი კარგა მოზრდილია—სულ 452 გვ. შეიცავს და, როგორც ეტყობა, ღირსეული შრომაა; დაწვრილებით შემდეგ შეიძლება მოველაპარაკოთ ჩვენს მკითხველებს.

თხზულებანი ანტონ ფურცელაძისა. წიგნი მეორე, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. ფასი ერთი მანეთი.

ამ მეორე წიგნს შეადგენს „დიდი მოურავი“, ტრაგედია, და ერთი წერილი „ბანკები და მათი მნიშვნელობა“. სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ ბ. ა. ფურცელაძის თხზულებათა გამოცემა არ შესწყდა და პირველი წიგნის გამოცემით არ დაბოლოვდა, თ. რ. ერისთავის თხუზულებათა გამოცემის მაგვარ. არ ვიცით მხოლოდ გამომცემელს „დიდ მოურავთან“ ბანკების შესახებ წერილი რათ მიუბეჭდავს. უფრო კარგი იქნებოდა, რომ „დიდ მოურავთან“ იმ 46 გვ. რამე იმის მაგვარი ნაწარმოები (თუნდა „ავაზაკნი“) ყოფილიყო და ეს ბანკების შესახებ წერილი იმის მზგავსს წერილებთანა ყოფილიყო. განა იმას ხომ არა ჰქვიან რომელიმე მწერლის თხზულებათა სრული გამოცემა, რომ დომხალივით იყოს ერთმანერთში არეული?

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. დუღაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედაქციისაგან

იშვი არ არის, რომ მკითხველი ესაყვედურება „ნობათი"-ს რედაქციას ჟურნალის ნომრების დაგვიანებისათვის. მართლაც რომ სთქვას კაცმა, მკითხველი არა ტყუის, ასე რომ, რაც უნდა მიზეზი წარუდგინოს რედაქციამ, ძნელია იმითი ის დაარწმუნოს, თუ თვითონ მკითხველიც არ გასინჯავს საქმეს გარემოებათა მიხედვისა-და-გვარად.

ამისთანა თავის-გასამართლებელი მიზეზები ბევრი აქვს რედაქციას, როგორც ახლად დაწყობილს საქმეს, და ამ ბევრთაგან საკმარისია მხოლოდ ერთი უმთავრესი დავუსახელოთ მას, რომ სრულიად დავითანხმოთ. ეს მიზეზია დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი, თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი შ რ ო მ ა, რომელიც ჩვენს მდგომარეობაში, ბევრად თუ ცოტად, ძნელი ასასრულებელია, მეტადრე მაშინ, როცა მატერიალურ საშუალებასაც მოკლებულია...

მკითხველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ „ნობათი"-ს რომელიმე წიგნის დაგვიანება თვით რედაქციასაც სამწუხაროდ მიაჩნია და ამისათვის ყოველივე თავისი ძალ-ღონე მხოლოდ იმაზედ აქვს მიქცეული, რომ ამ გვარი დაგვიანება აიცილოს, მაგრამ რასა იქმ კაცი იქ, სადა „მაღლა ღმერთსა ხნავს."

მიუხედავად ყველა ამისა, „ნობათი"-ს რედაქცია მაინც ბოდიშს იხდის ნომრების დაგვიანებისათვის.

იხ. მეორე გვერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალი „ნობათი"-ს გამოცემა 1885 წელში.

(წელიწადი მეორე)

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# „ნ ო ბ ა თ ი"

პედაგოგიური ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთა-თვის—მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებით და სივრცით, როგორათაც 1884 წ.

---

**ჟურნალზე ხელის-მოწერა.** წლიური ფასი ჟურნალი „ნობათი"-სა—ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე: ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანეთიც—მაისში. რომელთაც ამ რიგად ხელის მოწერა სურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

**ხელის-მოწერა** მიიღება: თბილისში—ჟურნალი „ნობათი"-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, საზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7 და შავერდოვის წიგნის სავაჭროში. ქუთაისში—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—ექ. ფურცელაძესთან და თელავში—ივ. როსტომაშვილთან

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати".*

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.